



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) at New York University.

- Creator: Sulava, N. / სულავა, ნ. / Сулава, Н. О.
- Title: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ღერხუმი) / Горная колхида в античную эпоху (Лечхуми)
- Publication Date: 1996
- Publisher: Georgian Academy Of Sciences, Center for Archaeological Studies
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_c9d286f89


About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/dsc/takedown-notice>.

ნ. თელავა



მთიანი კოლხეთი
ანციკონი სანაში

„მეცნიერება“

IVE
5042

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
არქეოლოგიური კომისია

ნინო სულავა

მთიანი კოლხეთი ანტიკური ხანაში

29562

(ლექსუმი)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
თბილისი

პროფ. ნ. სულავა

თბილისი
„მეცნიერება“
1996



ნაშრომი ეძღვნება მთიანი კოლხეთის ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის — ლეჩხუმის—ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. გამოკვლევაში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმებში დაცული ლეჩხუმის ანტიკური ხანის მასალები, რომლებიც განსაზღვრულია ტიპოლოგიურად, ქრონოლოგიურად და გამუქებულია ფართო პარალელური მასალის ფონზე.

ნაშრომი წარმოადგენს ლეჩხუმის ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის პირველ ცდას. ძირითად ტექსტს ერთვის კატალოგი და ლეჩხუმის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გაერცელებას რუკა. ნაშრომი კარგად არის ილუსტრირებული (ტაბულები წარმოდგენილია კომპლექსებადაც და ტიპოლოგიურ სახეობათა მიხედვითაც).

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ჩვენი ქვეყნის სიძველეებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი ო. თ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ა. ჭყონია,

ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. თოლორდავა

0504000000
ს M 607(06)—96

© „მეცნიერება“, 1996

ISBN 5-520-00999-6

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. უკანასკნელ ხანებში ქართულმა არქეოლოგიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ზოგი მხარე არქეოლოგიურად ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მხედველობაში გვაქვს მთიანი კოლხეთის ერთ-ერთი ისტორიული მხარე—ლეჩხუმის რეგიონის სიძველეთა კვლევას, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მიეცა მიზანდასახული და გეგმაზომიერი ხასიათი¹. არადა სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის იყო აღნიშნული ამ კუთხიდან მომდინარე, ძირითადად შემთხვევით აღმოჩენილი, მასალების დიდი არქეოლოგიური ღირებულება (ა. იესენი, ბ. კუფტინი, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, ლ. სახაროვა) და მისი შესწავლის აუცილებლობა. მაგრამ აღნიშნულ ავტორთა დაინტერესება ბრინჯაოს ხანით იფარგლებოდა, ლეჩხუმში კი ადამიანის უძველესი ნაკვალევი ნეოლითური ხანისაა. ამ დროიდან ცხოვრება აქ უწყვეტი ჩანს. ყველა პერიოდი (ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური, ფეოდალური) წარმოდგენილია შემთხვევითი მასალებით, რომელთა მეცნიერული ღირებულება ეჭვს არ იწვევს და არქეოლოგიურ კვლევას ელის.

ლეჩხუმის მიზანდასახული, გეგმაზომიერი და კომპლექსური არქეოლოგიური კვლევა საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ამ მხარის მატერიალური კულტურა და მისი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის როლი კოლხეთისა და ქართლის კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში.

ამ დიდ სამომავლო საქმეში ჩვენი მიზანი ფრიად მოკრძალებულია და განისაზღვრება ლეჩხუმის ანტიკური ხანის მასალების მონოგრაფიული შესწავლით.

¹ ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ლეჩხუმის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების მონოგრაფიული შესწავლა (108) და მცირე სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოები (107), მაგრამ ამის იქით ფაქტურად კვლევა არ წასულა.

ანტიკური ხანის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ მრავალფეროვანი მასალა დაცულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმებში, ყველაზე დიდი ნაწილი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, როგორც განათხარი (ცხეთის სამაროვნის მასალები), ასევე შემთხვევით აღმოჩენილი. რამდენიმე ნივთი (ოქროს საყურეები, მონეტები) დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. სოფელ უსახელოში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ერთი ჯგუფი (ოქროს მედალიონი, ოქროს ორი ფირფიტა-სამკაული) ინახება ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის საგანგებო საცავებში.

2. აღნიშნული მასალები სპეციალურად არავის უკვლევი. გამოჩენილია ერმიტაჟის კოლექციის ოქროს მედალიონი, რომლის ფოტო, ოქროს ერთ-ერთ ფირფიტა-სამკაულთან ერთად, პირველად გამოაქვეყნა ე. პრიდიკმა [275, გვ. 18—19, ტაბ. 11-2]. ამის შედეგად მედალიონი ბევრი მეცნიერის თვალსაწიერში მოექცა (მ. მაქსიმოვა, ა. ამირანაშვილი-ბოლტუნოვა, ნ. ხოშტარია, ო. ნევეროვი), ხოლო მარგ. ლორთქიფანიძემ საგანგებო კვლევის საგნად გაიხადა [70, გვ. 121].

ლენინგრადში აღმოჩენილი მონეტები შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვთ დ. კაპანაძეს [216, გვ. 168—169] და გ. დუნდუას [193, გვ. 56, 81].

ცხეთის სამაროვნის გათხრების ანგარიში ეკუთვნის ლ. სახაროვას [105, გვ. 34—36; 104, გვ. 79—80].

მურის ციხესთან აღმოჩენილი ქვევრსამარხის მასალები განხილული აქვს ა. ნონეშვილს [100, გვ. 32—33].

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი მასალის ნაწილი სოფელ უსახელოდან, ცხეთის სამაროვნის ფიბულები და ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში უსახელოდან შესული კოლექცია შესწავლილი და გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ [111, გვ. 109—116; 112, გვ. 441—444. 113, გვ. 51—58].

წინამდებარე ნაშრომი არის ცდა ლენინგრადიდან მომდინარე ანტიკური ხანის მასალების მონოგრაფიული კვლევისა. ნაშრომში მოცემულია მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია; დადგენილია სამარხთა ტიპები; მასალა განხილულია სხვა ისტორიულ მხარეთა ანალოგიურ მასალებთან მიმართებაში და სხვა.

წიგნში გამოყენებული ფოტომასალა შესრულებულია ვ. ალი-
აბინისა და ვ. სალნიკერის მიერ.

3. ლეჩხუმი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. იგი მოიცავს მდ. რიონისა და მდ. ცხენისწყლის შუა წელის გასწვ-
რივ მდებარე მიწა-წყალს და მდ. ლაჯანურის ხეობას². იგი ერთგვა-
რი ქვაბულია, რომელიც მეზობელ კუთხეებთან დაკავშირებულია
კლდეკარებითა და უღელტეხილებით. რაჭას ესაზღვრება მდ. ასკიო,
სამეგრელოს—ასხისა და უნაგირას მთებით, იმერეთს—საზღვარათი,
ხოლო სვანეთს—ყვედრეშის ღელეთი [4, გვ. 86. 3, გვ. 129. 64, გვ. 40].

არსებული ისტორიული ტრადიციით, ლეჩხუმი ზემო და ქვემო
ლეჩხუმად იყოფა. ზემო ლეჩხუმი მოიცავს ცხენისწყლის, ლაჯანური-
სა და ხელიშურის ხეობებს და რიონის ხეობის ნაწილს; ქვემო ლე-
ჩხუმი (ანუ კლდედაღმართი) კი მოიცავს რიონის ხეობის სოფლებს
ტვიშიდან ლეხიდრის შესართავამდე [19, გვ. 749. 4, გვ. 86].

ლეჩხუმის ჰავა კონტინენტურია. ზღვის გავლენა შესუსტებულია
ოროგრაფიული დაბრკოლებებით (ლეჩხუმის ქედი), რის გამოც ჰაე-
რის სინოტივე ლეჩხუმის უმეტეს ნაწილში ზომიერია; ზაფხული საკ-
მაოდ ცხელი და ხანგრძლივია, ხოლო ზამთარი ზომიერად თბილი. ეს
გარემოება ხელს უწყობს მრავალწლიანი კულტურების, განსაკუთრე-
ბით, ვაზის გაშენებას, მემინდვრობის, შეფუტკრეობის, მებაღეობის,
მებოსტნეობის და სხვ. განვითარებას. სამეურნეო თვალსაზრისით,
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეჩხუმის დაბალმთიანი ნაწილი
(მთისწინეთი). კარგი კლიმატური პირობებისა და ნოყიერი ნიადაგის
გამო ლეჩხუმის ვენახებისა და სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი
აქაა თავმოყრილი [91, გვ. 4—5].

საინტერესოა, რომ ლეჩხუმში მოჰყავდათ ველურიდან კულტუ-
რულ პურეულში გარდამავალი ენდემური ჯიშები—მახა და ზანდური.
ამიტომ ლეჩხუმი მსოფლიო პურეული მცენარეების აკულტურაციის
ერთ-ერთ წრეში შეჰყავთ [130, გვ. 264]. აქ არ შეიძლება კიდევ ერთ-
ხელ არ გავიხსენოთ ჩვენი დიდი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის
მეტად სხარტი დახასიათება ლეჩხუმისა—„თუმცა არს ლეჩხუმი მთის
ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ბილიანი, მოვალს ყოველნი

² ისტორიული ლეჩხუმის სოფლების უმრავლესობა თანამედროვე ადმინისტრა-
ციული დაყოფით ცაგერის რაიონს განეკუთვნება. ხოლო ნაწილი სოფლებისა ჰე-
დის ხონის, წყალტუბოსა და ამბროლაურის მიმდებარე რაიონებში [იხ.: 20, გვ. 3].

მარცვალნი თვნიერ ბრინჯ-ბამბისა. გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენი სიმრავლით“ [19, გვ. 749].

4. ქვეყნის სახელწოდება—**ლ ე ჩ ხ უ მ ი**—აშკარად არქაელ იერს ატარებს. ეთნიკური ელემენტის შემცველია და ქვეყნის შიგნით ქართველურ ტომთა გადაადგილებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ეტიმოლოგია სახელწოდებისა, დაწყებული ვახუშტი ბატონიშვილიდან დღემდე, მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს და იხატება აზრთა სხვადასხვაობაში. ვახუშტი ბატონიშვილმა **ლ ე ჩ ხ უ მ ი**ს ეტიმოლოგიის ახსნა სვამლთან კავშირში სცადა [19, გვ. 148]. ნ. მარი **ლ ე ჩ ხ უ მ** სახელწოდებას ხსნის **ჩ ხ უ მ** ვარიანტით. **ჩ ხ უ მ ი-ჩ ხ ო მ ი** მეგრულად თევზს ნიშნავს და ნ. მარი თვლიდა, რომ **ლ ე ჩ ხ უ მ ი** იმ სპერულ-სუბარული ტომების ადგილსამყოფელი იყო, რომელთა ტოტემს თევზი წარმოადგენდა [256, გვ. 96]. **ჩ ხ უ მ-ჩ ხ ო მ** ვარიანტით სახელწოდების ახსნა გაიზიარეს ბ. კუფტინმა და ი. ყიფშიძემ. **ჩ ხ უ მ-ც ხ უ მ**ს უკავშირებენ **ც ხ ო მ-ც ხ უ მ** — სოხუმს, დიოსკურია-ტყუბნის (ტყუბნის ქვეყანას) და აქედან კაბირების კულტს [235, გვ. 235. 225, გვ. 235. 54. 146—147]. მ. ჩიქოვანისა და დ. მუსხელიშვილის აზრით, **ლ ე ჩ ხ უ მ ი**ს უძველეს სახელწოდებას უნდა ინახავდეს სოფელი ჩქუმი, რომელიც მდ. ჯანოულის ხევშია [132, გვ. 46. 86, გვ. 124—126]. ქ. მუშკუდიანს **ლ ე ჩ ხ უ მ ი** მეგრულ-სვანური წარმოშობის სახელწოდებად მიაჩნია. მისი აზრით, მეგრული სიტყვის **ჩ ხ ო მ ი-სა** და სვანური **ლ ე-პრეფიქსის** შეერთებით ვღებულობთ **ლ ე ჩ ხ უ მ**ს, რაც ქართულად სათევზეს ნიშნავს (88, გვ. 147—148). ივ. ჯავახიშვილს, გ. ჩიტაიას, მ. ალავიძეს და ლ. სახაროვას მიაჩნიათ, რომ სახელწოდება „**ლ ე ჩ ხ უ მ ი**“ სვანურისაგან არის ნაწარმოები [143, გვ. 422. 130, გვ. 267. 5, გვ. 147. 106, გვ. 4. 282, გვ. 4—5]. **ლ ე**—სვანური გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი პრეფიქსია, **ჩ ხ უ მ ი-ც ხ უ მ** **ც ხ ვ ი მ ი**ს შესატყვისი. **ლ ე-ც ხ ვ ი მ** კი სვანურად რცხილნარს ნიშნავს. ამ მოსაზრებას მ. ალავიძე იმით ასაბუთებს, რომ **ლ ე ჩ ხ უ მ ი**ს ბევრ სოფელს და ადგილს სვანური წარმოშობის საკუთარი სახელი აქვს, რომელიც უმთავრესად ბუნების რომელიმე მონაცემზე მიუთითებს³.

როგორც ჩანს, საკამათო არ არის ის გარემოება, რომ **ლ ე ჩ ხ უ მ ი** სვანურ-ზანური წარმოების სახელია და იმ დროს უნდა იყოს შექმ-

³ მაგალითად, ცაგერი/ცაგარ ნიშნავს ეკლნარს, ლაბეკინა/ლაბეჩ—ქვიანს, ლუხვანო/ლუხვან — კლდიანს, ლუშკედა/ლუშკედო — ჩრდილიან ადგილს და სხვ. [5, გვ. 147; აგრეთვე იხ.: 120].

ნილი, როდესაც ლეჩხუმში სვანურ-ზანური ტომები ცხოვრობდნენ. ეს გარემოება კი დასტურდება როგორც ენობრივი, ასევე ტოპონიმიკური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებით [132, გვ. 46]. ე. ი. საეჭვო არაა, რომ სახელწოდება ლეჩხუმის ძირი ჩხუმი ზანური შესატყვისია ცხუმი-ცხომი ფორმისა. ხოლო როგორც ს. ყაუხჩიშვილმა დაასაბუთა (გაიზიარეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ლომოურმა, დ. ბერძენიშვილმა [148, გვ. 100, 21, გვ. 456, 66, გვ. 72—78, 100, 20, გვ. 10]) ჩხუმ-ცხუმის ბერძნულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს სკვიმია, რომელიც პროკოპი კესარიელის აღწერილობის მიხედვით ამ დროს ლაზეთში შემავალ ქრისტიანულ პროვინციას—ლეჩხუმს—ესადაგება. ე. ი. ბერძნული წყაროები და ეტიმოლოგია სახელწოდებისა ლეჩხუმი—ლეცვიმ (ლე-ცხუმი) სკვიმია მის სიძველეზე მიგვანიშნებს. [283, გვ. 4—5].

მაგრამ ქართულ ისტორიულ წყაროებში სახელწოდება ლეჩხუმი გვიან ჩნდება. XVII საუკუნის დასაწყისში მას იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი — „თაკვერი, რომელსაც აწ ქვიან ლეჩხუმი“ [121, გვ. 349, 122, გვ. 27, 33, 49], ე. ი. ქართულმა ისტორიულმა წყარომ იცის, რომ ლეჩხუმს თაკვერი ერქვა. ტოპონიმი თაკვერი კი ქართულ ისტორიულ წყაროებში ჩნდება უკვე XI საუკუნის ისტორიკოსთა — ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებში. მაგრამ თაკვერი იხსენიება IV—V საუკუნეების ამბების თხრობისას. VI საუკუნის ბიზანტიური წყაროები (პროკოპი კესარიელი, იუსტინიანე, [127, გვ. 37, 126 197]) კი არ იცნობენ ამ ტოპონიმს და იხსენიებენ სკვიმნიას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლეჩხუმის ბერძნულ შესატყვისადაა მიჩნეული. საინტერესოა, რომ დაახლოებით ამავე ხანებში სომხური გეოგრაფია ერთმანეთს მეზობლად იხსენიებს სკვიმნიებისა და თაკვერელების ტომებს, რომლებიც დასახელებულია მარგველებსა და ალან-დიგორელთა შორის [იხ.: 20, გვ. 10—11].

ფიქრობენ, რომ ბიზანტიური და სომხური წყაროების სკვიმნიები ლეჩხუმელები (ცხუმა რები?) ცხენისწყლისხეობელები არიან. მაშინ თაკვერი და თაკვერელები უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა ვივარაუდოთ. ამ თვალსაზრისით შეიძლება ნიშანდობლივი იყოს ჯუანშერის ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველოში ჰყოლია „...ბაკურ, ერისთავი მარგვსა და თაკურისა“ [121, გვ. 185].

მაგრამ ამ ვარუდს ხელს უშლის თაკვერის ლოკალიზაცია ცხენისწყლის ხეობაში. დ. მუსხელიშვილის აზრით, თუ ზუბის ციხის გაიგივება ვახუშტისეულ თაკვერის ციხესთან სწორია, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ თაკვერის ციხის (ზუბის ციხის) „ხევი“ წარმოადგენდა სწორედ „თაკვერს“ [86, გვ. 124—126].

ყოველივე ეს ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საინტერესო საფუძველს ქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევისათვის.

ზემოთ განხილული ცნობების საფუძველზე ჩვენ დასაბუთებულად მიგვაჩნია, რომ სახელწოდება ლეჩხუმი (ლექხვიმ-ცხუმ-სკვიმია) უფრო ადრეულია და პირვანდელი სახელწოდებაა ქვეყნისა.

ბუნებრივია, ასახსნელია რატომ გაქრა ქვეყნის ადრინდელი სახელწოდება და საიდან გაჩნდა სახელწოდება თაკვერი? ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება ლ. სახაროვას ვარაუდი, რომ თაკვერი წარმოადგენდა გარკვეულ გეოგრაფიულ-პოლიტიკურ ერთეულს, საერისთაოს, რომლის დაწინაურებამ და უპირატესობამ განსაზღვრა ქვეყნის სახელწოდება; რომ ქვეყანამ მიიღო თავისი ძველი სახელწოდება — ლეჩხუმი მას შემდეგ, რაც თაკვერის საერისთაომ შეწყვიტა არსებობა, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა. [283, გვ. 5].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეჩხუმი მდიდარია წიაღისეულით, ჰიდრორესურსებით, ტყეებით. ბუნებრივმა მონაცემებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა აქ ადამიანთა განსახლებისათვის უძველესი დროიდან და განაპირობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული დაწინაურება.

I. ცხეთის სამაროვანი

1962 წელს ლეჩხუმში მივლინებულ იქნა შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი. რომელმაც სოფ. ცხეთაში მიაკვლია და გათხარა ანტიკური ხანის სამარხები. სოფ. ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით 15 კმ-ის მოშორებით. სოფელი შეფენილია საკმაოდ მაღალ მთაზე, რომელზეც აღმართულია წმინდა გიორგის სახელობის XVIII ს-ის ეკლესია. იგი ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ლეჩხუმში [48, გვ. 43]. სოფ. ცხეთას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის ერთმანეთზე მიჯრილი ხუთი ბორცვი, რომელსაც ყვავიქედას ეძახიან. ბორცვი, რომელიც უშუალოდ ეკვრის სოფელს, წარმოადგენს ნასახლარ გორას. მასზე დამოწმებულია ძვ. წ. VI—V სს-ის კულტურული ნაშთები (თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ზოდი) [105, გვ. 35]. სავარაუდოა, რომ რაზმის მიერ მიკვლეული სამაროვანი იწყება ყვავიქედას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთით. მთელი ეს ფართობი ამჟამად დასახლებულია, რის გამოც ზოგი სამარხი განადგურებულია და არეული. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მინდაძეებისა და ფალავანდიშვილების ოჯახებიდან შედიოდა ცაგერის მხარეთმცოდნეობის ზუმეუმში სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ნივთები. არ არის გამორიცხული, რომ მასალის გარკვეული ნაწილი მუზეუმში არ ხვდებოდა.

სამაროვანზე წარმოებული გათხრების შედეგად გამოიკვეთა 15 ორმოსამარხი. აქედან შედარებით უკეთ იყო დაცული 5 სამარხი. სამარხები ჩვეულებრივ ორმოებს წარმოადგენს. უკეთ დაცულ სამარხებში ჩანდა, რომ მიცვალებულები დასვენებული იყვნენ გვერდზე, კიდურებმოხრილი (სამარხი № 2, № 5, № 9, № 13, № 14); მხოლოდ ერთ სამარხში (№ 5) იქნა დამოწმებული ძლიერ მოხრილი დასაფლავება. თითქმის ყველა სამარხი ორიენტირებული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ [105, გვ. 34].

1. ცხეთის სამაროვნის მასალის ტიპოლოგიურ-
კრონოლოგიური კვლევა

ცხეთის სამაროვნის სამარხეული ინვენტარით წარმოდგენილია:
1. ქსამკაულით (სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, სასაფეთქლე/?,
მძივები). 2. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ფიბულები,
ქინძისთავეები, აბზინდები), 3. საბრძოლო და სამეურნეო იარაღით
(რკინის შუბისპირები, დანები, სალესები) და 4. თიხის კერამიკით.

1. 1. ს ა მ კ ა უ ლ ი

ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი. სამაროვანზე მოპოვებული 17 სამაჯურიდან
ერთი ვერცხლისაა, ერთი რკინის, ხოლო დანარჩენი ბრინჯაოსი. მიუ-
ხედავად მცირე რაოდენობისა, მაინც არის საშუალება მათი ტიპო-
ლოგიური და ქრონოლოგიური დაჯგუფებისა.

სამაჯურები ფორმის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

I. ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი: ა) ოდნავ დაბრტყელებულ
ბოლოებზე გველის თავის სქემატური გამოსახულებით — თხრილი VII
(1 ცალი), სამარხი № 13 (4 ცალი) და ბ) ოდნავშემსხვილებულ მრვ-
ვალგანივკვეთიან ბოლოებზე ირგვლივი ნაჭდევებით — სამარხი № 4
(2 ცალი), ე. ი. სულ 7 ცალი.

II. ზურგსწორი, თავბოლოგადადებული, სადა: მხოლოდ ერთ სა-
მაჯურს აქვს ტანი შემკული ირიბი ნაჭდევებით, ხოლო ბოლოები კი
დაწახნაგებული — თხრილი II (1 ცალი), თხრილი VII (2 ცალი),
თხრილი XV (3 ცალი), ე. ი. სულ 6 ცალი.

III. თავბოლოგადადებული და გადახვეული — სამარხი № 1 (2
ცალი), სამარხი № 2 (2 ცალი), ე. ი. სულ 4 ცალი.

I. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 7 ცალი სამაჯური (№ 6 და № 13
სამარხებიდან, VII თხრილიდან) ერთი ტიპისაა — დამზადებულია
ბრინჯაოს მავთულისაგან, ზურგშედრეკილია, რკალი გახსნილია და
შემკულია ჭდეული ორნამენტით [კატ. № 1—6, სურ. 13].

ზურგშედრეკილი სამაჯურები ძვ. წ. V საუკუნემდე უცნობია რო-
გორც წინა აზიისათვის, ასევე ამიერკავკასიისათვისაც [235, გვ. 39].
ამ ტიპის სამაჯურების გაჩენას საქართველოს ტერიტორიაზე აქემენი-
დურ ირანს უკავშირებენ, სადაც ამგვარი სამაჯურები გავრცელებული
ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელი იმპერიის ტერი-
ტორიაზე (ავღანეთიდან კვიპროსამდე). ზურგშედრეკილი სამაჯურე-

ბის გავრცელებას უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია კავკასია; ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი სამაჯურები არ გვხვდება [236, გვ. 38; 49, გვ. 147—149; 25, გვ. 21—23]. ელინისტურ ხანაში საქართველოში ზურგშედრეკილი სამაჯურების ფორმა გაბატონებული ჩანს. მაშინ როცა აქემენიდურ ირანში ამგვარი სამაჯურები თითქოს მთლიანად გამქრალია. ჩვენში მათი წარმოება საუკუნეთა მიჯნამდე გრძელდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც კი არის აღმოჩენილი [27, გვ. 19].

ცხეთის სამაროვანზე მოპოვებულ ზურგშედრეკილი ტიპის სამაჯურებში შეიძლება რამდენიმე სახეობის (თუ ვარიანტის) გამოყოფა.

I. I. № 13 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურებიდან ორს (კატ. № 3, 4, სურ. 13) და № 12 სამარხის სამაჯურს (კატ. № 2, სურ. 13) ოდნავ შემსხვილებული და დაბრტყელებული თავები შემკული აქვთ ირიბი და განივი ჭდეებით გადმოცემული სტილიზებული გველის თავებით; ხოლო მეორე წყვილს (კატ. № 5, 6, სურ. 13) თავები შემკული აქვთ გარდა განივი ჭდეებისა. ამ ჭდეებს შორის მოქცეული წრეხაზებითაც. ამგვარად შემკული სამაჯურები არის შემოფარცმის ძვ. წ. III ს-ის ბოლოთი და ძვ. წ. II ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სამაჯურების შემცველ ქვევრსამარხებში კოლხური თეთრი აღარ გვხვდება [43, გვ. 89—90]. მსგავსი შემკულობის, ოღონდ ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურები ცნობილია დაბლაგომის ქვევრსამარხებიდან [51, ტაბ. III, 8]. დაფნარის ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ძვ. წ. III—II საუკუნეებით დათარიღებული სამაჯურებიც ჩვენი სამაჯურების მსგავსი ფორმისაა, ოღონდაც შემკულობის გარეშე, რაც სამკაულის დიგრადაციის ნიშნადაა მიჩნეული [294, გვ. 53]. ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში მოპოვებული მსგავსი სამაჯურები დათარიღებული იყო ძვ. წ. III საუკუნით (ამჯერად ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებენ) [207, გვ. 324; 51, გვ. 31]. ცხეთის სამაჯურების ზუსტ ანალოგიად შეიძლება ჩავთვალოთ შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხის სამაჯურები ფარცხანაყანევიდან, რომელიც გვიანელინისტური ხანით არის დათარიღებული [79, გვ. 88]. მსგავსი სამაჯურები ცნობილია სოფ. მუხიანიდანაც [51, გვ. 32] და წითელი შუქურას ძვ. წ. V—III სს-ით დათარიღებული ე. წ. „უმცროსი ჯგუფის“ ორმოსამარხიდან (№ 39/150) [297, გვ. 283, ტაბ. X, 5: 244, გვ. 51].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი სამაჯურები გვხვდება სამთავროს ძვ. წ. II ს-ით დათარიღებულ ქვევრსამარხებში

[51, გვ. 52], უფლისციხის ბამბების (ძვ. წ. I ს-ის მეორე ნახევარი) და ყათნალიხევის (ძვ. წ. III—II სს.) ორმოსამარხებში [139, გვ. 81—82, ტაბ. XLVIII; გვ. 84, ტაბ. L]: ბ. კუფტინის მიერ გათხრილ გვიანაქემენიდური ხანით დათარიღებულ ქვისსამარხში სოფელ სან-თასთან (ნერონ-დერესი) [233, გვ. 31]⁴.

ზემოთ მოყვანილი ანალოგიური მასალის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია ცხეთის სამაროვნის ზურგშედრეკილი სამაჯურების I სახეობის დათარიღება ძვ. წ. III ს-ის ბოლოთი და II—I სს-ით.

I. II. ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული ზურგშედრეკილი სამაჯურების II სახეობა ერთი სამაჯურითაა წარმოდგენილი (სამარხი №6, სურ. 2). ისიც დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს მავთულისაგან. I სახეობისაგან განსხვავებით მისი შემსხვილებული მრგვალგანივკვეთიანი ბოლოები ჩამოჭრილია სწორად და შემკულია ირგვლივი ნაკვეთებით (კატ. №1, სურ. 13). ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია ეშერის კრემაციულ სამარხში, რომელსაც ბ. კუფტინ-ელინისტური ხანით ათარიღებდა [235, გვ. 34—36, ნახ. 8]. ამჟამად ეშერის სამარხები ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით ან ძვ. წ. III—II სს-ით თარიღდება ამფორის მიხედვით, რომელიც კ. კოსის ნაწარმად განისაზღვრა [201, გვ. 106]⁵. მსგავსი სამაჯურები დადასტურებულია აგრეთვე სოფელ მუხიანის (ქუთაისთან) გვიანელინისტური ხანით დათარიღებულ ქვევრსამარხში [51, გვ. 32—33, ტაბ. XXXI].

ცალკე უნდა აღნიშნოთ №6 სამარხში აღმოჩენილი რკინის ზურგშედრეკილი სამაჯურის ფრაგმენტი (კატ. №7, სურ. 13). როგორც ჩანს, სამთავროს, დაბლაგომის, დაფნარის ქვევრსამარხების მსგავსად, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები ცხეთის სამაროვანზეც თანაარსებობდა და იმეორებს ბრინჯაოს სამაჯურების ფორმას [51, გვ. 13; 49, გვ. 147; 224, გვ. 19, 32, 39]. რკინის ზურგშედრეკილი სამაჯურები აღმოსავლეთ საქართველოდან ცნობილია: სამთავროს ქვევრსამარხებიდან [39, გვ. 146]⁶, უფლისციხეში ძვ. წ. III—II სს-ით დათარიღებულ ყათნალიხევის №1 ორმოსამარხიდან [139, გვ. 84, ტაბ. L5], კამარახევის [101, გვ. 32], ასურეთის, აბელიის [59, გვ. 45], დიდუბის [124, გვ. 58] და ვასასწყაროს სამაროვნებიდან [39, გვ. 146].

⁴ თარიღთან დაკავშირებით შეადარეთ. 27, გვ. 10 და შემდეგი. აგრეთვე. 51, გვ. 53-ზე შენიშვნა 67.

⁵ ბ. კუფტინს ამფორის წარმოშავლობა განსაზღვრული არ ჰქონდა, მაგრამ მის იმპორტულობას კი აღნიშნავდა. იხ.: 235, გვ. 30.

⁶ იხ.: ამ-ვე ნაშრომის შენიშვნა 111.

II. ზურგსწორი, თავბოლოგადადებული, სადა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გრეხილრკალიანი და თავებდაწახნაგებული სამაჯური 6 ცალია. ყველა დამზადებულია ბრინჯაოსაგან. მოპოვებულია №12 სამარხში და II, XV თხრილებში.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ჯგუფის სამაჯურებიდან შემკულია ერთი სამაჯური, რომელსაც გრეხილი რკალი აქვს, ხოლო სადა ბოლოება დაწახნაგებული (კატ. № 9, სურ. 14). ამგვარი სამაჯურები ცნობილია „წითელი შუქურას“ ძვ. წ. V—II სს-ით დათარიღებული ე. წ. უმცროსი ჯგუფის № 32/113 სამარხიდან [297. გვ. 273, 281, ტაბ. XXVII₁], სადარკალიანი ბოლოებდაწახნაგებული სამაჯურები ცნობილია ფარცხანაყანევიდან [51. ტაბ. XXVII₃, 4], სკვითური ნეაპოლის ძვ. წ. II — ახ. წ. I სს-ით დათარიღებული სამარხიდან [313. გვ. 73. ტაბ. XV₁, 2]; მთლიანად გრეხილრკალიანი სამაჯური აღმოჩნდა გომარეთში, ძვ. წ. IV—III სს-ით დათარიღებულ ქვაყუთში [38. გვ. 93, სურ. 339].

ხოლო რაც შეეხება სადა სამაჯურებს (კატ. № 10—13, სურ. 14), ბ. კუფტინის დაკვირვებით. აფხაზეთში და კოლხეთის დაბლობზე ელინისტური ხანის შემდგომ ზურგმედრეკილი სამაჯურები ქრება და კვლავ ბატონდება მრგვალი და ოვალური ფორმის სამაჯურები [235. გვ. 39]. ამ ვითარების ამსახველი უნდა იყოს ცხეთის სამაროვანზე მრგვალი ფორმის სამაჯურები.

III. თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯურები 4 ცალია. ერთი ვერცხლისაა, ხოლო სამი ბრინჯაოსი (კატ. № 14—17, სურ. 15). თავბოლოგადახვეული სამაჯურები ახ. წ. I—III საუკუნეებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია [118. გვ. 57]. მაგრამ გვხვდება უკვე ძვ. წ. I საუკუნიდან. მაგალითად, ალაიანში ძვ. წ. I სს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 4 ორმოსამარხში ვერცხლის წყვილი სამაჯური აღმოჩნდა [176. გვ. 24; 24. გვ. 24]. თავბოლოგადადებული სამაჯურები აღმოჩენილია ალაიანის ახ. წ. I სს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ № 14 ორმოსამარხშიც [176. გვ. 24]. ოქროს წყვილი სამაჯური აღმოჩნდა არმაზისხევის № 9 ბავშვის სამარხში, რომელიც ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებით თარიღდება [8. გვ. 99]⁷. ერთი წყვილი ოქროს სამაჯური აღმოჩნდა ბავინეთის ახ. წ. II ს. სარკოფაგში. ოქროსი და ბრინჯაოს სამაჯურები აღმოჩენილია სამთავროს ახ. წ. I—III სს. სა-

⁷ თარიღთან დაკავშირებით იხ.: 118. გვ. 57— სამთავროს № 243 სამარხს ავტორი მინის სანელსაცხებლის მიხედვით IV ს-ით ათარიღებს.

მარხებში [80, გვ. 47, 48; ოქროს სამაჯური ცნობილია სოფ. არაგვისპირში გათხრილ №13 მდიდრული სამარხიდან, რომელიც ახ. წ. III ს-ის ბოლოთი და IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [278, გვ. 73, ტაბ. LIII]. თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯურები მომდევნო საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას (IV—VIII სს. მაგ., სამთავროს ქვეს №118 (1938 წ.), არმაზისხევის „ტყისუბნის“ ქვეს №12 (1948 წ.) და სხვ. [118, გვ. 57; 15, გვ. 81]) და გარკვეულ თავისებურებებსაც იძენს, მაგ., სტირფაზის (სამხ. ოსეთი) №74 IV—VII საუკუნეებით დათარიღებულ მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სამაჯურის ზურგი ე. წ. პერაკლეს კვანძითაა შემკული [295, გვ. 102, 106, ტაბ. LI₃]. ხოლო სოფ. მონასტრის სამაროვანზე (ისტორიული შიდა ქართლი), რომელიც ახ. წ. I—II სს-ით თარიღდება, აღმოჩენილია ზურგზეგადახვეული და ზოომორფული გამოსახულებებით შემკული რკალგახსნილი სამაჯური [185, გვ. 484].

ბ. კუფტინი ბოლოგადახვეული სამაჯურების გაჩენას დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I სს-ში ვარაუდობს [235, გვ. 55; 236, გვ. 39]. კლდეეთის ახ. წ. II ს-ით დათარიღებულ №4 ორმოსამარხში აღმოჩნდა ჩვენი სამაჯურების მსგავსი ვერცხლის საყელური და ელექტრუმის სამაჯური, რომელსაც თავები შემკული აქვს ცვარაშემოვლებულ ბუდეებში ჩასმული ნუშის ფორმის მოწითალო თვლებით; თავები ერთმანეთზე გადაბმულია წვრილი მავთულით [67, გვ. 147—148, ტაბ. XIX₁]. ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია ბორში [275, გვ. 14, ტაბ. II—V] და ჩხოროწყუს კრემაციულ სამარხში [305, გვ. 6]. კლდეეთის სამაჯურის მსგავსად, ბოლოებგაფორმებული სამაჯური აღმოჩნდა ურეკშიც [119, გვ. 93—94]. ბოლოებგადახვეული სამაჯურები მრავლად არის აღმოჩენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც. ტანაისში აღმოჩენილ მსგავს სამაჯურებს ტ. კრიპოვიჩი ძვ. წ. ბოლო და ახ. წ. I საუკუნეებით ათარიღებს [226, გვ. 60, სურ. 7, 17]. ხოლო დ. შელოვი — ახ. წ. I საუკუნეებით [312, გვ. 75].

სკვითურ ნეაპოლში მსგავსი სამაჯურები აღმოჩნდა ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებით დათარიღებულ XXIX სამარხში, მხოლოდ ამ სამაჯურების რკალი გრებილია [313, ტაბ. XV₃; 290, გვ. 94]. დადასტურებულია მსგავსი სამაჯურები აგრეთვე სოფ. ნოვოოტრადნოესთან გათხრილ სამაროვანზე ახ. წ. I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში. ტ. არსენიევა აღნიშნავს, რომ თავგადახვეული სამაჯურები ჩრდილოეთში გავრცელებული ჩანს ძვ. წ. I — ახ. წ. I—II საუკუნეებში [163, გვ. 138—139]. მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია სოფ. სემიო-

ნოვეასთან გათხრილ ნეკროპოლზე, გვიანი ხანის სამარხებში [295, გვ. 98] და სამხრეთ-დასავლეთ ყირიმში, სკალისტოე III სამაროვანზე, რომელიც I—III საუკუნეებით თარიღდება [174, გვ. 143].

ჩრდილო კავკასიაში თავბოლოგადახვეული სამაჯურები ცნობილია რუთხადან, ჩმიდან, დალაგაუდან, კომუნთადან [300, გვ. 81, ტაბ. XXXIV₁₁, XXXIX₁₆]. თავგადახვეული სამაჯურები აღმოჩენილია აზერბაიჯანშიც [157, გვ. 239, 241]. რუმინეთში, პოიანას ნამოსახლარზე აღმოჩნდა ძვ. წ. I ს-ით დათარიღებული ვერცხლის გვერგვი და თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯური [301, გვ. 147], ასევე კალატისში [327, გვ. 122—123, ტაბ. XIX]. თავითთავზე გადახვეული ერთი სადარკალიანი, ხოლო ორი გრეხილრკალიანი ოქროს სამაჯური, რომლებიც ახ. წ. I—II საუკუნეებითაა დათარიღებული, დაცულია ბრუკლინის, ბრიტანეთის და ბენაკის მუზეუმებში [316, გვ. 148—149].

ამგვარად, თავბოლოგადადებული და გადახვეული სამაჯურები, როგორც პარალელური მასალით დავინახეთ, ფართოდ იყო გავრცელებული და მზადდებოდა მრავალგვარი მასალისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) და ზოგ შემთხვევაში შემკული იყო ფერადი თვლებით, ცვარათი (კლდეეთი), პერაკლეს კვანძით (სტირფაზი) და სხვ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენ მიერ შესამე ჯგუფად გამოყოფილი სამაჯურების მსგავსი სამაჯურები ძირითადად დამახასიათებელი იყო რომაული ხანისათვის, თუმცა ხმარებაშია უფრო გვიანაც.

ს ა ყ უ რ ე ე ბ ი (კატ. №18, სურ. 16). ცხეთის სამაროვანზე მხოლოდ ერთი წყვილი საყურეა აღმოჩენილი (ბავშვის სამარხი №2). საყურე ოქროსია, რგოლი მრგვალგანივკვეთიანია და გახსნილი, ოდნავ შემსხვილებული და სწორად ჩამოჭრილი ბოლოებით. რგოლის ერთ თავთან მირჩილულია ყურძნის მტევნის ფორმის გამოსახულება. „ყურძნის მტევანი“ შედგენილია ერთმანეთზე მირჩილული მსხვილი მარცვლებისაგან, რომელთაც თავის მხრივ მირჩილული აქვთ უფრო პატარა ბურთულებისაგან შედგენილი „მტევნები“. „ყურძნის მტევნის“ ფორმის საყურეები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ხმელთაშუაზღვისპირეთში არქაული ხანიდან მოყოლებული ანტიკური პერიოდის ჩათვლით [15, გვ. 68—69].

დასავლეთ საქართველოში „ყურძნის მტევნის“ ფორმის საყურეები აღმოჩენილია ბორში (275, გვ. 7)⁸, კლდეეთში [67, გვ. 41—42], ოღონდ ისინი რამდენადმე განსხვავებულია ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილისაგან — მტევნით შემკულ რგოლზე ჩამოკიდებულია მტევნის გამოსახულება. შედგენილი ფუყე (ღრუ) ბურთულებითა და ცვარას მარცვლებით. ბერძნულ-რომაულ სამყაროში მსგავსი ფორმის საკიდები (ღრუბურთულოვანი) საყურეთა გარკვეული სახეობის ერთერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა [208, გვ. 103]. მსგავსი წყვილი საყურე აღმოჩენილია ურეკშიც [7, გვ. 89—125].

მოდინახეზე აღმოჩნდა 6 საყურე; აქედან ორი ცხეთის საყურეების მსგავსია, ორი საყურის „მტევანი“ მხოლოდ დიდი ცვარას მარცვლებით არის შედგენილი, რომლებზეც ცვარას მცირე მარცვლები აღარ არის დარჩილული; მესამე წყვილს არამც თუ მტევნები, რგოლებიც კი ცვარათი აქვს დაფარული. მოდინახეს საყურეები აღმოჩენილია IV საუკუნით დათარიღებულ სამარხში [89, გვ. 62, 63].

აღმოსავლეთ საქართველოში ამ ფორმის საყურეები აღმოჩენილია სამთავროში, II—III სს-ით დათარიღებულ № 186 [208, გვ. 103; 10, გვ. 130] და III—IV სს-ით დათარიღებულ კრამიტსამარხებში [80, გვ. 69], მოგვთაკარის I—III სს-ით დათარიღებულ № 4 ქვისსამარხში [110, გვ. 119], კარსნისხევში I—II სს-ით დათარიღებულ № 27 და № 32 კრამიტსამარხში [10, გვ. 51, 93], ურბნისში, I—II სს-ით დათარიღებულ № 3 სამარხში [137, გვ. 51—52]. მსგავსი საყურეები აღმოჩენილია ეინვალის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბნის ორმოსამარხები, 4 ცალი) [281, გვ. 108—109, ტაბ. LXXXI₄] და ბეგისკალის სამაროვანზე (III—IV სს). [279, გვ. 59, ტაბ. XCII₄].

ჩრდილო კავკასიაში ამგვარი საყურეები აღმოჩენილია რუთხაში და კომუნთაში [300, ტაბ. CIII_{1, 2, 3}, CXXV₅].

ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ამგვარი საყურეები II—III საუკუნეებით თარიღდება (ქერსონესი, ქერჩი) [267, სურ. 67; 243, გვ. 245; 210, გვ. 180].

ამგვარად, თავბოლოგადადებული სამაჯურების მსგავსად, ყურძნის მტევნის ფორმის საყურეებიც დამახასიათებელი ჩანს რომაული ხანისათვის, მაგრამ მომდევნო საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას

⁸ ირთო საყურე ინახება ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში. ხოლო მეორე — ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ინვ. № 2607).

(მაგ., სამთავროს მასალების მიხედვით საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოს ავსებს — II—IX სს.) [208, გვ. 103].

საყურე რგოლი (კატ. № 19, სურ. 16) ბრინჯაოსია (№ 2 სამარხიდან) და ცალი ბოლო შემკული აქვს სუსტად გამოკვეთილი დაწახნაგებული მძივით. რგოლი მთლიანად სხმულია. ამგვარი საკიდები აღმოჩენილია მცხეთაში (IV—VIII სს.). IV საუკუნიდან მსგავსი საკიდების ზომა იზრდება, ხოლო V ს-დან მძივი გამოკვეთილად დაწახნაგებული ხდება. ამგვარი საკიდები გავრცელებულია ჩრდ. კავკასიიდან მოყოლებული უნგრეთამდე; მათ გავრცელებას ალანებს უკავშირებენ [167, გვ. 231—235; 152, სურ. 7].

ბეჭედი (კატ. № 20, სურ. 2; 16). სამაროვანზე აღმოჩენილია ერთადერთი ბეჭედი, რომელიც რკინისაა და ოვალურფარაკიანია (VII თხრილი). ცუდი დაცულობის გამო ბეჭდის შესახებ რაიმე კონკრეტულის თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი უნდა განეკუთვნებოდეს კოლხეთსა და იბერიაში ძვ. წ. V—III სს-ში გავრცელებულ კრილაფარაკიან ბეჭდებს (71).

ოქროს ფირფიტის (კატ. № 21, სურ. 16) ფრაგმენტის დანიშნულება ჩვენთვის გაურკვეველია.

მძივსამკაული⁹. ცხეთის სამაროვანზე წარმოდგენილი მძივსამკაული მეტად მრავალფეროვანია. გვაქვს შემდეგი სახეობები: ქვის, ქარვის მძივები, ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი, ერთფერი და პოლიქრომიული მინის მძივები, ოქროფენილი მძივები.

ქარვის მძივები (კატ. № 22—24, სურ. 17), რომლებიც აღმოჩენილია № 1 (2 ც.), № 2 (4 ფრ.) და № 4 (2 ც.) სამარხებში, ორი ტიპისაა. № 1 და № 2 სამარხებში (კატ. № 22, 23, სურ. 4; 5) მოპოვებული ქარვის მძივები კუთხეებმომრგვალებული, დაბრტყელებული მართკუთხედის ფორმისაა (ე. ალექსეევას კლასიფიკაციით 44-ე ტიპი). ამ ფორმის მძივები სხვადასხვა ზომისაა და მზადდებოდა ქარვის კენჭებისაგან მცირეოდენი დამუშავების გზით. ჩვენში ქარვის მძივები აღმოჩენილია სუფსაში, ახალ ათონში (ყოფილი ფსირცხა), ურეკში [208, გვ. 131], ბრილში [32, გვ. 103], სამთავროს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე [9, გვ. 195; 12, სურ. 1525; 75, გვ. 48, 90]. ცხეთის სამაროვნის ქარვის მძივების პირველი ტიპის ზუსტი ანალოგიაა კლდეეთში აღმოჩენილი ქარვის მძივები [67, გვ. 64, ტაბ. XII₁]. ზემოთაღნიშნული

⁹ ცხეთის სამაროვნის მძივსამკაულის შესწავლისას ვიხელმძღვანელობთ სეევას კლასიფიკაციით.



შნული ტიპის მძივები ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ისინი დამახასიათებელია II საუკუნის კომპლექსებისათვის, მაგრამ გვხვდება ახ. წ. III—IV საუკუნეებშიც. ამ ტიპის ქარვის მძივები გვხვდება შეშდეგ კომპლექსებში: ოლბია, ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, ნოვოოტრადნოე, ტირიტაკა, ტუზლა, ფანაგორია, კეპი, ტირამბა, ტანაისი [155, გვ. 25, 26, ტაბ. 24].

№ 4 სამარხში მოპოვებული ქარვის მძივები (კატ. № 24, სურ. 6) ბრტყელი ცილინდრის ფორმისაა. ამ ტიპის მძივები დამახასიათებელია ჩრდილო შავიზღვისპირეთის I—V საუკუნეებით დათარიღებული კომპლექსებისათვის (ინკერმანის მეურნეობა, პანტიკაპეონი, ქერსონესი), მაგრამ გვხვდება ძვ. წ. VI—II საუკუნეების სამარხებშიც (პანტიკაპეონი, ფანაგორია) (155, გვ. 24, ტაბ. 23).

ქვის მძივები ცხეთის სამაროვანზე მოპოვებულია სარდიონი, ქალცედონის მძივების და ცარცის (?) მძივების სახით.

სარდიონის მძივები აღმოჩენილია № 1 (3 ც.), № 2 (1 ც.), № 4 (4 ც.) და № 13 (1 ც.) სამარხებში (კატ. № 25—29; სურ. 17).

საქართველოში სარდიონის მძივების გამოყენება დადასტურებულია უძველესი ხანიდან [35, გვ. 45, ტაბ. XX₁₃], გვიანბრინჯაოვან-ვითარებული რკინის ხანაში კი უკვე სარდიონის მძივები გამოირჩევა დამუშავების მაღალი დონით და ფორმათა მრავალფეროვნებით [39, გვ. 91]. როგორც ვარაუდობენ, სარდიონის მძივების შემოტანა ეგვიპტიდან და მესოპოტამიიდან ხდებოდა [242, გვ. 191—193], მაგრამ დასაშვებია ადგილობრივი ნედლეულის არსებობაც მცირე კავკასიონის მთებში და სომხეთის ზეგანზე [242, გვ. 184]. დახვეწილი ნაწარმის გვერდით მდარეხარისხოვანი, უხეში პროდუქციის და წუნის არსებობის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სარდიონის მძივების წარმოება ადგილობრივ ხდებოდა [101, გვ. 34]. ხოლო ბ. კუფტინი ლეჩხუმში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას სარდიონის კაჭრების არსებობაზეც კი მიუთითებდა [237, გვ. 52]. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმტკიცდა ე. გოგაძის მიერ მუხურჩა-ნოსირში სახელოსნოს ნაშთების მიკვლევის შედეგად [194: 14, გვ. 60—68; 13, გვ. 657—660]. საფიქრებელია, რომ № 4 სამარხში 3 ცუდად დამუშავებული სარდიონის მძივისა და ერთი კარგად დამუშავებული წაკვეთილი ბიკონუსური ფორმის მძივის აღმოჩენაც აღნიშნული მოსაზრების დადასტურება უნდა იყოს. ე. ალექსეევას კლასიფიკაციით, წაკვეთილ-ბიკონუსური ფორმის (მე-8 ტიპი) სარდიონის მძივები ჩრდილო შავი-

ზღვისპირეთში დამახასიათებელია როგორც ელინისტური, ასევე რომაული ხანის კომპლექსებისათვის (ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტანაისი) [156, გვ. 17. ტაბ. 38₄₂].

№ 13 და № 15 სამარხში მოპოვებული თითო-თითო სარდიონის მძივი წავრძელებული, დაბრტყელებული და თოთხმეტწახნაგია [კატ. № 26; 27, სურ. 3; 10]. ეს ფორმა დამახასიათებელია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სარდიონის მძივებისათვის [156, გვ. 15] და გავრცელებულია ამ პერიოდის საქართველოშიც. ამგვარი მძივები მოპოვებულია სამთავროში, ბორში, სუფსაში [208, გვ. 130, 141—142]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში იგი აღმოჩენილია ახ. წ. II—IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში (ოლბია, ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტამანის ნ-კ) [156, გვ. 17. ტიპი 15].

სარდიონის სფეროსებური მძივები (კატ. № 28, 29, სურ. 4; 5; 17), რომლებიც № 1 და № 2 სამარხშია მოპოვებული (3 ც.). განსაკუთრებით დამახასიათებელია ახ. წ. I—II საუკუნეებისათვის. ამგვარი მძივები განსაკუთრებით ბევრია ჩრდილო შავიზღვისპირეთის კომპლექსებში [156, გვ. 14—15. ტაბ. 38₂₂. ტიპი 2a; 197, გვ. 131].

ქალცედონის მძივი აღმოჩენილია № 13 სამარხში (კატ. № 30, სურ. 3; 17). მას დაბრტყელებული სფეროს ფორმა აქვს, დიდი ზომისაა (d — 20 მმ) და ნახევრადგამჭვირვალე თეთრია. ზუსტად ამ ფორმის, ოღონდ ზომით განსხვავებული მძივები (5 ც.) აღმოჩენილია კლდეეთში, მაგრამ ისინი ოპალისაა [67, გვ. 66, ტაბ. XVII₂]. ქალცედონის მომცრო სფერული მძივები დადასტურებულია სამთავროში (208, გვ. 130), ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები მოიპოვება I—II სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში (ოლბია, ინკერმანის მეურნეობა, ქერსონესი, პანტიკაპეონი, ფანაგორია) [156, გვ. 12, ტიპი 3, ტაბ. 37₁₂].

ცარციის (?) მძივები აღმოჩენილია № 1 სამარხში. ცუდი დაცულობის გამო რაიმე კონკრეტულის თქმა ძნელია (კატ. № 31, სურ. 4; 17).

უბრალო ქვის სფერული ფორმის მძივები 2 ცალია (სამარხი № 2) (კატ. № 32, სურ. 5; 17).

ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი. ცხეთის სამაროვანზე, მოპოვებული ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ერთნაირი მძივსაკიდი მწოლიარე ლომის გამოსახულებით, რომლებიც აღმოჩენილია № 1 და № 15 სამარხებში (კატ. № 33—35,

სურ. 4, 10; 17). მასალა, რომლითაც დამზადებულია ლომის გამოსახულებიანი მძივსაკიდი, ეგვიპტურ ფაიანსად იწოდება. რადგან ტრადიციულად ეგვიპტე ითვლება ფაიანსის ამ სახის ნივთების მასიურ მწარმოებლად. ადრეანტიკურ ხანაში ფაიანსის ნაწარმს ნავკრატისა უშვებდა; აქ სახელოსნოც კი არის გათხრილი. ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი ჩრდილო შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ჩნდება უკვე ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსა და V ს-ის პირველ ნახევარში. აქ იგი გავრცელებული ჩანს მილეტელი და როდოსელი ვაჭრების მეშვეობით. მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნის ბოლო მეოთხედში ნავკრატისის სახელოსნო წყვეტს არსებობას და ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმის შემოსვლაც ჩრდილო შავიზღვისპირეთში წყდება. ძვ. წ. III ს-დან კვლავ შემოდის ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ. წ. I საუკუნესა და ახ. წ. II ს-ში. მაგრამ ზოგიერთი ფორმა ამ ნაწარმისა უფრო გვიანაც გვხვდება — ახ. წ. IV საუკუნემდე. გვიანელინისტური და რომაული ხანის ფაიანსის ნაწარმის გარჩევა საკმაოდ ძნელია: დაუდგენელია ამ პერიოდის წარმოების ცენტრებიც [154, გვ. 24—28].

ამიერკავკასიაში ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმის შემოტანას ვარაუდობენ წინა აზიიდან (თუმცა არ გამორიცხავენ შავი ზღვის გზასაც), ხოლო რომაულ ხანაში — ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან [274, გვ. 27]. ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ფირუზისფერი ფაიანსის მძივსაკიდი ლომის გამოსახულებით მიეკუთვნება ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 66-ე ტიპის ხ ვარიანტს და თარიღდება ახ. წ. I—II სს-ით. ამ ტიპის მძივსაკიდები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ამავე ხანებით დათარიღებულ კომპლექსებში: ოლბია, ტირიტაკა, პანტიკაპეონი, ფანაგორია, ტირამბა, ტამანის ნ-კ [154, გვ. 44—45].

ჩვენში ლომის გამოსახულებიანი მძივსაკიდები აღმოჩენილია სვანეთში [128, გვ. 22], სამთავროში, ანანურში (208, გვ. 136), თრელაგორებზე (2, გვ. 12, ტაბ. XII₂).

ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი ცნობილია სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან [274, გვ. 27].

ჩრდილო კავკასიაში ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი არის კომენტასა და კუმბულთაში [300, გვ. 233, 322].

ეგვიპტური ფაიანსისაა № 2 სამარხის სფერული მწვანე მძივებიც (2 ც.) და სიგრძივდარებიანი სფერული მძივიც (კატ. № 34, 35, სურ. 5; 17) [154, გვ. 31, 33, ტიპი₃₂ 16, ტაბ. 55-13, ტაბ. 537].

ერთფერი მინის მძივები. ცხეთის სამაროვანზე ყველაზე დიდი რაოდენობით ერთფერი მინის მძივებია მოპოვებული (კატ. № 36—56, სურ. 18). პირველ რიგში აღსანიშნავია ფრინველის გამოსახულებიანი მონაცისფრო, ყუნწიანი, გამჭვირვალე მძივსაკიდი № 13 სამარხიდან (კატ. № 36, სურ. 3: 18). ერთფერი მინის მძივსაკიდები საკმაოდ გავრცელებული ჩანს ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნის კომპლექსებში. თემატურად ისინი იმეორებენ ეგვიპტური ფაიანსის გამოსახულებებს [155, გვ. 62, 73—75]. ჩვენი საკიდის მსგავსი გვგონია პანტიკაპეონის I—II სს-ით დათარიღებული კომპლექსის საკიდი [155, გვ. 74, ტიპი 189]. ზუსტი ანალოგია ვერ მოვიძიეთ.

ერთფერი მინის გამჭვირვალე მძივები საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი:

ბიკონუსური, გამჭვირვალე (ლურჯი, თაფლისფერი, სალათისფერი) მძივები 15 ცალია (№ 13 სამარხი. კატ. № 37, სურ. 3: 18). ამგვარი მძივები სამთავროში დამახასიათებელია როგორც ქვევრსამარხებისათვის, ასევე ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხებისათვის [208, გვ. 134; 36, გვ. 101—103]. დასავლეთ საქართველოში — დაფნარში, ბორი (39, გვ. 103), ფარცხანაყანევი [208, გვ. 327]. აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი მძივები აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: ზემო ავჭალა, არკნეთი, ვასასწყარო, ურბნისი, კამარახევი [101, გვ. 35], წინანდალი, იყალთო, ყოლოთო [39, გვ. 101]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები გავრცელებულია ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით [155, გვ. 68—69, ტიპი 85—95, ტაბ. 3327].

კრემლისებური ფორმის, ყუნწიანი, გამჭვირვალე, მონაცრისფრო და სალათისფერი მძივები (№ 13 სამარხი, 15 ც. კატ. № 38, სურ. 3: 18) ჩრდილო შავიზღვისპირეთში დადასტურებულია ძვ. წ. II—I სს. და ახ. წ. II—III სს-ის კომპლექსებში (პანტიკაპეონი, ინკერმანის მეურნეობა, ფანაგორია, ტუზლა, კეპი) [155, გვ. 72, ტიპი 162, 163, ტაბ. 3367, 68].

სიგრძივლარებიანი, გამჭვირვალე, სალათისფერი მძივები (№ 13 სამარხი, 10 ც. კატ. № 39, სურ. 3, 18). აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში — დაბლაგომში, დაფნარში, სოფ. ჯვარში [39, გვ. 104], ფარცხანაყანევი [207, გვ. 327]; აღმოსავლეთ საქართველოში კი — გომარეთში, მცხეთა-სამთავროში, სამთავროს ქვევრსამარხებში, დაღუბეში, ურბნისში. ამგვარი, ოღონდ უფერული გამჭვირვალე მძივები

არის ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. VI—I სს-ის სამარხებში, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშიც გვხვდება [155, გვ. 71—72, ტიპი 146, 752, ტაბ. 33₅₂].

ერთმანეთზე გადაბმული, გამჭვირვალე, უფრო ბურთულები (№4 სამარხი, 4 ც. კატ. №40, სურ. 18) გავრცელებულია მთელ ანტიკურ სამყაროში I—II საუკუნეებში, ხოლო უფრო მოზრდილი ეგზემპლარები დამახასიათებელია გვიანრომაული ხანისათვის [155, ტიპი 262_a, ტაბ. 30₆₃].

ერთფერი მინის გაუმჭვირვალე მძივებიდან ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ფირუზისფერი მცირე ზომის მძივები (სამარხი №1, 2, 13; სულ 276 ცალი; კატ. №41, სურ. 18). ჩრდილო შავიზღვისპირეთის კარგად დათარიღებულ კომპლექსებში ამგვარი მძივები საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული — ძვ. წ. IV—ახ. წ. პირველი საუკუნეები [155, გვ. 64, ტიპი 13, ტაბ. 33₁₋₃].

ყვითელი მინის გაუმჭვირვალე, მსხლის ფორმის მძივები (№13 სამარხი, 12 ც., კატ. №42, სურ. 18) ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI—II საუკუნეებშია გავრცელებული. მაგრამ არის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების კომპლექსებშიც [155, გვ. 63, ტიპი 5, ტაბ. 33₁].

დიდი რაოდენობითაა გაუმჭვირვალე, სფეროსებური, შავი მძივები (№13 სამარხი, 65 ც., კატ. №43, სურ. 18).

ლურჯი, შინდისფერი, მარჯნისფერი, გაუმჭვირვალე, ბრტყელი და მრავალწახნაგა მძივები (№2,4 სამარხები, 15 ც., კატ. №44, სურ. 18). დამახასიათებელია ჩრდილო შავიზღვისპირეთში II—III საუკუნეებით დათარიღებული კომპლექსებისათვის [155, გვ. 69, ტიპი 104, 107, 109]. ამგვარი მძივები ცნობილია სამთავროდან [208, გვ. 139].

მილაკისებური, გაუმჭვირვალე, მუქი ცისფერი მძივების მსგავსი (№2,4 სამარხები, 11 ც., კატ. №49, სურ. 18) ჩრდილო შავიზღვისპირეთში I—III სს-ის კომპლექსებშია (ქერსონესი, ნოვოტრადნოვ, ტანაისი) [155, გვ. 67, ტიპი 66, ტაბ. 33₁₁].

გლობოიდური ფორმის გაუმჭვირვალე ყვითელი (9 ც.), ცისფერი (3 ც.) და თეთრი (2 ც.) მძივები მხოლოდ №13 სამარხშია (კატ. №45, სურ. 18). ამ ფორმის მძივები ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ. წ. II ს-ის კომპლექსებისათვის, მაგრამ არის ძვ. წ. I — ახ. წ. I სს-შიც [155, გვ. 68, ტიპი 83, ტაბ. 33₂₃].

წაგრძელებული, კოპებიანი, გაუმჭვირვალე მძივები — თეთრი (3 ც.), მწვანე (5 ც.), მოშავო (2 ც.), ყვითელი (3 ც.), ცისფერი (3 ც.)

მხოლოდ № 13 სამარხშია (კატ. № 46, სურ. 18). ამგვარი მძივებიც ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. II და ახ. წ. II სს-ით დათარიღებულ კომპლექსებისთვისაა (ოლბია, პანტიკაპეონი, კეპი) [155, გვ. 72, ტიპი 159, ტაბ. 33₆₃] დამახასიათებელი.

ორმხრივ ჩაჭყლეთილი (ორლებნიანი), გაუმჭვირვალე ორი მწვანე და ერთი მოწითალო მძივიც (კატ. № 48, სურ. 18) № 13 სამარხიდან გვაქვს. ამგვარი მძივები ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებისათვის [155, გვ. 72, ტიპი 155, ტაბ. 33₅₉].

ხორბლისებური ფორმის, გაუმჭვირვალე, მოყვითალო მძივების (№ 13 სამარხი, 5 ც., კატ. № 47, სურ. 18) ანალოგიური მძივები ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვ. წ. III—II საუკუნეებისა და ძვ. წ. I — ახ. წ. I საუკუნეების კომპლექსებშია [155, გვ. 66, ტიპი 48, ტაბ. 33₉].

წვრილი მძივები, ე. წ. ბისერი, გაუმჭვირვალე, ლურჯი (62 ც., № 13 სამარხი, კატ. № 50, სურ. 18): ამგვარი მძივები გავრცელებული იყო როგორც ელინისტურ, ასევე რომაულ ხანაში [155, გვ. 62, ტიპი 66, ტაბ. 33₁₂].

სფეროსებური, გაუმჭვირვალე, მარჯნისფერი, ლურჯი და თეთრი მძივების (კატ. № 51, სურ. 18) მსგავსი ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი [155, გვ. 62, 63].

თითისტარისებური ლურჯი მძივის (1 ც., სამარხი № 12, კატ. № 52, სურ. 18) მსგავსი გავრცელებული ყოფილა ჩრდილო შავიზღვისპირეთში ელინისტური ხანიდან ახ. წ. პირველი საუკუნეების ჩათვლათ [155, გვ. 66, ტიპი 50, ტაბ. 33₉].

პოლიქრომიული მინის მძივები. ცხეთის სამარხებში მოპოვებული მინის პოლიქრომიული მძივები (21 ც.) მრავალფეროვნებათ არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც შეიძლება რამდენიმე ტიპის გამოყოფა.

პირველ რიგში აღვნიშნავთ ბუმბულისებური ანუ ფესტონური ორნამენტით შემკულ დიდი ზომის რუხი ფერის მძივს (№ 4 სამარხი, კატ. № 53, სურ. 17). მძივი წაგრძელებული კასრისებური ფორმისაა და შემკულია ყვითელი ორნამენტით. ამგვარი მძივები შემკული სხვადასხვა ფერის ფესტონებით — თეთრი, ყვითელი, თეთრი და წითელი, თეთრი და მწვანე, ცისფერი, თეთრი და ყვითელი, წითელი, მწვანე — დამახასიათებელია ანტიკური ხანისათვის. ყველაზე ადრეული ფესტონურორნამენტიანი მძივები ძვ. წ. VI—V საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან ფართოდ ვრცელ-

დება. ამგვარი მძივები პირველ საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას; მათთვის დამახასიათებელია კასრისებური ფორმა და დიდი ზომები (მაგ., 262a. ტიპი 155, გვ. 48). ადრეული ფესტონურორნამენტიანი მძივები ცნობილია ვანიდან [31, გვ. 101], ხოლო ახ. წ. პირველი საუკუნეებისა — სამთავროდან [208, გვ. 137, ტაბ. 220, 271].

„წამწამისებური“ ორნამენტით შემკული მარჯნისფერი მძივები (კატ. № 54, სურ. 17) № 2 (1 ც.) და № 4 (3 ც.) სამარხებშია. ამგვარად შემკული პოლიქრომიული მძივების წარმოება ჩაისახა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, ხოლო გვიანრომაულ ხანაში მეტად პოპულარული გახდა: შეიქმნა ფორმისა და შემკულობის უამრავი ნაირსახეობა [156, გვ. 37]. ჩვენი მძივის მსგავსი ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი [ქერსონესში — 156, გვ. 43, ტიპი 490, ტაბ. 49₁₂].

კასრისებური ფორმის, შავი, გაუმჭვირვალე მძივები, მუცელზე განივი თეთრი ზოლით 9 ცალია (№ 13 სამარხი, კატ. № 55, სურ. 17). მძივების განივი ზოლებით შემკობა ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ძვ. წ. II—I საუკუნეებისათვის, მაგრამ ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას [155, გვ. 34]. ჩვენი მძივების მსგავსი, ოღონდ დაბრტყელებული ფორმის მძივი ცნობილია ვანიდან და ძვ. წ. III—I საუკუნეებს მიეკუთვნება [31, გვ. 102, 109]. ამგვარი, ოღონდ მოზრდილი მძივები დამახასიათებელია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. IV—III სს-ის კომპლექსებისათვის [155, გვ. 40, ტიპი 146, ტაბ. 27₁₂, 14, 16].

ცილინდრისებური ფორმის, შავი, გაუმჭვირვალე მძივები ვერტიკალური თეთრი ზოლებით (№ 13 სამარხი), (კატ. № 56, სურ. 17) განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ჩრდილო შავიზღვისპირეთში გვიანელინისტურ ხანაში. ისინი აღმოჩენილია ძვ. წ. II—I და ახ. წ. I—II სს-ის კომპლექსებში [155, გვ. 34—35, 43, ტიპი 43, ტაბ. 27₈₅, 86].

მინის თვალისანი მძივები წარმოდგენილია № 4, 13, 14 და 15 სამარხებში. თვალისანი მძივები ანტიკური ხანის პოლიქრომიული მძივების ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სახეობაა. ელინისტური ხანის თვალისანი მძივებისათვის დამახასიათებელია ზომების შემცირება და თვლების მრავალფეროვნება: რომაულ ხანაში კი თვალისანი მძივები არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებითა და სრულყოფილებით გამოირჩევა [154, გვ. 55, 56].

საქართველოში მინის თვალისანი მძივები ძვ. წ. VI საუკუნიდან ვრცელდება [61, გვ. 12; 67, გვ. 61]. ადრეული ხანის თვალისანი მძი-

ვები აღმოჩენილია ბრილში, ყაზბეგში [133, გვ. 242], ლარლარში [129, გვ. 310], ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში [39, გვ. 100—101]. უფრო გვიანი თვალისანი მძივები კი ცნობილია ზუგდიდიდან [236, გვ. 52], დაბლაგომიდან [236, გვ. 52], დაფნარიდან [61, გვ. 12], ფარცხანაყანევიდან (207, გვ. 327), გუადიხუდან [297, გვ. 202], ფიქვნარიდან [45, ტაბ. XXXVI] და სხვა.

№ 4 და № 13 სამარხების მძივები სფერული ფორმისაა, შავი, გაუმჭვირვალე, თეთრ ფონზე შავი თვალით (2 ც., № 4 სამარხი, კატ. № 57, სურ. 17) და თეთრ ფონზე წითელი თვალით (2 ც., № 13 სამარხი, კატ. № 58, სურ. 17).

№ 14 სამარხის თვალისანი მძივი შავია, თვალეები სხვადასხვანაირი აქვს: ორი — თეთრ ფონზე ცისფერი თვალი, ორი — ყვითელ ფონზე ცისფერი თვალი (კატ. № 59, სურ. 17).

№ 15 სამარხის თვალისანი მძივი ცისფერია, თვალი — თეთრ ფონზე ლურჯკონტურშემოვლებული ცისფერი თვალი (კატ. № 60, სურ. 17).

ახ. წ. პირველ საუკუნეებში თვალისანი მძივები ცნობილია სამთავროში [208, გვ. 138], კლდეეთში [67, გვ. 61], ურეკში [109, გვ. 84] და სხვა.

ჩრდილო შავიზღვისპირეთში ზემოთ აღწერილი მძივების მსგავსი მძივები აღმოჩენილია როგორც ადრეულ, ასევე ჩვ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებში [154, გვ. 59, 64, 65, ტაბ. 14⁵⁹, 15⁶⁷, 74].

ოქროფენილი მძივები. ვარაუდობენ, რომ ოქროფენილი მძივების დამზადება ეგვიპტეში დაიწყო ძვ. წ. IV ს-ში, საიდანაც მთელ ელინისტურ სამყაროში გავრცელდა [155, გვ. 27; 255, გვ. 242; 322, გვ. 93—94]. ფიქრობენ, რომ კოლხეთში ოქროფენილი მძივები ვრცელდება ძვ. წ. IV ს-ის მიწურულიდან ან ძვ. წ. III ს-დან [119, გვ. 85; 224, გვ. 55; 51, გვ. 13]. დადასტურებულია ისინი ფიქვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე [45, გვ. 79], დაბლაგომის [236, გვ. 54; 51, გვ. 13, 17], დაფნარის [224, გვ. 30] და ფარცხანაყანევის ქვევრ სამარხებში¹⁰, ვანში (31, გვ. 110, კატ. № 475, ტაბ. 46) და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში ოქროფენილი მძივები ცნობილია ქვემო და შიდა ქართლის ძეგლებიდან, კახეთიდან [39, გვ. 155—156].

ელინისტური ხანის ფაქიზი და მცირე ზომის ოქროფენილი მძივ-სამკაულისაგან რომაული ხანის მძივები განსხვავდება მასიური და

¹⁰ იხანება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში, ინვ. № ქიმ 7428 ი-552.

უხეში ფორმებით. ამავე ხანებში ჩნდება გადაბმული ბურთულებისა-
გან შედგენილი მძივებიც. ოქროფენილი მძივების წარმოება ახ. წ. IV
საუკუნიდან მკირდება [155, გვ. 28—29].

№ 2 სამარხის მძივები (2 ც.) სფერული ფორმისაა (კატ. № 61,
სურ. 17). ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები (სფერული,
არხის ბოლოებზე შვერილების გარეშე) ძირითადად დამახასიათებელ-
ლია ელინისტური ხანის კომპლექსებისათვის. მაგრამ ხმარებაშია ახ.
წ. პირველ საუკუნეებშიც [155, გვ. 29, ტიპი 1a, ტაბ. 26₂, 3].

№ 4 სამარხის მძივები (3 ც.) წარმოდგენილია სფერული, არხთან
ნაწიბურებიანი ფორმით (კატ. № 62, სურ. 17). ამგვარი მძივები ჩრდი-
ლო შავიზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული
ფორმაა და აღმოჩენილია მხოლოდ ახ. წ. პირველი საუკუნეების სა-
მარხებში [155, გვ. 29—30, ტიპი 15, ტაბ. 26₄, 5, 6, 7].

წაგრძელებული, სამ რიგად განლაგებულ ბურცობებიანი მძივები
(2 ც., № 4 სამარხი, კატ. № 62, სურ. 17) დამახასიათებელია რომაულ-
ლი ხანისათვის. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები მრავ-
ლად გვხვდება II ს-ის კომპლექსებში (ოლბია, ქერსონესი, კეპი, გორ-
გიპია) [155, გვ. 32, ტიპი 20, ტაბ. 26₅₉, 60].

სფერული, დაბრტყელებული, დიდნახვრეტიანი მძივები (29 ც.,
№ 13 სამარხი, კატ. № 64, სურ. 17) ხმარებაშია მინის შოოქრული
სამკაულის არსებობის მთელ მანძილზე. ჩნდებიან ძვ. წ. III ს-ში,
ფართოდ ვრცელდებიან II—I საუკუნეებში და არსებობენ ახ. წ. I—
II საუკუნეებშიც [155, გვ. 31, ტიპი 8, ტაბ. 26₈, 16].

მოკლე, ცილინდრული მძივები. ტანზე ორ რიგად განლაგებული
კოპებით (2 ც., № 13 სამარხი, კატ. № 65, სურ. 17) ჩრდილო შავი-
ზღვისპირეთის კომპლექსების მიხედვით თარიღდება ძვ. წ. II—I სს-ით
[155, გვ. 32, ტიპი 19, ტაბ. 26₅₅].

მილაკისებური მძივები (3 ც., № 13 სამარხი, კატ. № 66, სურ. 17)
გავრცელებული იყო როგორც ელინისტურ ხანაში, ასევე I—II საუ-
კუნეებშიც (ოლბია, პანტიკაპეონი, ფანაგორია, კეპი, გორგიპია, ტა-
ნაისი) [155, გვ. 30, ტიპი 4, ტაბ. 26₂₀, 21, 22].

ოქროფენილი წვრილი მძივები დამახასიათებელია ელინისტური
ხანისათვის, მაგრამ შემდგომ პერიოდშიც განაგრძობენ არსებობას
(კატ. № 67, სურ. 17) [155, გვ. 29, ტიპი 1a].

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს მ ძ ი ვ ი (კატ. № 68, სურ. 17), რომელიც ცხეთის
სამაროვანზე ერთადერთია (№ 14 სამარხი), ცილინდრული ფორმისაა.

დამზადებული უნდა იყოს შემდეგნაირად: 3 მმ-ის სისქის ბრინჯაოს ფურცელი დახვეულია მილაკისებურად (d—12 მმ); მძივს ფურცლის შეერთების კვალი ეტყობა. ამგვარი მძივები ოლბიაში ძვ. წ. VI ს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია, ხოლო ტირიტაკასა და ტანაისში I—II სს-ში [156, გვ. 23, ტიპი 5, ტაბ. 40²¹, 22, 23]. ამგვარი მძივები ცხინის ალკაზმულობის შემადგენელი ნაწილი იყო [253, გვ. 188; 261, გვ. 206—207].

მძივსაკრები (კატ. № 69, სურ. 17). ქვის ან ძვლის მძივსაკრებები ან განმამხოლოებლები მზადდებოდა ყელსაბამისათვის. რომელიც რამდენიმე ასხმისაგან შედგებოდა. ძირითადად ისინი წარმოადგენენ პარალელეპიპედის ფორმის ნივთებს. რომელთაც რამდენიმე პარალელური ნახვრეტი ჰქონდათ. მაგრამ მძივსაკრები სხვა ფორმისაც არის. მაგ., რომბული, კვადრატული, მრგვალი და სხვ. [241, გვ. 159, 163]. მძივსაკრებები დადასტურებულია სამთავროს სხვადასხვა პერიოდის სამარხებში [242, ტაბ. III, V, VI], ნერონ-დერესში [27, ტაბ. II—III₁₅₋₁₆] და სხვ.

1. 2. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების ჯგუფს განეკუთვნება ფიბულები, აბზინდები და ქინძისთავეები.

ფიბულები¹¹. ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილია 10 ცალი ფიბულა (№ 1, 2, 5, 10, 14, 15 სამარხებში). ტიპოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება ოთხი სახეობის გამოყოფა: 1. ბუდეაბმული; 2. მკვეთრადპროფილირებული; 3. რკალისებური ფიბულა სახსრიანი შესაკრავით და 4. მინანქრიანი ფიბულა.

1. ბუდეაბმული მთლიანი ფიბულა ცხეთის სამაროვანზე მოპოვებულია ერთი ცალი (№ 2 სამარხი), დანარჩენი ფრაგმენტებია (№ 2, 10, 14 სამარხები). № 2 სამარხში აღმოჩენილი ბუდეაბმული ფიბულა (კატ. № 70, სურ. 19) ბრინჯაოსია, მუხლზამბარიანი, ქვედა ულლია, ორწილადი; თანაბრადმორკალული მშვილდი ოთხკუთხაგანივეკვეთიანი და ბრტყელია. მშვილდს ზემოდან (ზამბარიდან ცხვირამდე) გადაფარებული აქვს ბრინჯაოს თხელი ლენტი, რომლის დანიშნულებაც გაურ-

¹¹ ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული ფიბულების შესწავლისას ვისარგებლო ა. ამბროზის კლასიფიკაციით. იხ.: 158.

კვეველია: მას ან შემამკობელი ფუნქცია ეკისრა, ან ზამბარის მუშაობას აუმჯობესებდა. ფიბულის სიგრძეა 65 მმ.

ფრაგმენტებით წარმოდგენილი (№ 2, 10, 14 სამარხები) ბუდე-აბმული ფიბულებიც ორწილადია, ოღონდ მშვილდის შემალღებული ადგილი მუხლისკენაა. არის როგორც ბრინჯაოსი, ასევე რკინისა (კატ. № 71, 72, 73, სურ. 19).

ამრიგად, ცხეთის სამაროვნის ბუდეაბმული ტიპის ფიბულებში შეიძლება ორი ვარიანტის გამოყოფა — თანაბრადმორკალული და მკვეთრადმორკალული მშვილდით.

ერთწილადი ბუდეაბმული მშვილდისებური ფიბულები დასავლეთ საქართველოში ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან გავრცელდა. სადაც მათი წარმოება იწყება ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში შუა ლატენის ხანის ფიბულების წაბადვით. I საუკუნიდან ჩრდილო შავიზღვისპირეთში ბუდეაბმული ფიბულების ადგილობრივი წარმოება გაფართოვდა, ხოლო I—III საუკუნეებში ამგვარი ფიბულების წარმოებას სხვა ცენტრებიც გაჩნდა. მაგ., დასავლეთ საქართველოში მშვილდისებური ფიბულების თავისებური სახეობის — ერთწილადი ბუდეაბმული ფიბულების წარმოება დაიწყო, რომელიც IV საუკუნეებში ორწილადი ბუდეაბმული მშვილდსაკინძებით შეიცვალა. ამავე ხანებში ჩნდება ბუდეაბმული ფიბულების კიდევ ერთი ვარიანტი — ე. წ. ჯვრისებური ფიბულები, რომელიც საკმაოდ დიდხანს, VIII საუკუნემდე არსებობდა [158, გვ. 55, გვ. 92—94, 115, გვ. 310, 311; 118, გვ. 51, 77; 15, გვ. 17—19, 31, 104]. აღმოსავლეთ საქართველოში ორწილადი ბუდეაბმული ფიბულების ფართოდ გავრცელებას ვარაუდობენ IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოდან [115, გვ. 318; 118, გვ. 48—49; 15, გვ. 10—11, 19—20]. ხოლო ზოგიერთი სახის — ორწილადი ბუდეაბმული ჩახრილი ფიბულების გავრცელებას ქართლში ჩრდ. კავკასიის გზით ვარაუდობენ [15, გვ. 20].

№ 2 სამარხის ბუდეაბმული მშვილდისებური ფიბულის ზუსტა ანალოგია ვერც ჩვენში და ვერც ჩრდილო შავიზღვისპირეთში ვერ მოვიძიეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთის II—III სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში ამ ტიპის ფიბულები (ა. ამბროზის კლასიფიკაციით მე-15 ჯგუფის III სერიის I ტიპი) დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (ნეაპოლი, ქერსონესი, ფანაგორია, ბერეზანი და სხვ.). მსგავსი ფიბულები არის რუმინეთშიც და ემთხვევა იქ სარმატების შეღწევის და განსახლების არეალს [158, გვ. 52—54; ტაბ. 918; 15, გვ. 11—12].

ფრაგმენტებით წარმოდგენილი ორწილადი ფიბულების ანალო-
გიები კი არის როგორც დას. საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქარ-
თველოს ძეგლებში (წებელდა, სამთავრო, ურბნისი და სხვ.) [158, გვ.
54, 94; 15, გვ. 9—10, ტაბ. VI].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხეთის სამაროვნის ორწილადი ბუ-
დეაბმული ფიბულები წარმოდგენილია როგორც ბრინჯაოს, ასევე
რკინის ეგზემპლარებით. ვფიქრობთ, რომ ეს მანიშნებელია მათი დაწ-
მადების ტექნიკის სწრაფი ათვისებისა ადგილობრივ [15, გვ. 20].

2. მკვეთრად პროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის ფიბულა
ცხეთის სამაროვანზე ოთხია აღმოჩენილი. ფიბულები წარმოდგენილია
ერთი მთლიანი ნიმუშით (№ 1 სამარხი) და სამი ფრაგმენტებად ქცე-
ული ფიბულით (№ 1 და № 2 სამარხები) (კატ. № 74, 75, 76, 77, სურ.
19).

ფიბულები ბრინჯაოსია, ერთწილადი, მკვეთრად პროფილირებუ-
ლი (მკვეთრად გაღუნული). მშვილდი ბოლოვდება რელიეფური ირ-
გვლივი სარტყელით, რომელიც გადადის მძივისებური შვერილით თა-
ვშემკვულ ბრტყელ, მაღალ და ვიწრო შესაკრავში. მუხლის ზამბარა
შედგება რამდენიმე ხვიისაგან და შიდა უღლისაგან. რამდენადმე გან-
სხვავებულია № 2 სამარხის ფრაგმენტებად ქცეული პატარა ფიბულა
— მას მშვილდი ბრტყელი და განიერი აქვს (კატ. № 76, სურ. 19).
ზომები მერყეობს 20—35 მმ-ს შორის. საქართველოში ამგვარი ფი-
ბულების აღმოჩენის მხოლოდ ორი ფაქტია ჭერჯერობით ცნობილი:
მცხეთისგორის სამაროვანზე IV—V სს-ით დათარიღებულ ქვაყუთში
[98, გვ. 137—138, სურ. 798] და სოხთაში, გვიანანტიკური ხანის ორ-
მოსამარხში [285, გვ. 175, ტაბ. LXXII₁₄]. დასავლეთ საქართველოდან
ამგვარი ფიბულები დღემდე ცნობილი არ იყო.

მკვეთრად პროფილირებული ტიპის ფიბულები მრავლად მოი-
პოვება ჩრდ. შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაში. ამ ტიპის
ფიბულებს ამზადებდნენ ბოსფორში ახ. წ. I საუკუნის ბოლოსა და
II ს-ის დასაწყისიდან ქვემო დუნაისპირეთიდან შემოტანილი ნიმუ-
შების მიხედვით. ფიქრობენ, რომ II საუკუნის ბოლოსა და III ს-ში
ამ ტიპის ფიბულები ბოსფორიდან გავრცელდა მისი ეკონომიკური
გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე: ქვემო ვოლგისპირეთის სარმა-
ტებში, ყუბანის, თერგისა და დალესტნის მხარეში [158, გვ. 43, 94].
ახ. წ. III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში ამგვარი ფიბულები
ჭერ კიდევ მზადდებოდა [158, გვ. 95].

№ 2 სამარხის ფრაგმენტებად ქცეული მკვეთრად პროფილირებული პატარა და ბრტყელმშვილდიანი ფიბულის მსგავსი დადასტურებულია ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის მასალებში [158, გვ. 42, ტაბ. 8, 14, 17, 18, 19; ტაბ. 20], ჩვენთან კი მათი აღმოჩენის ფაქტი ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ბუდეაბმული და მკვეთრადპროფილირებული ფიბულები ერთად არის წარმოდგენილი სამარხებში (№ 1 და № 2 სამარხები), რაც საშუალებას იძლევა სამარხთა ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის.

3. „ავციასას“ მსგავსი პროვინციული ტიპის მუხლსახსრიანი ფიბულა (№ 5 სამარხი) ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილია ერთი ცალი. ფიბულა რკინისაა: ბრტყელი და განიერი მშვილდი ბოლოვდება ქიკარტისებური შვერილით. რომლის ქვემოთაც ჩამოშვებულია მილაკსებურად თავშეხვეული ბრტყელი ბუდე ნემსისათვის. ფიბულის სიგრძეა 50 მმ (კატ. № 79, სურ. 19). ამგვარი ფიბულები ჩვენში აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში. სოფ. ლიასთან გათხრილ I—II სს-ით დათარიღებულ ორმოსამარხებში [135, გვ. 68—70]; ცნობილია სამხრეთ ოსეთიდან (ისტორიული შიდა ქართლი) (186, ტაბ. LX XV; 187, გვ. 77—79, ტაბ. XLIX₁₀). ჩრდილო კავკასიიდან და ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან [158, გვ. 26—27]. ამ ტიპის ფიბულებს, რომლებიც გავრცელებულია ადრე რომაულ ხანაში რომაულ პროვინციებში, ზოგიერთ შემთხვევაში მშვილდზე აქვთ წარწერა — „AVCISSA“. რაც საფუძველი გახდა ამ ტიპის სახელწოდებისა. ჩვენი ფიბულა რკინისაა და იმდენად არის დაზიანებული ყანგისაგან, რომ არავითარი წარწერა (თუკი ასეთი იყო) არ შეინიშნება. ამ ფიბულის ზუსტ ანალოგიად მიგვაჩნია მინგეჩაურის ქვევრსამარხის ფიბულა [214, ტაბ. 1].

4. მინანქრით შემკული ბრინჯაოს ფიბულა (№ 15 სამარხი) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამგვარ ფიბულებს შორის ერთერთი შესანიშნავი ნივთია (კატ. № 79, სურ. 19). ფიბულა წარმოადგენს მრგვალ გულსაბნევს ორსაყრდენიანი სახსრიანი შესაკრავით. მისი ფარაკი შემკულია ლურსმნისთავის მსგავსი თეთრი მინანქრით შევსებული შვერილით და ფერადი (ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი) მინანქრის ნაჭრებით შედგენილი სარტყლებით. ფიბულის ფარაკის დამეტრია 56 მმ.

საქართველოში ამ ტიპის მინანქრიანი ფიბულები აღმოჩენილია: კლდეეთში [67, გვ. 107—109, ტაბ. III], არმაზისხევში [8, გვ. 38,

ტაბ. XI], მცხეთაში [55, გვ. 272, 286, ტაბ. IX, სურ. 25, № 57], სოხთაში [234, გვ. 23, ტაბ. I₁₄; 15, გვ. 29], კიკეთში [15, გვ. 29, ტაბ. I₁₁], სტირფაზში [293, გვ. 268, სურ. 103—104]. მაგრამ ცხეთის ფიბულის ზუსტ ანალოგიას არც ერთი არ წარმოადგენს. ჩვენი ფიბულა მეტ მსგავსებას ამყლავნებს ჩრდილო კავკასიაში (კომუნთა, კუმბულთა) [300, ტაბ. XXVI, CI₁₂, CII_{12, 13}] აღმოჩენილ ამ ტიპის მრგვალ ფიბულებთან.

მინანქრიანი ფიბულები აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთშიც (158, გვ. 32).

მინანქრიანი ფიბულების გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელია — დასავლეთ ევროპიდან მოყოლებული ჩრდილო კავკასიამდე. მათი წარმოების ცენტრად ბელგიის გალია ითვლება, სადაც სახელოსნოც კი აღმოჩნდა — ვილა ანტე; ვილა ანტედან ოთხი კილომეტრის დაშორებით გათხრილ II საუკუნის კრემაციულ სამაროვანზე 80 ასეთი მინანქრიანი გულსაბნევი იპოვნეს. ამ სახის გულსაბნევება შედარებით ნაკლები რაოდენობით აღმოჩენილია საფრანგეთში, ლუქსემბურგში, რაინისპირეთში, იტალიაში და სხვ. [292, გვ. 82]. ყველა ეს გულსაბნევი ჩამოსხმით არის დამზადებული.

ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული მინანქრიანი გულსაბნევის გალიურ წარმოშობაზე მიუთითებს მათი დუბლიკატების არსებობა ნამიურისა და სენ-ეერმენის მუზეუმებში. III ს-ის მეორე ნახევარში ანტეს სახელოსნო წყვეტს არსებობას ფრანკების თავდასხმების გამო [292, გვ. 84].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ცხეთის სამაროვნას მინანქრიანი ფიბულა ალბათ ახ. წ. II—III სს-ით უნდა დათარიღდეს.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ბრინჯაოს ფირფიტაზე (№2 სამარხი). რომელსაც ცალ მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ორი მარყუყი აქვს. ნივთის ცუდი დაცულობის გამო ძნელია კონკრეტული მოსაზრების გამოთქმა. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, იგი სახსრიანშესაკრავიანი ფიბულის ფარაკს უნდა წარმოადგენდეს (კატ. №80, სურ. 19).

ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი. ცხეთის სამაროვანზე მოპოვებულია 5 მრგვალი აბზინდა (სამარხი №1, 9, 10, 12; კატ. №81—85, სურ. 20) და ორი წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისა (აქედან ერთი — №7 სამარხიდან, დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო).

მრგვალი, ენაგამობმული აბზინდები დიდი რაოდენობით და სხვადასხვა მასალისა აღმოჩენილია არმაზისხევის (8, ტაბ. XXXIX, XL),

ურბნისის [208, გვ. 111—112], ალაიანის [24, გვ. 14, ტაბ. XXXI], სამთავროს პირველი საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში [15, ტაბ. XXV]. კლდეეთის სამაროვანზე მოპოვებულია ვერცხლის, ბრინჯაოსი და რკინისა [67, გვ. 146, ტაბ. X]; ურეკიდან ცნობილია ბრინჯაოს აბზინდა [119, გვ. 81]; ძვერიდან — რკინის ორი დიდი აბზინდა [119, გვ. 81]. აბზინდები მრავლად არის ჩრდილო კავკასიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში [226, გვ. 61]. სადა მრგვალი აბზინდები I—III სს-ით თარიღდება; III საუკუნიდან კი აბზინდების ღერო და ენა მსხვილდება, ხოლო ზოგჯერ წახნაგოვანიც კი ხდება [287, გვ. 239, ტაბ. VI, სურ. 9]. თარიღის დასადგენად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ე. წ. „ენის დაგრძელება“, რაც ა. ამბროზის მიხედვით IV საუკუნით განისაზღვრება [159, გვ. 100]. მაგრამ ცხეთის სამაროვნის აბზინდები იმდენად დაზიანებული და ნაკლებია, რომ ამ მომენტის დაჭერა ვერ მოხერხდა.

№5 სამარხში აღმოჩენილი პარალელებიპედის ფორმის რკინის აბზინდის (კატ. № 86, სურ. 20) მსგავსია. ოღონდ ვერცხლისაა. არმაზისხევის VI სამარხში აღმოჩენილი აბზინდა, რომელიც II ს-ის ბოლოთია დათარიღებული და ცხეთის აღკაზმულობის ნაწილადაა მიჩნეული [8, გვ. 78—79, ტაბ. XXIV]. ოქროს ოთხკუთხა აბზინდა, ოღონდ უფრო მაღალი, ვიდრე ცხეთისა, არის ასპარუგ ერისთავის სამარხში [8, გვ. 24, სურ. 5]. სამთავროს 365-ე აგურსამარხში (1941—წ. გათხრები) არის ვერცხლის ოთხკუთხა აბზინდა [208, გვ. 112, ტაბ. 242]. ვერცხლის ოთხკუთხა ბალთები არის უფლისციხეშიც, ყათნალიხევის I—II სს-ით დათარიღებულ №1 ორმოსამარხში [139, გვ. 89, ტაბ. LIII₁, 2]. ჩვენი ოთხკუთხა აბზინდის ზუსტ ანალოგიად მიგვაჩნია ნოვოროსიისკთან სოფ. მისხაკოში აღმოჩენილი ვერცხლის აბზინდა. სამარხი კოტის I-ის მონეტის მიხედვით თარიღდება ახ. წ. I საუკუნით [272, გვ. 83, სურ. 27].

ქინძისთავეები. ცხეთის სამაროვანზე მხოლოდ ორი ქინძისთავია აღმოჩენილი (№1 სამარხი, კატ. №89—90, სურ. 20); ერთი ვერცხლისაა, ხოლო მეორე — ბრინჯაოსი. ორივე მთლიანადსხმულია, დაწახნაგებული თავი ღეროსაგან გამოყოფილია ბურთულით. მთლიანადსხმული ქინძისთავეები სამთავროს I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებიდანაა ცნობილი და სხვადასხვაგვარი ფორმის თავები აქვთ: სფერული, ნახევრადსფერული, ოვალური, მრავალწახნაგა, სპირალურად თავშეხვეული. ამ ხანის კომპლექსებში არ გვხვდება მძივით თავ-

შემკული და ვერცხლის ქინძისთავეები [207, გვ. 110; 118, გვ. 48—49, ტაბ. 1], რომლებიც უფრო გვიან, IV [118, გვ. 48—49] ან V ს-დან [15, გვ. 85] ვრცელდება, ბრინჯაოს მთლიანადსხმული ბურთულათა-ვიანი ქინძისთავეები არის ტუიაქოჩორას IV—V საუკუნეებით დათარი-ლებულ ქვაყუთებში [34, გვ. 166]. ცხეთის სამაროვანზე ერთ სამარ-ხშია მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს ქინძისთავეები. ეს საშუა-ლებას გვაძლევს გამოვრიცხოთ ახ. წ. პირველი საუკუნეები და ქინ-ძისთავეები კონკრეტულად IV საუკუნეს მივაკუთვნოთ.

1. 3. სამეურნეო და საბრძოლო იარაღი

სამეურნეო იარაღი ცხეთის სამაროვანზე წარმოდგენილია მო-ხრილი (5 ც., სამარხი №5, 7, 10, 14, 15) და სწორი დანებით (4 ც., სამარხი №1, II თხრილი). მოხრილი დანები ორგვარია: ძლიერპირ-მოხრილი (კატ. №91, 92, სურ. 21) და სუსტად პირმოხრილი (კატ. №93—95, სურ. 21).

მოხრილი დანები ამიერკავკასიაში ძვ. წ. VII ს-დან ჩნდე-ბა, ხოლო ძვ. წ. VI—V სს-დან ფართოდ ვრცელდება არა მარტო კავკასიაში, არამედ ჩრდილოეთითაც [297, გვ. 55—56]. მცირე ზომის პირმოხრილი დანები გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ (39, გვ. 47).

ბ. კუფტინის აზრით, მოხრილ დანებს მეტად მრავალფეროვანი გამოყენება უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ვაზის სასხლავად გამოყენების ვარაუდს ერთგვარი წინაღობა აქვს, რადგან ვაზის სასხლავ დანებს დასავლეთ საქართველოში სხვა რეალური გენეზისი აქვთ ბრინჯაოს წაღების სახით [236, გვ. 37]. კლდეეთში სხვადასხვა ზომის მოხრი-ლი დანების აღმოჩენასთან დაკავშირებით გ. ლომთათიძემაც გამო-თქვა აზრი, რომ ამ სახის დანების მევენახეობასთან დაკავშირება მა-ღალმთიანი რაიონებისათვის (ბრილი, ლები, ყაზბეგი) საეჭვოა [67, გვ. 16—18, სურ. 2, ტაბ. XXI]. მოხრილი დანები დიდი რაოდენობი-თაა აღმოჩენილი როგორც აღმოსავლეთ საქართველოში — ბეშთაშე-ნის სამაროვანზე [233, გვ. 42, სურ. 43; 39, გვ. 45—49], ადრეანტიკური ხანის ქვევრსამარხში თეთრიწყაროდან [22, გვ. 62], კამარახევის ძვ. წ. V—III სს. სამაროვანზე [101, გვ. 32, ტაბ. XVII], ალაზნის ველზე [9, გვ. 270], მანგლისში [233, გვ. 47], ასევე დასავლეთ საქართვე-ლოში — ბრილში [33, გვ. 193], ეშერის ელინისტური ხანის კრემი-ციულ სამარხში [235, გვ. 40—41, ტაბ. V₁₀], დაფნარში [224, ტაბ. V₁₁, 3. ნ. სულავა

დაბლაგომში 236, გვ. 37], ბანძაში [236, ტაბ. II_{31, 33—37}], კლდეეთში [67, გვ. 16—18, სურ. 2, ტაბ. XX I], ბორში [274], ჩხოროწყუში [305, გვ. 80, 86—87, ტაბ. VI], აფხაზეთის ადრეული და გვიანანტიკური ხანის მასალებში [304, გვ. 43—47]. მოხრილი დანები აღმოჩენილია სომხეთში, ხრტანოცის სამაროვანზე [257, გვ. 211, ტაბ. III₃], მალაკლუში [237, გვ. 18], ჩრდილო კავკასიაში — გელენჯიკი [168, გვ. 18], ისტი-სუ [231, გვ. 286], ნესტეროვის სამაროვანზე [172, გვ. 123, ტაბ. XV_{4, 6}]; უკრაინის ადრესკვიტურ ყორღანებში [260, გვ. 71, სურ. 195] და სხვ.

ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული სწორი დანების (კატ. №96—98, სურ. 21) მსგავსი ვავრცელებულია ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნისა და ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხებში (მაგ., მცხეთის მდიდრული და ღარიბული სამარხები) (67, გვ. 175).

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი სხვადასხვანაირად მოხრილი და სწორპირიანი დანები თანაარსებობენ და ქრონოლოგიურად გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნებიან.

ს ა ბ რ ძ ო ლ ო ი ა რ ა ლ ი. ცხეთის სამაროვანზე სამი რკინის შუბისპირია აღმოჩენილი (№10, 14 სამარხები, XV თხრილი, კატ. №100—102, სურ. 22). სამივე შუბისპირი მრგვალმარია, წავრძელებული ფოთლის ფორმის. ჩვენი შუბისპირის უახლოეს ანალოგიად მიგვაჩნია (მხოლოდ ზომებშია განსხვავება) კლდეეთში №4 სამარხში აღმოჩენილი შუბისპირი. კლდეეთის იარაღის შემცველი სამარხების მსგავსად ცხეთის №10 სამარხშიც შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა თავგახვრეტილი სალესი ქვა [67, გვ. 140]. რკინის შუბისპირები აღმოჩენილია: ბანძაში (ახ. წ. II ს.), ჩხოროწყუში (ძვ. წ. მიწურულს), წებელდასა და ოლგინსკოეში (ახ. წ. III—IV სს.), ბორში (ახ. წ. I—III სს.), ძევრში (ახ. წ. II ს.) [67, გვ. 144, სურ. 29, ტაბ. XXI₂₃].

აღსანიშნავია კიდევ ერთი სახეობის რკინის იარაღი (კატ. №103—105, სურ. 22), რომელიც აღმოჩენილია № 10 სამარხში და VII თხრილში. ეს არის საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების რკინის მასიური, წვეტიანი და მასრიანი იარაღი, რომელსაც მუჯირს უწოდებენ. ამგვარი იარაღები ცნობილია სოხუმის მთიდან, ლარილარის სამაროვანიდან, ფიჭვნარის ანტიკური ხანის კოლხური სამაროვნიდან და ელნისტური ხანის სამარხებიდანაც. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ოჟორაში, რკინის კალოს სამაროვანზე [63, გვ. 9; 42, გვ. 71, 85; ტაბ. V₅].

ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული ისრისწვერების (?) ფრაგმენტები (კატ. №106, სურ. 22) იმდენად დაზიანებული და უსახურია, რომ რაიმე კონკრეტულის თქმა ძნელია.

სალესი ქვები (კატ. №107, 108, 109, სურ. 21). ცხეთის სამაროვანზე №9 და №10 სამარხებში აღმოჩნდა თითო-თითო სალესი ქვა (№7 სამარხის სალესი ქვა ინვენტართან ერთად დაკარგულია). ერთს ცალი თავი ოდნავ შემსხვილებული, მიმრგვალებული და გახვრეტილი აქვს, ხოლო მეორე თავი — სწორად წაკვეთილი; მეორეა წაგრძელებული პარალელეპიპედის ფორმა აქვს, ცალი თავი შემსხვილებული აქვს და გახვრეტილი. სალესი ქვები ფართოდ არის გავრცელებული უკვე ადრეკინის ხანაში ევრაზიის ტერიტორიაზე [196, გვ. 142]. მრავლად მოიპოვება ისინი კავკასიის სამარხებში [213, სურ. 4, 6: 231, ტაბ. XVI_{1,2}]. ჩვენში სალესი ქვები აღმოჩენილია ბრილის სამაროვანზე (33, გვ. 193), დაფნარის სამაროვანზე, სადაც ზოგი მათგანი ქვევრსამარხების თავზე ეყარა საგანგებოდ დამტვრეული [224, გვ. 41—42]; კლდეეთის სამაროვნის №4 ორმოსამარხში, სადაც ოთხი რკინის შუბისპირი და 15 ისრისწვერი აღმოჩნდა. გ. ლომთათიძის აზრით, სალესი ქვები დამახასიათებელი უნდა იყოს იარაღის შემცველი სამარხებისათვის. მაგ., მცხეთის ამავე დროის სამარხულ ინვენტარში სალესები არ არის, მაგრამ დადასტურებულია ზემო ავჭალის იარაღის შემცველ სამარხში (ს. მაკალათია) და ბორის ერთ-ერთ სამარხში (მ. ივაშჩენკო) [67, გვ. 144—145, ტაბ. XIX].

1. 4. კერამიკა

ცხეთის სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა ძირითადად ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, მთელი ჭურჭელი კი ექვსია — სამტუჩა დოქი, მოშავო-რუხი ფერისა (№9 სამარხი, კატ. №112, სურ.24); მრგვალპირიანი ლეგა ფერის დოქი (№10 სამარხი, კატ. №113, სურ. 23); ყელმომტვრეული მოწითალო ფერის დოქი (№11 სამარხი, კატ. №111, სურ. 23); სამტუჩა წითლადგამომწვარი დოქი (№13 სამარხი, კატ. №110, სურ. 23); პირფართო დოქი (№14 სამარხი, კატ. №114, სურ. 24); რუხი ფერის პატარა ქოთანი №15 სამარხი, კატ. №115, სურ. 24). სამი დოქი დაკარგულია (№10, 11, 13 სამარხებიდან).

№13 სამარხში აღმოჩენილ დოქს პირი სამტუჩა ჰქონია (დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო და დავთრის აღწერილობა), ყური უშე-

ალოდ პირიდან მიძერწილი აქვს მუცელზე. ყელი დაბალი და გამყვანილი. მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. დოქი მოწითალო ფერისა ყოფილა. სამტუჩაპირიანი დოქები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. VI ს-დან ჩნდება, ხოლო დას. საქართველოში ძვ. წ. III ს-დან [224, გვ. 50; 51, გვ. 10, 49, შენ. 50; 87, გვ. 44, 91]. მ. ივანშენკოს ამგვარი დოქები ბერძნულ ოინოხოიად მიაჩნდა და მათ გამოჩენას ქვეყნის ელინიზაციას უკავშირებდა [206, გვ. 123—129]¹². ო. ლორთქიფანიძე სამთავროს სამტუჩა დოქებს ადგილობრივი კერამიკის განვითარებად თვლის და მათი ბერძნულ ოინოხოიებთან მსგავსება ფორმალური ჰკონია [247, გვ. 28]. ვ. თოლორდავას აზრით, ბერძნული კერამიკული ფორმების გავლენა შიდა კოლხეთის კერამიკაზე საგრძნობია, მაგრამ სამტუჩაპირიანი დოქები მეტ სიახლოვეს აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურ ჭურჭელთან ავლენენ, ვიდრე ნამდვილ ანტიკურ ოინოხოიებთან [51, გვ. 48—49].

სამტუჩაპირიანი დოქები ელინისტური ხანის ქვევრსამარხებს ინვენტარის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია როგორც დასავლეთ საქართველოში — დაბლაგოში, დაფნარი, ზემოფარცხმა და სხვ. [51, გვ. 10; 224, გვ. 50; 43, გვ. 79], ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც — სამთავრო. ქვემო ქართლი და სხვ. [51, გვ. 48; 39, გვ. 14—15, 123].

№13 სამარხის დოქის ანალოგიად მიგვაჩნია სოფ. მუხიანში (ქუთაისის მახლობლად) აღმოჩენილი ქვევრსამარხის დოქი, რომელიც განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ყელი შემკული აქვს ირიბი ნაკვრევებით (№13 სამარხის ინვენტართან მუხიანის ქვევრსამარხი მსგავსებას ამჟღავნებს სამაჯურებიც და მძივებიც) [51; გვ. 32—33, ტაბ. XXX₁, XXXI₁].

№ 9 სამარხის სამტუჩა რუხი ფერის ხელადის მსგავსი—ფორმია, კეცის სტრუქტურითა და ფერით ცნობილია კლდეებიდან. გ. ლომთათიძეს ამგვარი ჭურჭელი მიაჩნია ამ პერიოდში (ახ. წ. პირველი საუკუნეები) გავრცელებული ლითონის ოინოხოიას ფორმის ჭურჭლებს მსგავსად და ანალოგიებს მიუთითებს ბორის, ძეგრის და ალაზნის ველის გათხრებიდან [67, გვ. 25, ტაბ. XXI_ბ]. ზუსტად ამგვარი ფორმის, ოღონდ წითელკეციანი დოქები ცნობილია მინგეჩაურიდან [177, გვ. 129—130, სურ. 58].

¹² ამ აზრს იზიარებენ ნ. კილურაძე და ნ. ვაშაკიძე. იხ.: 224, გვ. 50; 178, გვ. 17.

დოქები № 9, 10, 14 სამარხებიდან და ქოთანი № 15 სამარხიდან სამარხეული მასალის მიხედვით ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება.

დანარჩენ სამარხებში (№13, №14) და თხრილებში (XIV, XV) აკრეფილი კერამიკის ფრაგმენტები ხასიათდება მოშავო-რუხი ან მონაცრისფრო-ვარდისფერი უხეში კეციით. ორი ფრაგმენტი შემკულია სავარცხლისებური ორნამენტით (კატ. №116, სურ. 25). ერთი — რომბული ბადით, ერთი — წიწვისებური ნაჭდევებით (კატ. №117, სურ. 25), ერთი — რელიეფური ქედით (კატ. №118, სურ. 25). ორი პირის ნატეხიდან ერთი შემკულია გარედან დაქრწილი მსხვილი თიხის ზოლით. რომელიც შემკულია ირიბი ნაჭდევებით, ხოლო მეორე — ღრმა ირიბ ღარებს შორის მოქცეული ასევე ღრმა წერტილებით (კატ. №117, სურ. 25). ერთი ნატეხი შემკულია ტეხილი ღარებით (კატ. №116, სურ. 25).

ცხეთის სამაროვნის ფრაგმენტებით წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმი მსგავსებას ამჟღავნებს ძვ. წ. VI—IV სს-ის ადრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკასთან (თ. მიქელაძის მიხედვით, შუა კოლხური პერიოდის კერამიკა) [83, გვ. 61] ვანიდან და სიმაგრიდან [76, გვ. 53, 57; 83, გვ. 65, ტაბ. XII]. მაგრამ, შესაძლოა, ტერიტორიული თვალსაზრისით უფრო ახლო პარალელის გამოძებნაც და თვალნათლივი გენეტიკური კავშირის დანახვაც. მხედველობაში გვაქვს იგივე ყვავიქედაზე. ოღონდ ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მიკვლეულა სათავის მასალა, რომელიც ძვ. წ. VIII—V საუკუნეებით თარიღდება. აქ მოპოვებული კერამიკა, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, მაინც იძლევა ფორმასა და ზომაზე წარმოდგენის საშუალებას (სამაროვნის ადრეული კერამიკისაგან განსხვავებით). ჩვენ მიერ ადრეანტიკური ხანის ნაწარმად მიჩნეული კერამიკა აშკარა კავშირს ავლენს ორნამენტაციისა და ფერის მიხედვით ზემოთ აღნიშნული სათავის კერამიკის ერთ ჯგუფთან, რომელიც მოშავო და მოწითალო ყავისფერია, ხოლო ორნამენტი წარმოდგენილია რელიეფური განივი ზოლებით (ყელთან), ირიბი ნაჭდევებით, სავარცხლის კბილით დატანილი ორნამენტით, ტეხილი ხაზებით ან ნაჭდევებით [107, გვ. 102—104].

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ დიდი ზომის ტურქლის ფრაგმენტებზე, რომლებიც აღმოჩნდა პირობითად №12 სამარხად დანომრილ ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ორ ტურქელთან: პირველის, ძირისა და ტანის ფრაგმენტებით წარმოდგენილი ტურქელი

რუხკეციანია და შავზედაპირიანი, კეცის სისქე 15 მმ-ია, ძირის დიამეტრი — 215 მმ, პირის დიამეტრი — 440 მმ (კატ. №120, სურ. 25). მეორე ქურჭელი, რომელიც პირისა და კედლის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. მოვარდისფრო-რუხკეციანი და ლეგა-მოწითალო ზედაპირიანია. კეცის სისქე — 120 მმ, პირის დიამეტრი — 470 მმ (კატ. №120, სურ. 26). ასეთი დიდი ზომის კერამიკული ქურჭელი შეიძლება ან ქვევრი იყოს, ან დერგი.

ფიქრობენ, რომ კერამიკის ერთ-ერთი წამყვანი ტიპის, ქვევრის ჩამოყალიბება ფორმისა და დანიშნულების მიხედვით ძვ. წ. VII ს-ის დასასრულს უნდა მომხდარიყო [83, გვ. 62]. მისი ფუნქციონალური დიაპაზონი საკმაოდ მრავლისმომცველი იყო: ღვინის დაყენება და შენახვა, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შენახვა და ტრანსპორტირება. ქვევრები ექსპორტის საგანიც იყო, და ბოლოს, ქვევრე გამოიყენებოდა სამარხად [23, გვ. 114—149; 84, გვ. 55; 34, გვ. 93—94; 202, გვ. 149—155, სურ. 6—7; 310, გვ. 22—23; 170, გვ. 12, სურ. 5; 282, გვ. 240—241; 192, გვ. 46—47].

რადგანაც ჩვენ მიერ ქვევრებად მიჩნეული ქურჭელი სამაროვანზეა დაფიქსირებული, დასაშვებად მიგვაჩნია მათი სამარხებად გამოყენება, თუმცა კონკრეტული მასალა ამის სამტკიცებლად არა გვაქვს. ისინი უნდა მიეკუთვნებოდეს იმ პერიოდს, როდესაც ქრება მდიდრულად შემკული ადრეული კოლხური ქვევრები და მათ ადგილს ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან იკავებს სადაზედაპირიანი ქვევრები [224, გვ. 48; 44, გვ. 101; 29, გვ. 171].

ცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმიდან აღსანიშნავია კვირის ტავებიც (კატ. №121, სურ. 26), რომლებიც მხოლოდ №12 სამარხშია დაფიქსირებული (3 ც.), ერთი კვირისტავე ქვისაა, კუთხეებმომრგვალებული, წაკვეთილი კონუსის ფორმის, ხოლო ორი თიხისაა, ნახევარსფერული ფორმის: ერთი სადაა, მეორე კი შემკულია გეომეტრიული ორნამენტით — ირიბი ხაზებით შევსებული ჭდეული სამკუთხედები. კავკასიის ტერიტორიაზე კვირისტავეების მასობრივი გავრცელება ძვ. წ. VII—V სს-დან იწყება [297, გვ. 55]. კონუსური ფორმის კვირისტავეები არის ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. VI—IV და ძვ. წ. VI—V სს-ით დათარიღებულ ფენებში [76, გვ. 51]. ამგვარი ფორმის კვირისტავეები კოლხეთისათვის დამახასიათებელი ყოფილა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან. ამავე ფორმის კვირისტავეები გვხვდება საბაჟოსა და ზურგას ძვ. წ. V ს-ის ნასახლარებზე

[84. გვ. 56]. ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარებზე (სიმაგრე) [83. გვ. 56] და სხვ. მერხეულის სამაროვანზე დაფიქსირდა კვირისტავების სამარხებში ჩატანების ფაქტი [17. გვ. 63, ტაბ. III₁₈].

თიხის კვირისტავები ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან (ზმეისკის ნამოსახლარი, ნესტეროვისა და ისტი-სუს სამაროვნები [231. ტაბ. IX₄, ტაბ. V₅, ნახ. 30, 40; ტაბ. XI_{1, 4}]) და სკვითური ნამოსახლარებიდან და სამაროვნებიდან [172. ტაბ. 1, 16; 173. ტაბ. II_{11, 12}]. ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან (ნამოსახლარი სოფ. სემიონოვკასთან) [228. გვ. 23, 42, 62; 229].

2. ცხეთის სამაროვნის დათარიღებისათვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპედიცია, რომელმაც ცხეთის სამაროვანი გამოავლინა, დაზვერვითი იყო და დაინტერესებული იყო უპირატესად ბრინჯაოს ხანის ძეგლების ძიებით. მუშაობა წარმოებდა სადაზვერვო-საცდელი თხრილების საშუალებით. ამიტომ სიტუაციური გეგმა არ გაკეთებულა. სტრატეგრაფიული მონაცვლეობა არ ყოფილა დადასტურებული. ამიტომაც ცხეთის სამაროვნის ქრონოლოგია სამარხეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზს ემყარება. აღნიშნულის საფუძველზე ცხეთის სამაროვანზე შეიძლება ორი ერთმანეთის მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა — ძვ. წ. II (შესაძლოა III ს. ?) — I საუკუნის სამარხები (№6, 12, 13) და ახ. წ. I—IV საუკუნეთა სამარხები (№ 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, 15)¹³.

ადრეული ჯგუფის გამოყოფის საშუალება მოგვცა ზურგჩაზნიქილმა სამაჯურებმა (ნაჭდევებით გადმოცემული ცხოველის სტილიზებული თავებით), სამტუჩა წითლად გამომწვარმა დოქმა და მრავალფეროვანმა მძივსამკაულმა. ანალოგიური ზურგჩაზნიქილი სამაჯურები დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია ძვ. წ. II—I საუკუნეებით დათარიღებულ ქვევრსამარხებში (ფარცხანაყანევი, ზემოფარცხმა, დაბლაგომი, დაფნარი, მუხიანი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში როგორც ქვევრსამარხებში (სამთავრო), ასევე ორმოსამარხებში (უფლისციხე) და ქვის სამარხებში (ნერონ-დერესი). რაც შეეხება სამტუჩა წითლად გამომწვარ დოქს, იგი აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან ავლენს კავშირს (ციხია-გორა, სამთავრო).

¹³ იხ. სამარხებისა და სამარხეული მასალის აღწერილობა — აქვე: გვ. 41—45.

ფიქრობენ, რომ ეს ფორმა შიდა კოლხეთში ფეხს იკიდებს ძვ. წ. III საუკუნიდან [51, გვ. 49].

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ VII თხრილის ანალიზზე. №12 და №13 სამარხები ამ თხრილში დაფიქსირდა. VII თხრილი გაიჭრა კერძო პირის (ს. შინდაძის) ეზოში. თხრილი ორიენტირებული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. თხრილის შუაში, მიწის ზედაპირიდან 50 სმ-ის სიღრმეზე გამოჩნდა სამი მიცვალებულისა და ცხენის ძვლები. აქვე აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ნატეხები. ეს უწესრიგო გროვა №12 სამარხად მოინიშნა. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ამ „სამარხს“ უშუალოდ ეკვროდა ქვის ფილებისაგან შედგენილი ორი პატარა ყუთი (50X40 სმ). იატაკიც ქვის ფილისა იყო, ხოლო გადახურვა არ დადასტურებულა. ყუთები ცარიელი აღმოჩნდა.

№13 სამარხი ამავე თხრილის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 80 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებულის ძვლები აქაც არეული იყო, მაგრამ ჩანდა, რომ იგი გვერდზე იწვა მუხლებში მოხრილი. როგორც აღწერიდან ჩანს, ეს ადგილი ნაწვალეებია, ნათხარია და შესაძლებელია გაძარცვულიც. ექვს იწვევს დიდი ზომის ჭურჭლის (დერგის ან ქვევრის) ფრაგმენტები. არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს გაძარცვულ და დამტვრეულ ქვევრსამარხთან. რადგან ამ პერიოდის ორმოსამარხებში ასეთ დიდ ჭურჭელს არ ატანდნენ. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ არკნეთის სამაროვნის მსგავსად, საქმე გვქონია დაკრძალვის ორგვარი წესის — ორმოსამარხისა და ქვევრსამარხის თანაარსებობასთან ერთ სამაროვანზე.

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფი, რომელიც აერთიანებს დანარჩენ სამარხებს, ანალოგიური მასალების მოშველიებით კარგად თარიღდება ძვ. წ. I—IV საუკუნეებით. ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული სამარხების მასალა წარმოდგენილია გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ტიპური ნივთებით: სამაჯურები, რომელთა თავებიც ერთმანეთზე გადადებული და გადახვეულია, „მტევნებით“ შექცული საყურეები, სხვადასხვა ტიპის ფიბულები, მრავალფეროვანი მძივსამკაული. ამგვარი ნივთები გვხვდება თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან თანადროულ ძეგლზე როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ფიბულათა მრავალფეროვნება. ცხეთის სამაროვნის გვიანანტიკური ხანის ექვსმა სამარხმა მოგვცა ოთხი ტიპის ათი ფიბულა. ფიბულათა ასეთი სიმრავლე და მრავალფეროვნება ერთი სამაროვნის პატარა მონა-

კვეთზე უჩვეულოა საქართველოს გვიანანტიკური ხანის ძეგლები-სათვის, № 1 სამარხი მკვეთრადპროფილირებული შავიზღვისპირული ფიბულების საშუალებით თარიღდება ახ. წ. III ს-ით და IV ს-ის I ნახევრით; № 2 სამარხი, სადაც ერთდროულად გვაქვს მკვეთრადპროფილირებული შავიზღვისპირული და ბუდეაბმული ორწილადი ფიბულა, თარიღდება ახ. წ. IV საუკუნის I ნახევრით; № 5 სამარხი „ავციხას“ მსგავსი პროვინციული ტიპის მუხლსახსრისანი ფიბულის საშუალებით ახ. წ. I—II საუკუნეებით თარიღდება. № 10 და № 14 სამარხები ბუდეაბმული ორწილადი ფიბულის საშუალებით თარიღდებიან ახ. წ. IV საუკუნის I ნახევრით; № 15 სამარხს მინანქრიანი ფიბულა ახ. წ. II—III საუკუნეებით ათარიღებს.

3. სამარხიული კომპლექსების აღწერილობა

სამარხი № 6. სამარხი წარმოადგენდა დანგრეულ ორმოს არეული ძვლებითა და მასალით. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,40 მ-ის სიღრმეზე.

სამარხიული ინვენტარი 1. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი და ნაჭდევებიანი გამსხვილებული ბოლოთი, ნაკლული. 2. სამაჯური — რკინისა, ზურგშედრეკილი, ძლიერ დაზიანებული. 3. კერამიკული ფრაგმენტები, არათანაბრად გამომწვარი, მოშავო-რუხი (დაკარგულია). სამარხი თარიღდება ძვ. წ. III—II სს-ით.

სამარხი № 12. ეს ნუმერაცია პირობითია. საქმე შემდეგშია: ერთ-ერთი საცდელი თხრილის შუაში, დაახლოებით 50 სმ-ის სიღრმეზე გაიწმინდა გროვა (2, 25 X 1, 30 მ) არეული ძვლებისა და ნივთებისა. გაირკვა, რომ სამი მიცვალებულის და ცხენის ძვლები იყო. ცხადი იყო, რომ აქ დანგრეული იყო და არეული რამდენიმე სამარხი. ამ „გროვა—სამარხს“ ჩრდილო და სამხრეთი მხრიდან მოდგმული ჰქონდა ქვის ფილებისაგან შედგენილი პატარა ყუთები — 50 სმ-ის სიმაღლისა და 40 სმ-ის სიგანისა. იატაკიც ქვის ფილისა იყო. სამარხისაკენ ყუთები გახსნილი იყო. გადახურვა არ დადასტურებულა. საეჭვოა, რომ თავდაპირველად ყუთები ცარიელი ყოფილიყო. რადგანაც ყოველივე აღნიშნული ერთ დონეზე იყო, ერთმანეთთან ახლოს, გამთხრელებს იგი № 12 სამარხად გაუტარებიათ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ აქ რამდენიმე სამარხის მასალა იყოს აკრეფილი.

სამარხეული ინვენტარი: 1. სამაჯურები — ბრინჯაოსი, 3 ცალი; ერთი ზურგშედრეკილი, ორი — ზურგსწორი. 2. ბეჭედი რკინის ოვალურფარაკიანი და რგოლნაკლული. 3. ფირფიტა — ოქროსი, უსახური, დეფორმირებული. 4. აბზინდა — რკინის, მრგვალი, ენაგამობმული. 5. კვირისტავეები — ორი თიხის, ერთი ქვის. 6. მუჯირები — 2 ცალი, რკინის. 7. წვეტანა რკინის. 8. მძივები — სამი ცალი, გაუმჭვირვალე მინის, ლურჯი, ყვითელი და ცისფერი. 9. დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. შავად გამომწვარი, რუხკეციანი, პირყელის და ძირის ფრაგმენტები. 10. დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები — არათანაბრად გამომწვარი, ლეგა-მოწითალო, მოვარდისფერ-რუხი კეცი. პირის ფრაგმენტი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. III—I სს-ით.

სამარხი № 13. სამარხი ორმო აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 80 სმ-ის სიღრმეზე, ორიენტირებული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული ესვენა გვერდზე მუხლებში მოხრილი. სამარხის სიგრძე — 1,60, სიგანე — 0,55 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. დოქი — წითლად გამომწვარი, სფერულმუცლიანი, სამტუჩა (დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო). 2. სამაჯურები — ბრინჯაოსი, 4 ცალი, ზურგშედრეკილი; ბოლოები შემკულია ნაქდევეებით შესრულებული გველის თავის სქემატური გამოსახულებით. 3. კერამიკის ფრაგმენტები. 4. მძივები: ქვის, გიშრის, მინის: გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე, პოლიქრომიული, ოქროფენილი, სულ 657 ცალი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. II—I სს-ით.

სამარხი № 1. ორმოსამარხი აღმოჩნდა 60 სმ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. სამარხში სამი მიცვალებული იყო. ერთი იწვა მარცხენა მხარეზე. მესამე მიცვალებულის თავის ქალა კარგად ჩანდა ამ ორი მიცვალებულის ძელებს შორის. სამარხის სიგრძე — 1,10, სიგანე 0,70 მ.

სამარხეული ინვენტარი 1. სამაჯურები — 2 ცალი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი, თავბოლოგადადებული და გადახვეული. 2. ფიბულები — 2 ცალი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი, მკვეთრადპროფილირებული. 3. ქინძისთავეები — 2 ცალი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი; ერთი მთლიანადსხმული თავდაწახნაგებულია. 4. აბზინდები — ბრინჯაოსი, 2 ცალი, მრგვალი. 5. მძივსაკიდი — ეგვიპტური ფაიანსი (მწოლიარე ლომის გამოსახულება). 6. მძივები: სარდიონის, ქარვის, კირქვის, გაუმჭვირვალე მინის. სულ 127 ცალი. სამარხი თარიღდება ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისით.

სამარხი № 2. სამარხი აღმოჩნდა 30 სმ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. მიცვალებული ბავშვი იყო. იწვა ზურგზე, გულზელ-დაკრეფილი და ფეხებში ოდნავ მოხრილი. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამარხის სიგრძე — 0,90, სიგანე — 0,60 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. სამაჯურები ბრინჯაოსი, 2 ცალი, თავბოლოგადადებულნი და გადახვეული. 2. ფიბულები — 3 ბრინჯაოსი და ერთი ვერცხლის, ორი მკვეთრად პროფილირებული და ორი ბუდეაბმული. 3. ფიბულის ფარაკი (?) — ბრინჯაოსი. 4. ბრინჯაოს რგოლი, თავგახსნილი. ცალ ბოლოზე დაწახნაგებული თავით. 5. რკინის ისრის წვერები. 6. საყურეები — ოქროსი წყვილი; მრგვალ-განივკვეთიან თავგახსნილ რგოლზე მიჩნეულია „ყურძნის მტევნის“ გამოსახულება. 7. მძივსაკრები — ძვლის. 8. მძივები: ქარვის, აქატის, სარდიონის, მინის: გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე, პოლიქრომიული, ოქროფენილი. სულ 106 ცალი. 9. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დაკარგულია). წითლად გამომწვარი. სამარხი თარიღდება ახ. წ. IV ს-ის I ნახევრით.

სამარხი № 4. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ-ზე. მიცვალებულის ძვლები ძალიან ცუდად იყო შენახული. სამარხის სიგრძე — 1,20, სიგანე — 0,70 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. ბრინჯაოს რგოლის ოთხი ფრაგმენტი (დაკარგულია). 2. მძივები: ქარვის, სარდიონის, მინის: გაუმჭვირვალე, გამჭვირვალე, პოლიქრომიული, ოქროფენილი. სულ 44 ცალი. სამარხი თარიღდება ახ. წ. I—III სს-ით.

სამარხი № 5. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული იწვა მარჯვენა მხარეზე, მოხრილი, ორიენტირებული პირით აღმოსავლეთისაკენ. სამარხის სიგრძე — 1,30, სიგანე — 0,70 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. ფიბულა — რკინის, რკალისებური. სახსრიანი შესაკრავით, ე. წ. „ავცისას“ ტიპისა. 2. რკინის აბზინდა — სწორკუთხა, მოგრძო, შუაში ენაგამობმული. 3. მოხრილი დანა — რკინის. სამარხი თარიღდება ახ. წ. I—II სს-ით.

სამარხი № 7. (სამარხის ინვენტარი დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო). სამარხი დეფორმირებული იყო, ამიტომ მიცვალებულის ჩონჩხი მენჯს ზემოთ დაწეული იყო 20 სმ-ით, რის გამოც ნაწილი სამარხისა მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე იყო, ხოლო ნაწილი — 70 სმ-ისა. მიცვალებული წოლილა მარჯვენა გვერდზე. მუხ-

ლებში მოხრილი. ორიენტირებული აღმოსავლეთისაკენ. სამარხის სიგრძე — 1,25, სიგანე — 0,80 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. რკინის რგოლი (აბზინდის?). 2. მოხრილი დანა — რკინის. 3. სალესი — ქვის, სწორკუთხა, წაგრძელებული, ცალ მხარეს გახვრეტილი. 4. ბალთა — რკინის, ოთხკუთხა, შუაში მრგვალად ამობურცული, ინკრუსტირებული ოქროთი. ბალთა ნაკლულია. 5. აბზინდა — რკინის, სწორკუთხა, წაგრძელებული, შუაში ენაგამობმული. სამარხი თარიღდება ახ. წ. I—II სს-ით.

სამარხი № 9. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,20 მ-ის სიღრმეზე. № 8 უინვენტარო სამარხის ქვემოთ. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე მუხლებში მოხრილი. აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის სიგრძე — 1,35, სიგანე — 0,85 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. აბზინდა — რკინის, მრგვალი. ენაგამობმული. 2. სალესი — ქვის, მომრგვალებული, ცალ მხარეს გახვრეტილი. 3. დოქი — ლეგა ფერის, სამტუჩა, მსხვილმარცვლოვანი, სუსტად გამომწვარი თიხისა. სამარხი თარიღდება ახ. წ. I—III სს-ით.

სამარხი № 10. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,20 მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული იწვა ზურგზე. სამარხის სიგრძე — 1,75, სიგანე — 0,80 მ.

სამარხეული ინვენტარი: 1. აბზინდა — ბრინჯაოსი, 2 ცალი, მრგვალი. ორივეს ენა დაკარგული აქვს. 2. სალესი — ქვის, სწორკუთხა, ცალ მხარეს გახვრეტილი. 3. მუჯირი — რკინის, ნაკლული. 4. ფიბულა — რკინის, ბუდეაბმული, ძლიერ დაზიანებული. 5. დანა — რკინის, ნაკლული. 6. შუბისპირი — რკინის, ფოთლისებური პირით, მასრაშეკრული. 7. დოქი — ლეგად გამომწვარი თიხისა, მუცელი სფერული, ვიწრო ყელი, მხარსა და მუცელზე დაუყვება ირგვლივ ღარი (დოქი დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო). სამარხი თარიღდება ახ. წ. IV ს-ის I ნახევრით.

სამარხი № 11. (სამარხის ინვენტარი დაკარგულია, არის მხოლოდ დოქის ფოტო). სამარხი დანგრეული იყო. დაფიქსირდა მხოლოდ თავის ქალა, რომელთანაც იდო მოწითალო-ყავისფრად გამომწვარი თიხის ყურმოტეხელი დოქი, მსხლისებური ფორმის მუცლით, მხარსა და მუცელზე წყვილ-წყვილი ღარები გასდევს. აქვე იყო ლეგა ფერის თიხის კვირისტავის ნატეხი და მინის მძივები: პოლიქრომიული, ოქრო-

ფენილი და გაუმჟვინვალე. სამარხი თარიღდება ახ. წ. I—III სს-ით (?).

სამარხი № 14. სამარხი დანგრეული იყო, ძვლები არეულ, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ მიცვალებული წოლილა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი.

სამარხეული ინვენტარი: 1. შუბისპირი — მასრაშეკრული. 2. მოხრილი დანა — რკინის. 3. ფიბულის მშვილდის ნატეხი, რკინის. 4. ისრისწვერი — რკინის. 5. კერამიკის ფრაგმენტები (3 ფრ.), მოწითალოდ გამომწვარი თიხისა. 6. დოქი. 7. მძივები: ერთი ბრინჯაოსი და ერთი პოლიქრომიული. სამარხი თარიღდება ახ. წ. IV ს-ის I ნახევრით.

სამარხი № 15. ეს სამარხიც დანგრეული იყო. გამოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,20 მ-ის სიღრმეზე. ზომების და ორიენტაციის გარკვევა არ მოხერხდა.

სამარხეული ინვენტარი: 1. ბრინჯაოს ფიბულა ინკრუსტირებული ფერადი მინანქრით. 2. მძივსაკიდი — ეგვიპტური ფიანსისა, ცისფერი, მწოლიარე ლომის გამოსახულება (ნივთი დაკარგულია, არის მხოლოდ ფოტო). 3. მძივები: სარდიონის და პოლიქრომიული. სამარხი თარიღდება II—III სს-ით.

საძიებო თხრილებში აღმოჩენილი მასალა:

II თხრილიდან: 1. თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. 2. ბრინჯაოს სამჯურის ფრაგმენტი. 3. რკინის დანის ორი ნატეხი. 4. რკინის მრგვალი და ბრტყელი ნივთი. 5. დანის კაყის ჩასართები.

III თხრილიდან: 1. დერვის თუ ქვევრის ფრაგმენტები. შავად გამომწვარი, სქელკედლიანი. 2. რიყის ქვის საბეგველები და სასრფეები.

XIV თხრილიდან: 1. შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის სამი ნატეხი. 2. ბრინჯაოს ფიბულის (?) ფრაგმენტი. 3. თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი, ირიბი ღარული ორნამენტით.

XV თხრილიდან: 1. სამაჯურები — ბრინჯაოსი, სამი ცალი, ორს თავითავზე აქვს გადადებული, ერთს პირიპირზე მიტანილი. 2. რკინის შუბისპირი. 3. რკინის დანის ფრაგმენტი. 4. რკინის კაუჭისებური ნივთი. 5. თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ორნამენტიანი ნატეხები. ორნამენტი — ტეხილი ხაზები, სავარცხლის ორნამენტი, რომბისებური ბადე, წიწვისებური ორნამენტი.

11. შემთხვევით აღმოჩენილი ანტიკური ხანის მასალა, ტიპოლოგიურ-კრონოლოგიური კვლევა

ცხეთის სამაროვნის გარდა ლეჩხუმის ანტიკური ხანის ძეგლები წარმოდგენილია შემთხვევით აღმოჩენილი მასალებითაც. მასალები დაცულია ცავერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმსა და ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში. ისინი მომდინარეობენ ლეჩხუმის სხვადასხვა სოფლებიდან და თავისი ფუნქციონალური ხასიათით უპირატესად სამარხეული წარმოშობისა ჩანან. აღნიშნული მასალების ტიპოლოგიურ-კრონოლოგიური კვლევა მოცემული გვაქვს აღმოჩენის ადგილის მიხედვით.

რადგანაც სოფელ ცხეთიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის შემთხვევით აღმოჩენილი მასალაა შესული ცმმ-ში (ფაქტიურად, ამ კვალს მიყვა 1962 წელს არქეოლოგიური ექსპედიცია), ამიტომ მიმოხილვას სოფელ ცხეთიდან დავიწყებთ. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, მასალის უმეტესობა ცხეთის სამაროვნის დანგრეული სამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს, რაზედაც მასალის თითქმის იდენტურობა მიგვანიშნებს.

ცხეთა. ცხეთის მიდამოებში აღმოჩენილი მასალა წარმოდგენილია სამკაულით (სამაჯურები, მძივები, საყურე, ბეჭედი), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ზარაკები, საკიდი „ფრინველი“), მონეტებითა და კერამიკით.

სამაჯურები:

1. ბრინჯაოს ზურგჩაზნეკილი სამაჯური, რომელსაც ღერო მრგვალგანივკვეთიანი აქვს. შემსხვილებული ბოლო კი გველის თავის გამოსახულებას წარმოადგენს და გადმოცემულია ნაჭდევებითა და წრეხაზებით (კატ. № 122, სურ. 27). ამ ტიპის სამაჯურის უახლოეს ანალოგიას წარმოადგენს ცხეთის სამაროვნის № 13 სამარხის ორი სამაჯური და VII თხრილში აღმოჩენილი ერთი სამაჯური. ამგვარი სამაჯურები ცნობილია: ზემოფარცხმის ძვ. წ. III—II სს-ის ქვევრსამარხებიდან, სადაც ისინი აღმოჩენილია ბოლოებნაჭდევებიან ოქროს საყურე რგოლებთან, მრგვალ და ოვალურფარაკიან ბეჭდებთან, ოქროფენილ მძივებთან ერთად და სხვა [43, გვ. 89—90, ტაბ. VII₉, IX₃, 5]; სოფ. მუხიანის (ქუთაისთან) გვიანელინისტური ხანით დათარიღებული ქვევრ-

სამარხიდან [51, გვ. 32 ტაბ. XXXI_{1, 2}]. აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია სამთავროს ძვ. წ. II ს-ით დათარიღებულ ქვევრსამარხებში [51, გვ. 52, ტაბ. XIII₃] და უფლისციხის № 1 ორმოსამარხში (ყათნალისხევის მარცხენა სანაპიროდან), რომელიც ძვ. წ. III—II სს-ით თარიღდება [139, გვ. 84, ტაბ. L₆].

2. მრგვალღეროვანი ვეკვეთიანი, თავებგახსნილი, სადა ბრინჯაოს სამაჯური (კატ. № 123, სურ. 27). (ამ ტიპის სამაჯურების შესახებ იხ.: გვ. 13).

3. თავბოლო გადადებული და გადახვეული ბრინჯაოს სამაჯურები (კატ. № 124, სურ. 27). ამ ტიპის სამაჯურები ცხეთის სამაროვნის № 1 და № 2 სამარხებშიც არის აღმოჩენილი, ბრინჯაოსი და ვერცხლისა. ეს სამარხები იქ აღმოჩენილი ორწილადი ბუდეებმული და ჩრდილო შავიზღვისპირული მკვეთრად პროფილირებული ფაბულეების მიხედვით ახ. წ. III—IV სს-ით თარიღდება. როგორც აღნიშნული იყო (ცხეთის სამაროვანზე საუბრისას), ბ. კუფტინის აზრით, თავბოლო გადადებული სამაჯურები დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I სს-ში ცვლიან ზურგმუდრეკილ სამაჯურებს [236, გვ. 55; 235, გვ. 33] და დამახასიათებელი ხდებიან ახ. წ. I—III სს-თვის [118, გვ. 57], ხოლო არსებობას განაგრძობენ VIII საუკუნის ჩათვლითაც [118, გვ. 57; 15, გვ. 81]. ამ ტიპის სამაჯურები ფართოდ არის გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში¹⁴. ცხეთაში აღმოჩენილი ვერცხლის სამაჯურის ზუსტი ანალოგია უნდა იყოს არმაზისხევის და ბაგინეთის ოქროს სამაჯურები [8, გვ. 99 სურ. 139].

მძივესამკაული. ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი მძივესამკაული შემდეგი სახეობებით არის წარმოდგენილი: ქვისა და ქარვის მძივები, მინის მძივები — ერთფერი და პოლიქრომიული, ოქროფენილი.

1. ქვის მძივები. სარდიონის მძივი ერთი ცალია. იგი ვარდისფერია, სფერული და დაბალი (კატ. № 125, სურ. 27). ამგვარი მძივები გავრცელებულია როგორც ადრეულ ხანაში, ასევე ახ. წ. პარველი საუკუნეების კომპლექსებში.

სარდიონის მძივებთან ერთად გვინდა განვიხილოთ ბეჭდის სარდიონის თვლები (კატ. № 125, სურ. 27): წაკვეთილი რვაწახნაგკონუსის ფორმისა. მრავალწახნაგა ფორმის ბეჭდის თვლები გავრცელებულია ახ. წ. II—III სს-ში. მრავალწახნაგა თვალი (რვაწახნაგა)

¹⁴ იხ.: აქვე, გვ. 14, ცხეთის სამაროვანი, ლიტერატურა და პარალელები.

აქვს ციხისძირის განძის მხრებგაზიდულ ოქროს ბეჭედს. თვალზე გამოსახულია რომაულ სამყაროში გავრცელებული ერთ-ერთი სიუჟეტი [53, გვ. 133—134, ტაბ. LV₂]. მრავალწახნაგა თვლიანი ბეჭედები ცნობილია ზღუდერიდან და ერწოს ველიდანაც [70, გვ. 129; 146, გვ. 143].

ქალცედონის მძივები წარმოდგენილია კანელურებიანი და კასრისებური ფორმის (კატ. № 125, სურ. 27) 2 მძივით. ქალცედონის მძივები უმთავრესად გეომეტრიული ფორმისაა. ელინისტურ ხანაში გავრცელებული იყო საკიდი-ამფორები. კასრისებური და კანელურებიანი მძივები ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი [156, გვ. 11, 12—13, ტიპი 7, 21, ტაბ. 37₁₉, 20, 23, 25].

მწვანე (გაურკვეველი ჯიშის) სფერული, დაბრტყელებული დიდი ზომის მძივის მსგავსი (კატ. № 125, სურ. 27), ოლონდ ოპალის მძივა და განსაზღვრული ცნობილია კლდეეთიდან [67, გვ. 66, ტაბ. XVII], ჩრდ. შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ამგვარი მძივები ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე გვხვდება [155, გვ. 64, ტიპი 8, ტაბ. 33_{2a}].

ქარვის მძივები (კატ. № 125, სურ. 27) წარმოდგენილია: 1. კენჭისმაგვარი დაბრტყელებული მძივის ფრაგმენტით, რომლის მსგავსი, ოლონდ მთლიანი ეგზემპლარები არის ცხეთის სამაროვნის № 1 და № 2 სამარხებში. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამგვარი მძივები პირველი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. 2. სოკოსებური ფორმის მძივით, რომლის მსგავსიც, ოლონდ სხვადასხვანაირი პროპორციისა, აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის კომპლექსებში. ამ ტიპის მძივები ჩნდება III ს-ში, ხოლო IV ს-ში ფართოდ ვრცელდება. ამგვარი მძივები დამოწმებულია წებელდის IV—V სს-ის კომპლექსებში, ჩერნიახოვის კულტურის სამარხებში და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე [155, გვ. 24, ტიპი 21, ტაბ. 24_{7, 8}]. 3. წაგრძელებული, ჭრილში სამკუთხაგანივკვეთიანი მძივით, რომლის მსგავსიც ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძირითადად გავრცელებულია I—II სს-ის კომპლექსებში და არსებობს III—IV სს-შიც [155, გვ. 25, ტიპი 44, ტაბ. 24₃₇].

უბრალო ქვის მძივები წარმოდგენილია კვირისტავისებური ფორმის მძივით (კატ. № 125, სურ. 27).

2. ერთფერი მინის გამჭვირვალე მძივები. პირველ რიგში აღსანიშნავია ცისფერი „დელფინის“ კუდის ფრაგმენტი (კატ. № 125, სურ. 27). ამ საკიდის ზუსტი ანალოგია უნდა იყოს

ქერსონესის საკიდი [155, გვ. 73, ტიპი 184, ტაბ. 34₂₁]. ფიგურული საკიდების უმრავლესობა ძვ. წ. I — ახ. წ. I საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი [155, გვ. 62]. ჩვენში დელფინის, ოლონდ უფრო სქემატური, ღია ცისფერი მინის მძივსაკიდები აღმოჩენილია ფიქვნარის ელინისტური ხანის კოლხურ სამაროვანზე — სამარხში (№ 62), რომელიც გამოირჩევა მძივსამკაულის სიუხვით — 233 ცალი [45, გვ. 70, 79, ტაბ. XX XIII₅]. ცისფერი მინის დელფინისებური საკიდი ცნობილია დაბლაგომის ქვევრსამარხებიდან, რომელთაც ბ. კუფტინი ზოგადად ძვ. წ. VI—III სს-ით ათარიღებდა [236, გვ. 52, 75]¹⁵, ვანიდან ამგვარი საკიდი მომწვანო ფერისა ცნობილია ძვ. წ. IV—III სს-ის კომპლექსებიდან [31, გვ. 104, ტაბ. 49]. დელფინის გამოსახულებიანი მძივსაკიდი, ოლონდ შავი მინისა, აღმოჩენილია ზენობანის ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ქვევრსამარხში მსხლისებურტანიან დოქთან და ოდნავ რკალშედრეკილ მრგვალკოპებიან და ბიკონუსური შესქელებებით დაბოლოებულ სამაჯურთან ერთად [41, გვ. 80, ტაბ. X₂, 14].

ც რ ე მ ლ ი ს ე ბ უ რ ი ფ ო რ მ ი ს, ყუნწიანი, თაფლისფერი მძივის (კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი საკიდები გავრცელებულია ჩრდ. შავიზღვისპირეთის II—III სს-ის კომპლექსებში [155, გვ. 72, ტიპი 162, ტაბ. 33₆₇].

ს ფ ე რ ო ს ე ბ უ რ ი, გადაბმული და გადაუბმელი, უფერული მძივები (კატ. № 125, სურ. 27), რომელთაც ღარის ირგვლივ დამახასიათებელი ნაწიბურები აქვთ, გავრცელებულია ახ. წ. I—II სს-ში. ეს მძივები დამზადებულია მინის გაწელვის ტექნიკით [155, გვ. 65, ტიპი 17, ტაბ. 33₁₋₃].

მ წ ვ ა ნ ე, ს ი გ რ ძ ი ვ დაღარული, გამკვირვალე მძივის (კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი, ოლონდ ცისფერი მინისა, რომელსაც ბ. კუფტინი გოგრისებურ გვერდებდაღარულს უწოდებს. ცნობილია დაბლაგომიდან [236, გვ. 53, ტაბ. 15₂]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ახ. წ. IV საუკუნის კომპლექსებშია [155, გვ. 71, ტიპი 147, ტაბ. 33₅₁₋₅₃].

3. ე რ თ ფ ე რ ი მ ი ნ ი ს გ ა უ მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ ე მ ძ ი ვ ე ბ ი. მსხლისებური ფორმის (ბიკონუსური), მოლურჯო, მომწვანო და ყვითელი მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ცხეთის გარდა აღმოჩენილია მურის

¹⁵ აგრეთვე იხ. 51, გვ. 14, შენ. 36.

ციხესთან და ტვიშში. შაბიამნისფერი და ყვითელი მსხლისებური მძივები დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის, მაგრამ გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ [155, გვ. 66. ტიპი 41, ტაბ. 338]. ვანის მასალების მიხედვით ამგვარი მძივები ძვ. წ. IV—III სს-ის სამარხებშია აღმოჩენილი (№ 9 — მეომრის სამარხი, № 10 — ბავშვის სამარხი, № 16 — მდიდრული) [31, გვ. 104. ტაბ. 48]. მსხლისებური ფორმის მძივები არის დაბლაგომის, დაფნარის, ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, მდ. სუფსა-ნატანების აუზში, სვანეთში [236, გვ. 51; 50, გვ. 48, სურ. 86₁; 224, გვ. 55; 207, გვ. 627; 45, გვ. 79; 58, გვ. 46; 178, გვ. 21; 128, გვ. 20].

მსხლისებური ფორმის მძივებს უნდა განეკუთვნებოდეს ასეთივე ფორმის ცისფერი, ოღონდ გვერდებზე პორიზონტული სამ-სამ ნაქდევინი მძივი (კატ. № 125, სურ. 27).

მწვანე, სიგრძივლარებიანი მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ჩრდილო შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ძვ. წ. IV—I სს-ში გვხვდება [155, გვ. 71, ტიპი 147, ტაბ. 33₅₂, 53].

მოშავო-იისფერი, დაბრტყელებულ-სფერული მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ჩრდილო შავიზღვისპირეთის კომპლექსებში არის როგორც ძვ. წ. II ს-ში, ასევე ახ. წ. I ს-შიც [155, გვ. 65, ტიპი 18, ტაბ. 33₄].

შავ-იისფერი სფერული მძივები (კატ. № 125, სურ. 27) დამახასიათებელია ჩრდილო შავიზღვისპირეთში I—IV საუკუნეებისათვის [155, გვ. 63, ტიპი 1, ტაბ. 33₁, 2].

შავი, სფერული, სიგრძივლარებიანი მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ჩრდ. შავიზღვისპირეთში არის I—IV საუკუნეების კომპლექსებში [155, გვ. 71, ტიპი 141, ტაბ. 33₁₆].

მილაკისებური, ცისფერი მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ხმარებაში იყო ახ. წ. I—IV სს-ში [155, გვ. 67, ტიპი 68, ტაბ. 33₁₄].

ლურჯი, დაწახნაგებული მძივის (კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი გავრცელებული ჩანს II—IV სს-ში [155, გვ. 70, ტიპი 134, ტაბ. 33₄₁].

შავი, გადაბმული სამი მრგვალი სიგრძივლარული მძივის (კატ. № 125, სურ. 27) ანალოგია ვერ მოვიძიეთ.

4. პოლიქრომიული მძივები. შავი, სფერული, მუცელზე ორი თეთრი ზოლით და მუცელზე ერთი თეთრი ზოლით მძივების (კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი აღმოჩენილია სამთავროს კრამიტსამარხებში (S 91, 1938 წ.). სამთავროს მძივები ახ. წ. პირველი საუკუნე-

ნეებით თარიღდება [208, სურ. 212]. მსგავსი მოშავო-ლურჯი ერთ-
ზოლიანი მძივები ცნობილია ვანიდან, სადაც ძვ. წ. III—I სს-ით თა-
რიღდება [31, გვ. 109, კატ. № 468]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვა-
რი მძივები ძვ. წ. I — ახ. წ. I სს-ის კომპლექსებიდანაა ცნობილი
[155, გვ. 40, ტიპი 141, ტაბ. 27₄, 5].

შავი, კასრჩებური, სპირალური თეთრი ზოლით შემკული მძივის
(კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი მძივები ჩრდილო შავიზღვისპირეთში
ძვ. წ. I ს-დან გავრცელდა და ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც იხმარე-
ბოდა [155, გვ. 44, ტიპი 200, ტაბ. 28₁, 5].

კვირისტავის ფორმის, სპირალური თეთრხაზებიანი ლურჯი მძი-
ვების (კატ. № 125, სურ. 27) მსგავსი სამკაული ერთფერი და ფერა-
დი, ცნობილია ურბნისიდან. კერძოდ, აღმოჩენილია ურბნისის XXV
უბნის სამაროვანზე პირველი საუკუნის სამარხებში [137, გვ. 121,
სურ. 545; 117; 125]. კვირისტავის ფორმის მძივი ცნობილია მონას-
ტერის სამაროვნიდან, რომლის ორმოსამარხები ზოგადად I—III სს-
ით თარიღდება [188, ტაბ. C8]. მუქი ლურჯი ფერის კვირისტავისე-
ბური მძივი აღმოჩნდა „ტუიაქოჩორას“ სამაროვანზე (მცხეთასთან).
ბანურსახურავიან ქვაყუთში; სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მსხვილი
მავთლისაგან დამზადებული ოვალურკალიანი და გემიანი ბეჭედი
და სხვადასხვანაირად თავშემკული საკინძები (8 ცალი). კვირისტავი-
სებური მინის მძივიც საკინძისთავადაა მიჩნეული. ავტორი აღნიშნავს,
რომ კვირისტავისებური მძივის მსგავსი სამკაული ახ. წ. პირველ საუ-
კუნეებში ჩნდება; ისინი საკინძის თავებს წარმოადგენენ და ადრეფე-
ოდალურ ხანაშიც განავრცობენ არსებობას [94, გვ. 161, 166, სურ. 644,
645]. ერთი ასეთი მძივი ცნობილია სამთავროს ახ. წ. I—III სს-ის
ქვაყუთებიდანაც.

დასავლეთ საქართველოში კვირისტავისებური მძივი (შავი მინა
ყვითელი ხაზებით) ცნობილია წებელდის ორმოსამარხის კომპლექსი-
დან ბუდეაბმულ ჯვრისებურ ფიბულასთან, მრგვალ აბზინდებთან, ლა-
მბაქისებურპირიან დოქთან და მინის სასმისთან ერთად. კომპლექსი V
ს-ის ბოლოთი და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [182, გვ. 149,
სურ. 17₁₈].

კვირისტავისებური მინის მძივი ცნობილია მინგეჩაურის III—IV
სს-ით დათარიღებული ძელური კატაკომბური სამარხიდან, ჭვევრსა-
მარხიდან და გარნის რომაული ხანის ფენებიდან [162, გვ. 67, ტაბ.
66, 67, სურ. 58b].

ჩრდილო კავკასიაში კვირისტავისებური მძივები (ურბნისულის მსგავსად) მრავალფეროვნებით გამოირჩევა — თეთრი ლურჯით, მუქი ყვითელი ღია ყვითლით ან ყავისფერით, ვარდისფერი უფრო მინია, წითელი შავით და თეთრით (დიგორია, კუმბულთა, კომუნთა, ტამგაცია). მაგრამ, სამწუხაროდ, ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ერთი ეგზემპლარია კომპლექსიდან ცნობილი — IV—V საუკუნეების, დანაჩენი შემთხვევითი მონაპოვარია, VI—IX სს-ის კომპლექსებში უკვე აღარ გვხვდება [197, გვ. 60, სურ. 39]. ამგვარი მძივების აღმოჩენის არეალი საკმაოდ დიდია: ისინი აღმოჩენილია საქსონიაში (VI ს.) [314, გვ. 67, სურ. 70], შვეციაში (IX ს.) (313), რუსულ ყორღანებში (IX—X სს). [169, გვ. 207, 208].

კვირისტავისებური მძივის დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. თეა ე. ჰევერნიკს ისინი საკინძის თავებად მიაჩნია და კემბტენის ტიპის ქინძისთავეებს უწოდებს აღმოჩენის ადგილის მიხედვით. მათი წარმოების ცენტრი უნდა ყოფილიყო ნინი: ათარილებს ახ. წ. I ს-ით [319, გვ. 136—148]. საკინძისთავეებად მიაჩნია კვირისტავისებური მძივები მ. საგინაშვილსაც ურბნისის მასალების მიხედვით. სადაც ხუთ მათგანს რკინისა და ბრინჯაოს ღეროს ფრაგმენტები აქვთ გაყრილი, ათარილებს ახ. წ. I—II სს-ით და მიაჩნია, რომ ისინი საიმედო ქრონოლოგიური საყრდენია. რადგან II საუკუნეზე გვიან არ ჩანან [103, გვ. 56—57]. მაგრამ ისინი არსებობენ უფრო გვიანაც. ამაზე ჩვენ მიერ მოტანილი პარალელური მასალაც მეტყველებს [იხ. აგრეთვე: 15, გვ. 39]¹⁶.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვირისტავისებური მძივები მიჩნეულია საკინძისთავეებად. ზოგი ავტორი მათ მძივებად თვლის [314, გვ. 67], ზოგი შაშის ქვებად [315], ღილებად [169, გვ. 207; 137, გვ. 121—122], კვირისტავეებად [331, გვ. 164, 165].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი მაინც მძივებად გამოიყენებოდნენ (მაგ. თრი კვირისტავისებური მძივის ბრტყელი მხრით მიტყუპებისას იქმნებოდა შედგენილი საკიდი) წვრილ ასხმებთან ერთად. არ არის გამოსარიცხი მათი გამოყენება ღილებათაც. ეს აზრი განსაკუთრებით დასაშვებია მაშინ, როცა კვირისტავისებურ მძივებს ნახვრეტში შერჩენილი აქვთ ლითონის ღეროს ფრაგმენტები.

¹⁶ ქინძისთავეებად მათი წარმოდგენა, შესაძლოა, იმის გამოც იყოს სათუო, რომ ქვის ან მინის მძივით თავშემკული საკინძები ვრცელდება IV—V საუკუნეებიდან (118, გვ. 48; 15, გვ. 85).

5. ოქროფენილი მძივები. ორნაწილიანი და სამნაწილიანი, სფერული გადაბმული მძივები (კატ. № 125, სურ. 27) ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ვრცელდება [155, გვ. 28—29]. ამგვარი მძივები არის სამთავროს ახ. წ. I—III სს-ის სამარხებში [208, გვ. 134], კლდეეთში [67, გვ. 57, ტაბ. XVIII₁], წებელდის სამაროვნებზე [196, გვ. 199], ჩრდილო შავიზღვისპირეთისა [155, გვ. 28—29, ტიპი I_h, ტაბ. 26₈] და ჩრდილო კავკასიის ძეგლებზე [197, გვ. 55, 56, სურ. 22₃].

ერთმანეთზე გადაბმული ოთხი დაბრტყელებული მრგვალი მძივიც (კატ. № 125, სურ. 27) გვიანანტიკური ხანიდან გავრცელებულ გადაბმული მძივების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ (ე. ალექსეევას კატალოგში ამ ტიპის მძივი არ არის).

სამნაწილიანი მძივი — ორ დაბრტყელებულ მრგვალ მძივს შორის ჩასმულია ასევე დაბრტყელებული წაგრძელებული მძივი (კატ. № 125, სურ. 27), ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები დამახასიათებელია I—III სს-ის კომპლექსებისათვის [155, გვ. 32, ტიპი 25, ტაბ. 26₇₀]; არის ჩრდილო კავკასიის ძეგლებზეც (ჩეგემი, კუმბულთა), [197, გვ. 55—56, სურ. 2₆, 7].

საყურე. ყურძნის მტევნით შემკული ვერცხლის საყურე (კატ. № 126, სურ. 27) მსგავსია ასეთივე ოქროს საყურეებისა, რომლებიც აღმოჩენილია ცხეთის სამაროვანზე № 2 სამარხში.

ბეჭედი. მხრებაზიდული ოქროს ბეჭედი (კატ. № 127, სურ. 27) აქვთ მხედველობაში მცხეთა I-ის ავტორებს, როდესაც აღნიშნავენ, რომ ასპარუკ პიტიახშის სამარხში მოპოვებული ბეჭდის მსგავსია ცაგერის მუზეუმში დაცული ბეჭედი სოფ. უსახელოში აღმოჩენილი კომპლექსიდანო [8, გვ. 203—204]. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სოფ. უსახელოდან კომპლექსის სახით შემოსული ნივთები ჩვენთვის უცნობია. აღნიშნული ბეჭედი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შესულია 1938 წელს და აღმოჩენილია ცხეთაში მიწის სამუშაოების დროს (იხ.: კატ. № 127, სურ. 27).

ამ ტიპის ბეჭდები ჩვენში ახ. წ. I—III სს-შია გავრცელებული. ამგვარი ღრუ (ფუყე) და სადა რკალიანი ბეჭედი აღმოჩენილია კლდეეთში ექსპედიციამდე. ბეჭდის თვალბუდე ამოჭრილია, მაგრამ ზეუ მაინც დარჩილული აქვს დაბალი ნაპირი; თვალბუდე ოვალურია. თვალი კი — დაკარგული [67, გვ. 42—43]. ამგვარი ბეჭდები ცნობილია ბორიდანაც [275, გვ. 8, ტაბ. II₁₃, 13_ა, III₆, 7]. ორი ასეთი ბეჭედი არის სოფ. სარგვეშში აღმოჩენილ კომპლექსში, რომელიც ახ. წ. I: I

ს-ით თარიღდება [332, ტაბ. I]. ამგვარი ბეჭედი აღმოჩენილია რაჭა-შიც, შოშეთის სამაროვანზე, სოფ. ლებთან III—IV საუკუნის სამარო-ხში (სამარხი № 2, 1938 წ.) [8, გვ. 204].

ზ ა რ ა კ ე ბ ი. ცხეთიდან ცნობილია გვერდებზე ჩაჭრილი ან სამ-კუთხაფანჯრიანი მცირე ზომის 16 ცალი ზარაკი (კატ. № 128, სურ. 27). მცირე ზომის ზარაკებს წინ უსწრებდა დიდი ზომის ზარები, რომლებიც ამიერკავკასიაში გამოჩენას იწყებენ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეე-ბიდან (კარმირ-ბლური). ქვემო ქართლში დიდი ზომის ზარები ძვ. წ. V საუკუნეშიც არსებობს [39, გვ. 107—109]. მოზრდილი ზარები აღმოჩენილია გუადიხუსა [297, გვ. 74, ტაბ. IV₆]¹⁷ და წითელი შუქუ-რას სამაროვნებზე [297, გვ. 205, ტაბ. XXII]. სოხუმის მთაზე აღმო-ჩენილი ზარები სარიტუალო ნივთებადაა მიჩნეული [56, გვ. 59].

მცირე ზომის ზარაკებს, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმო-ჩენილი როგორც დას. საქართველოში (მუხურჩა, ზესტაფონი, ბრილი, „წითელი შუქურა“, გუადიხუ, სოხუმის მთა) [39, გვ. 108; 134, გვ. 29; 297, გვ. 186, 205, ტაბ. XXII₅; 56, გვ. 53, 56], ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (კიკეთი, ბორი, არდასუბანი, კაზრეთი, ყაზბეგი, სტირ-ფაზი, კახეთი) [39, გვ. 107, ტაბ. XI₂₈; 116, გვ. 68, ტაბ. XI₅₉₈; 52, გვ. 131, ტაბ. VII₂; 109, გვ. 48—49; 134, გვ. 27—33; 293, გვ. 263, სურ. 103₃; 39, გვ. 108], ბ. კუფტინი მიიჩნევდა აპოტროპეული მნიშ-ვნელობის ამულეტებად ან სამკაულად, რომელიც მაგრდებოდა თავ-საბურავზე, ქამარზე და სხვა [236, გვ. 46—47, ტაბ. VI]. უფრო ადრე იგივე აზრი გამოთქმული აქვს ლ. სტეფანისაც — ზარაკების ხმას შე-ეძლო მფლობელის დაცვა უბედურებისაგან. მისი აზრით, ზარაკები დიონისეს კულტის დღესასწაულებში გამოიყენებოდა [290, გვ. 173—180].

ფარცხანაყანევისა და დაფნარის სამაროვნებზე ზარაკები ყელსა-ბამებადაა გამოყენებული [207, გვ. 326; 224, გვ. 34, 54]. ყელსაბამს უნდა წარმოადგენდეს ვანში ქალის სამარხში (ნ.ხოშტარიას გათხრე-ბი) აღმოჩენილი 18 მინიატურული ზარაკი [209, გვ. 121]. ზარაკები ცნობილია ზემოფარცხმის ძვ. წ. IV—III სს-ის ქვევრსამარხებიდან [43, გვ. 94—96], ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან [58, ტაბ. XVI₄].

¹⁷ გუადიხუს სამაროვნის თარიღთან დაკავშირებით იხ.: 60, გვ. 70.

ცხეთის მსგავსი გვერდშეჭრილი მინიატურული ზარაკები ცნობილია სოფ. მუხიანის (ქუთაისის მახლობლად) ქვევრსამარხებიდან [51, გვ. 33, ტაბ. XXI₃].

სხვადასხვა ტიპის ზარაკებთან ერთად ბორის კოლექციაში არის გვერდებზე სამკუთხა კრილიანი ზარაკიც [275, გვ. 14, ტაბ. VI₂₅]. კლდეეთის ექსპედიციამდელი აღმოჩენებიდან ცნობილია როგორც მოზრდილი, ასევე სხვადასხვა ფორმის მინიატურული ზარაკები [67, ტაბ. XI, X].

მთიან კოლხეთში ზარაკები აღმოჩენილია ბრილის სამაროვანზე [193, ტაბ. X. VII, XIII].

აღმოსავლეთ საქართველოში ცხეთურის მსგავსი მინიატურული ზარაკები ცნობილია თრიალეთიდან. ბ. კუფტინი ბრინჯაოს ამ ზარაკებს მიაკუთვნებდა რომაული და პართული ხანის სამარხებს [235, გვ. 24, სურ. 27_ა]. მაგრამ ნ. ხოშტარას სამართლიანი შენიშვნით, ამგვარი ზარაკები დამახასიათებელია ძვ. წ. IV—III სს-ის კომპლექსებისათვის [209, გვ. 121]. მინიატურული ზარაკები არის ახალგორის მასალებშიც [287, გვ. 51—58, სურ. 91, 92, 93].

გვერდჩაჭრილი და დაფანჯრული ზარაკები ცნობილია სამთავროს ქვევრსამარხებიდან (№ 82 ქვევრსამარხი). სამთავროს დაფანჯრული ზარაკები თანმსლები ინვენტარით კარგად თარიღდება ძვ. წ. I ს-ით: ამგვარი ზარაკები მონეტით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა. ხოლო ცილინდრული გვერდებჩაჭრილი ზარაკები რამდენადმე ადრეულია და ანალოგიების მიხედვით ელინისტური და ადრეელინისტური ხანით თარიღდება [51, გვ. 53, 55, ტაბ. XLV₇, XLVIII₆].

ზარაკები, დაფანჯრული და გვერდებჩაჭრილიც, აღმოჩენილია კამარახევის სამაროვანზე (ძვ. წ. V—II სს.) ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედთან და ცხოველსახეებით შემკულ ბოლოებიან ზურგშედრეკილ სამაჯურებთან [10, გვ. 107—108, სურ. 491].

კავთისხევის „დაჭრილების“ სამაროვნის № 14 ქვევრსამარხში (სამაროვანი ზოგადად ძვ. წ. IV—III სს-ით თარიღდება) 9 ცალი ცილინდრული გვერდჩაჭრილი ზარაკი აღმოჩნდა [90, გვ. 35, ტაბ. XXXIV].

ცხეთაში აღმოჩენილი ორივე ტიპის ზარაკი ანალოგიურია სოფ. მუხიანის ქვევრსამარხებისა და სამთავროს ქვევრსამარხების ზარაკებისა [51, გვ. 32—33, ტაბ. XXI, გვ. 55, ტაბ. XLV₇, XLVIII₆] და ზოგადად ელინისტურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

ბრინჯაოს საკიდი, რომელიც ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს, ცხეთაში ერთია აღმოჩენილი (კატ. № 129, სურ. 27). ამგვარი საკიდები (ღრუმუცლიანი, დაფანჯრული, ზურგზე ყუნწიანი და სხვ.) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდანაა ცნობილი. კვირაცხოვლის ძვ. წ. XIV—XIII სს-ით დათარიღებულ სამარხებში ფრინველის გამოსახულებიანი საკიდები გამოყენებულია როგორც ბუნიკისთავებად, ასევე ძეწკვზე საკიდებადაც [189, გვ. 34, ტაბ. XXXVII₁₈]. დაფანჯრულტანიანი ფრინველის საკიდები ცნობილია სამთავროს ძვ. წ. XIV—VI სს-ით დათარიღებული სამარხებიდან, კერძოდ, № 70 ორმო-სამარხიდან [57, გვ. 116—117, სურ. 673, 697].

ბრინჯაოს ფრინველის საკიდები ცნობილია თლის სამარხის ძვ. წ. XII—X სს-ის მასალებიდან. საკიდებს აქვთ კარგად გაფორმებული ტანი, სამკუთხა კუდი, ფანტასტიკური ცხოველის თავი. ამგვარ ფიგურულ საკიდებს ბ. ტეხოვი ყობანური კულტურის კლასიკური ეტაპის მცირე პლასტიკის ადრეულ ჯგუფს აკუთვნებს. მისი აზრით, ამ ფიგურებს მარტო დეკორატიული მნიშვნელობა არ ექნებოდათ: ისინი დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ ფრინველის კულტთან. რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის ტომებში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქაში [294, გვ. 166, 167, სურ. 112_{1, 2}].

ლეჩხუმში აღმოჩენილი ფრინველის გამოსახულებიანი საკიდების ანალოგიური საკიდი ცნობილია ბორიდან. საკიდი წარმოადგენს ბურცობებით დაფარული ოთხი ბურთულისაგან პირამიდისებურად შედგენილ საფუძველს, რომელსაც თავზე „აზის“ ფრინველის სკულპტურა [275, გვ. 14—15, ტაბ. VI₁₆]. ფრინველის გამოსახულებიანი საკიდი არის, აგრეთვე, ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებული ბორის მასალის ერთ ჯგუფშიც [236, ტაბ. 18], რომელიც ე. პრიდიკის ნაშრომში რატომღაც არ აღსახა. ამგვარივე ფრინველის გამოსახულება არის ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ დაბლაგომის მასალების ილუსტრაციაშიც, დაბლაგომის პრიზმულწანაზარდებიან სამაჯურებთან, კოლხურ თეთრთან და თავდაბრტყელებულ და გახვრეტილ სასაფეთქლებთან ერთად [236, ტაბ. 14]; ტექსტში კი ეს საკიდი არსად არ არის ნახსენები.

ბორის მასალების მიხედვით, ცხეთის ფრინველის გამოსახულებიანი საკიდი გვიანანტიკური ხანით უნდა დათარიღდეს. ღრუმუცლიანი და ზურგზე საკიდიანი ფრინველის გამოსახულებები ალბათ გამოიყენებოდა როგორც ბუნიკისთავებად, ასევე საკიდებადაც. ბორის

„ფრინველს“, მიუხედავად იმისა, რომ იგი აშკარად ბუნებისათვისა, ზურგზე ყუნწიც აქვს.

მონეტები. ცხეთაში აღმოჩენილია 2 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (იხ., კატ. № 130, 131, სურ. 27). ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები დადასტურებულია როგორც დასავლეთ საქართველოში (47 ცალი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (14 ცალი) [216, გვ. 168—169 198, გვ. 85].

ფიქრობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძების ემისია იწყება ძვ. წ. I საუკუნის ან ახ. წ. დასაწყისიდან.

ფორმალური ანალიზის საფუძველზე გ. დუნდუა ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძეებში გამოყოფს სამ ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ ჯგუფს¹⁸. ლეჩხუმში აღმოჩენილი მინაბაძები მსგავსია III ჯგუფში გაერთიანებული მონეტებისა (რაჭა, იმერეთი), რომელთათვისაც დამახასიათებელია კიდეების მკვეთრი შემალღება და იკონოგრაფიის იდენტურობა. ეს ჯგუფი თარიღდება ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით [198, გვ. 96]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეჩხუმში დადასტურებული ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძებიც უნდა დათარიღდეს ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით.

კერამიკა. ცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ორი დოქით ყოფილა წარმოდგენილი. მაგრამ ერთი დოქი ამჟამად დაკარგულია: მეორე დოქი კი მოვარდისფრო-ლევან ფერისაა, მსხლისებური ტანით, ძირგანიერი; ტუჩი და ყური მოტეხილი აქვს (კატ. № 132, სურ. 27). თვლიან, რომ ამ ფორმის დოქები არ არის დამახასიათებელი კოლხეთისათვის. ტიპოლოგიურად იგი აღმ. საქართველოში ადრეელინისტური ხანიდან ფართოდ გავრცელებულ მოხატულ და წითლადშეღებულ დოქებს უნდა უკავშირდებოდეს — სამადლო, ციხია-გორა, თეთრიწყარო, კამარახევი [26, გვ. 84—85; 21, ტაბ. II₂; 10 გვ. 106, სურ. 474]. სამთავრო [49, ტაბ. IV₃].

ამგვარი ფორმის დოქები აღმოჩენილია დაბლაგომში [236, გვ. 63—64, ტაბ. XIX, XV₁₋₄; 54, გვ. 9, ტაბ. V₄ XI₃], ვანში ძვ. წ. III—II სს-ის ფენებში, თუმცა ამ ფორმის შემოსვლას ხმარებაში აქ უფრო ადრე ვარაუდობენ [78, გვ. 55]. ამგვარი დოქი აღმოჩენილია დაფნარში, ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში [224, გვ. 29, 50, ტაბ. XI₂].

¹⁸ შდრ. 195, გვ. 56—58.

ბ. კუფტინი დაბლაგომის პირგადაშლილი დოქების წარმომავლობას აკავშირებდა ურარტულ წითლადგაპრიალეებულ დოქებთან [233, გვ. 64]. ნ. მათიაშვილს ამ ფორმის დოქების შესაძლო პროტოტიპად ახალგორისა [288, გვ. 62] და ყანჩაეთის [25, გვ. 66, სურ. 4] ლითონის დოქები მიაჩნია და აღნიშნული ფორმის დოქების გავრცელებას კოლხეთში იბერიის გზით შემოსულ გავლენას უკავშირებს [78, გვ. 55—50, 51, გვ. 9]. დოქების ეს ტიპი უფრო მეტად გავრცელებულია კოლხეთის შიდა რაიონებში, ხოლო ზღვისპირა ზოლში კი არ ჩანს [51, გვ. 10]. შესაძლოა ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებდეს აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკულ ნაწარმთან გენეტიკურ კავშირზე. ლეჩხუმში იბერიის მოსაზღვრე რაიონია და თანაც ამ ტიპის დოქის აღმოჩენის ყველაზე ჩრდილო პუნქტი.

მურის ციხის მიდამოები. მურის ციხე მდებარეობს ცაგერის ჩრდილოეთით, სვანეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, მთისა და ბარის ყელში. ისტორიკოსთა დაკვირვებით, იგი კოშკების სისტემით საიმედოდ კეტავდა გასასვლელებს სვანეთისაკენ, ცაგერისაკენ და ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადმომავალ გზას (20, გვ. 18—20). ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება კოლექცია „მურის განძის“ სახელით; (ცმმ-ის ინვ. № 3225), რომელიც შედგება მურის ციხის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი და შეგროვილი ქრონოლოგიურად განსხვავებული ნივთებისაგან. მასალა მუზეუმში მოტანილი აქვს ადგილობრივ მცხოვრებს შ. მურცხველაძეს.

კოლექციაში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ნივთის (ოქროს სასაფეთქლე და ორი მძივი) აღმოჩენის ვითარება. საქმე შემდეგშია: 1976 წლის ივნისში, მურის ციხესთან გზის გაფართოების დროს ბულდიზერს ამოუყრია თიხის ჭურჭლის ნატეხები. შ. მურცხველაძის გადმოცემით, რომელიც შეესწრო ამ ამბავს, ნატეხები ყოფილა ჭურის (ქვევრის)¹⁹, რომელშიც ბავშვის ჩონჩხი ესვენა. მიცვალებულს თან ახლდა ოქროს სასაფეთქლე და რამდენიმე მძივი. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ გადმოცემის სისწორეში და ამდენად ვფიქრობთ, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ლეჩხუმში ქვევრსამარხის აღმოჩენისა. ეს საინტერესო ფაქტია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹⁹ სამწუხაროდ, ქვევრის ნამტვრევების შეგროვება არც უცდიათ, ამიტომ არ ვიცით, როგორი იყო ჭურჭელი.

ამრიგად, მურის ციხესთან აღმოჩენილ ქვევრსამარხში დადასტურდა ოქროს სასაფეთქლე რგოლი, ოთხწახნაგაღეროიანი, დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოებით (კატ. № 132, სურ. 28) და მსხლისებური ფორმის გამჭვირვალე მინის 13 ცალი მძივი (კატ. № 134, სურ. 28).

სასაფეთქლე რგოლები ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. საქართველოში ძვ. წ. VII—VI სს-დან ვრცელდება (განთიადი, სამთავრო, დვანი), ხოლო ძვ. წ. VI—V სს-თვის დამახასიათებელი ხდება: მათი აღმოჩენა ელინისტური ხანის დასაწყისშიც ხშირია (გომარეთი, დაფნარი), გვიანელინისტურ ხანაში კი თითქმის აღარ გვხვდება [224, გვ. 54; 39, გვ. 75]. დასავლეთ საქართველოში სასაფეთქლე რგოლები გვხვდება დაბლაგომის [236, გვ. 46, ტაბ. 14, 15] და დაფნარის (224, გვ. 26, 54, ტაბ. XXVIIII) ქვევრსამარხებში კოლხურ თეთრთან ერთად: ვანში [22, გვ. 36] ძვ. წ. VI—V სს-ის მასალებთან: ბრილის [32, გვ. 103] ძვ. წ. VI—IV სს-ის სამარხებში; მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვანზე [89, გვ. 38, სურ. 2], ქობულეთ-ფიქვნარის ადრეელინისტური ხანის სამარხებში [58, გვ. 25—53].

აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი სასაფეთქლე რგოლები აღმოჩენილია სამთავროს ორმოსამარხებში [39, გვ. 73, 75—76], თეთრიწყაროს როგორც ქვის სამარხებში, ასევე ქვევრსამარხებშიც [22, გვ. 35—36], ბოგვისხევში [52, გვ. 129, 136, სურ. 11_ა], კამარახევში [101, გვ. 21, სურ. 13; 150, გვ. 173, სურ. 1322; გვ. 185, სურ. 1456, 1457, 1469; გვ. 186, სურ. 1477, 1485], დვანის ნეკროპოლზე [77, გვ. 27, ტაბ. 1₂, VI₁], ბეშთაშენში [233, გვ. 42, სურ. 40_ა, 4], ზემო ავჭალაში [123, გვ. 224].

აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები ყოფილა გავრცელებული, დასავლეთ საქართველოში კი — ოქროსი [39, გვ. 75]. ბოლოგახვრეტილი რგოლები ცნობილია აზერბაიჯანიდან (მინგეჩაური) და ჩრდილო კავკასიიდანაც [166, გვ. 11—14, ტაბ. 1, 2, 4, 5, 6, 8; 300, გვ. 81; 231, სურ. 35₁₆₋₁₈]. კავკასიის გარეთ ამგვარი სამკაული უცნობია [138, გვ. 31].

რაც შეეხება მურის ციხის ქვევრსამარხის სასაფეთქლის ანალოგიურ ოთხწახნაგაღეროიან რგოლებს, ისინი აღმოჩენილია შრომააუბნის (ჯოისუბნის) სამაროვანზე ოქროს „ცალსხივიან“ საყურესა და ზურგმედრეკილ სამაჯურთან ერთად [39, გვ. 74]. წახნაგოვანღეროიანი ბოლოებგახვრეტილი რგოლები არის მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვნის № 6 სამარხში [89, გვ. 38, სურ. 2], ვანის № 3 სა-

მარხში [209, გვ. 119—120; 36, გვ. 139], კუშჩის № 1 და № 3 სამარხებში არის ბრინჯაოს და ვერცხლისა [27, გვ. 50, 51, ტაბ. VI_გ].

წახნაგოვანლეროიან ბოლოებგახვრეტილ რგოლებთან ერთად სამარხებში ხშირად არის ხოლმე რკინის ბურცობებიანი სამაჯურები (იგივე მოდინახე, ვანი, კუშჩი), რომლებიც დღეისათვის კარგად დათარიღებული ნივთია (თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებით და მისი მომდევნო ნახევრით). ამ სამაჯურებით ერთგვარად ზუსტდება წახნაგოვანლეროიანი რგოლების ქრონოლოგია (36, გვ. 139), ე. ი. ძვ. წ. IV საუკუნის შემდეგ გახსნილი ბოლოგახვრეტილი რგოლები აღარ გვხვდება: მათ მაგივრად ვრცელდება გახსნილი ბოლოებგახვრეტილი წრიული რგოლები [138, გვ. 31].

რაც შეეხება მძივებს, შაბიამნისფერი და ყვითელი მსხლისებური ფორმის მძივები დამახასიათებელია ძვ. წ. IV—III სს-თვის [155, გვ. 59]. ამგვარი მძივები ცნობილია დაბლაგომის ქვევრსამარხებიდან [236, გვ. 58; 51, გვ. 50—60, სურ. 86₁], ვანიდან (მეომრის სამარხი № 59, ბავშვის სამარხი № 10, № 16 მდიდრული სამარხი) [75, გვ. 212; 31, გვ. 104], დაფნარიდან [224, გვ. 55], ფარცხანაყანევიდან [207, გვ. 327], სუფსა-ნატანების აუზიდან [45, გვ. 79, ტაბ. XXXIII₂₆], ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან [178, გვ. 21], სვანეთიდან [128, გვ. 20; 129]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ცნობილია ძვ. წ. IV—III სს-ის კომპლექსებიდან [155, გვ. 66, ტიპი 41, ტაბ. 33_გ].

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მურის ციხესთან აღმოჩენილი ქვევრსამარხი შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი და ძვ. წ. III ს-ით.

დანარჩენი მასალა, რომელიც მურის ციხესთან არის აკრეფილი, საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ადრეულ, ასევე გვიანანტიკური ხანის მასალებსაც.

მასალა წარმოდგენილია სამკაულით (საყურე-სასაფეთქლე, სამაჯური, მძივები), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ფიბულა, აბზინდა), სამეურნეო და საბრძოლო იარაღით (რკინის შუბისპირები, დანები), თიხის ჭურჭლით, მონეტით.

სასაფეთქლე. ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი (კატ. № 135, სურ. 28), რომელიც აღმოჩენილია მურის ციხესთან, ერთი ცალია. ვერცხლის ამგვარი რგოლები უფრო აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისთვის ყოფილა დამახასიათებელი [39, გვ. 72—

76]. სხვადასხვა ზომის ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები აღმოჩნდა ბეშთაშენისა და კიკეთის სამაროვნებზე (20 ცალი). მცირე ზომის ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები (25—35 მმ) ცნობილია აბელიადან, თეთრიწყაროდან (59, გვ. 66, ტაბ. XXXII₁₁₋₁₂; 22, გვ. 36, ტაბ. V₂). სამთავროს სამაროვნას ორმოსამარხების მცირე ზომის რგოლებზე წამოცმულია სარდიონის ხუთწახნაგა და კასრისებური ფორმის თითო მძივი [39, გვ. 73]. მცირე ზომის მძივშეკიდულ რგოლებს საყურეებად იყენებდნენ. ასეთივე რგოლები ბეჭდათაც გამოიყენებოდა [51, გვ. 52]. ზემოთ დაჭახლებული ვერცხლის რგოლის ზუსტი ანალოგია უნდა იყოს გომარეთისა და კუშჩის სამაროვნების (ძვ. წ. IV—III სს.) მცირე ზომის ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი (39, გვ. 147).

დასავლეთ საქართველოში სადა საყურე რგოლები დადასტურებულია დაბლაგომში [306, გვ. 87], ფარცხანაყანევში [207, გვ. 32c], ზემოფარცხმაში [43, გვ. 92], დაფნარში (62, გვ. 353), ეშერაში [235, გვ. 53, ტაბ. V₉, სურ. 13₃].

სამაჯური. ბურცობები თუ შემკული რკინის სამაჯური ფრაგმენტითაა წარმოდგენილი (კატ. № 136, სურ. 28). ამგვარი სამაჯურების გავრცელების ძირითად პერიოდად ადრეელისტური ხანა ითვლება [39, გვ. 69]. ბოლო დროის გამოკვლევების შედეგად დადგინდა ბურცობებიანი რკინის სამაჯურების დამატარილებელი მნიშვნელობა — ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებისა და მისი მეორე ნახევრის კომპლექსებისათვის. ბურცობებიანი სამაჯურების შემცველი კომპლექსებისათვის დამახასიათებელია — წახნაგოვანლეროიანი ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტლი სასაფეთქლე რგოლები, კოლხური ტრიობოლები, მსხლისებური ფორმის დოქები, მოხრილი დანები, მსხლისებური ფორმის გაუმჭვირვალე შინის მძივები [36, გვ. 140].

აღმოსავლეთ საქართველოში ბურცობებიანი რკინის სამაჯურები აღმოჩენილია კამარახევში [101, გვ. 32, ტაბ. IX₂], გომარეთში [39, გვ. 68, ტაბ. XVII₂₁], კუშჩიში [27, გვ. 53, ტაბ. VI₅], წინანდალში, იყალთოში (39, გვ. 70), წნისისხევის სამაროვანზე [223, გვ. 32, 33, ტაბ. XXXVII₂₋₅]. გვიანელინისტური ხანის სამაროვნებზე (სამთავროს ქვევრსამარხები, ურბნისი, ყოლოთო) ამგვარი სამაჯურები აღარ გვხვდება [39, გვ. 69].

დასავლეთ საქართველოში ბურცობებიანი რკინის სამაჯურები აღმოჩენილია დაფნარში [224, გვ. 32], მოდინახეზე [89, გვ. 37, 38, ტაბ. XII₆], ვანში [209, გვ. 119].

მძივი. ლუჩი მინის (კატ. № 137, სურ. 28) გამჭვირვალე, მოგრძო და დაწახნაგებული მძივები დამახასიათებელია ახ. წ. დასაწყისისათვის [155, გვ. 62]. ისინი იმეორებენ ამავე ხანაში გავრცელებულ ქვის დაწახნაგებული მძივების ფორმას. ამგვარი მძივები აღმოჩენილია სამთავროში I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში [203, გვ. 134]. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ცნობილია ახ. წ. II—IV სს-ის კომპლექსებიდან [155, გვ. 70, ტიპი 134, ტაბ. 33_ა].

ფიბულა. მურის ციხის მიდამოებში ნაპოვნია ორწილადი რკალისებური ფიბულის მშვილდის ფრაგმენტი (კატ. № 138, სურ. 28). ორწილადი რკალისებური ფიბულები [15, გვ. 6]. რომლებიც ადგილობრივ ტიპად არის მიჩნეული, თავისი ხასიათით მიეკუთვნება არქაულ. ადგილობრივ სამხრეთკავკასიურ რკალისებურ ფიბულებს. ამ უკანასკნელთა პროტოტიპები კი მცირე აზიაში იძებნება [234, გვ. 32]. ორწილადი რკალისებური ფიბულები რკინის ხანაში უკვე ჩანს და გვხვდება გვიანანტიკური ხანის ბოლოსაც (სამთავრო, კაზრეთი, კამარახევი, სოხთა, ახალგორი, საკობიანო, სტირფაზი, ვანო, ასპინძა, მოდინახე, ბორი) [15, გვ. 6, ტაბ. 1₁₄].

ძვ. წ. VII—I სს-ში ორწილადი რკალისებური მშვილდსაკინძების მშვილდი ან რელიეფურად იყო შემკული [მაგ., დვანის ნეკროპლის ორწილადი რკალისებური ფიბულა — იხ.: 77, გვ. 23—26, სურ. 5] ან სადა [კამარახევის ფიბულა, ძვ. წ. V—III სს. — იხ.: 101, გვ. 12, სურ. 4] იყო, ან მრგვალგანივკვეთიანი (მრგვალი განივკვეთი უფრო ელინისტური ხანისთვის იყო დამახასიათებელი). რომელ ხანაში ამ ტიპის მშვილდსაკინძების მშვილდი შემკული იყო ჭდეული წიწვოვანი ან გეომეტრიული ორნამენტით, ხოლო განივკვეთში ხშირად რომბისებური იყო [16].

მურის ციხესთან აღმოჩენილი ფიბულის მსგავსი აღმოჩენილია ციხიგორას № 6 და № 9 ქვევრსამარხებში. რომლებიც ძვ. წ. IV—III სს-ით თარიღდება [90, გვ. 31, 33, ტაბ. XXVIII₁₀, XXIX₃]²⁰. ციხიგორას ფიბულის თანატოლია შავსაყდარა I № 4 ქვაყუთ-სამარხში აღმოჩენილი რკალშემკული ფიბულა (სამარხი ძვ. წ. V—III სს-ით თარიღდება) [299, გვ. 26, ტაბ. XXVII₁₁]. ამავე ტიპისაა ვანის № 6 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფიბულა, რომელსაც ა. ჭყონია ძვ. წ. V—

²⁰ ვ. თოლორდავა № 9 სამარხს თარიღებს ძვ. წ. IV სს-ის ბოლო მეოთხედით. იხ.: 51, გვ. 45.

IV სს-ის I ნახევრით ათარიღებს [138, გვ. 46, სურ. 36, 37, გვ. 154—167].

ბრტყელრკალიანი ორწილადი რკალისებური ფიბულა ცნობილია მოდინახეს ელინისტური ხანით დათარიღებული № 5 სამარხიდან [39, გვ. 37, ტაბ. XII₄]. ორწილადი რკალისებური ფიბულები, რომელთაც რკალი მრგვალგანივკვეთიანი ან ოთხწახნაგოვანი აქვთ და უმრავლეს შემთხვევაში წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული. ცნობილია ძვ. წ. III—I სს-ით დათარიღებული შოშეთის სამაროვნიდან [34, გვ. 359]. სადარკალიანი ორწილადი რკალისებური ფიბულა აღმოჩენილია შემთხვევით სოფ. ქორეთში (სახხერის რაიონი) [126, გვ. 115, ტაბ. XVII₆].

ზემოთ მოტანილი პარალელური მასალის საფუძველზე შესაძლოდ მიგვაჩნია ჩვენი ფიბულაც ადრეელინისტური ან ელინისტური ხანით დავათარიღოთ.

ა ბ ზ ი ნ დ ა. მურის ციხესთან ნაპოვნი აბზინდა კარგად არის დაცული (კატ. № 139, სურ. 28). ამგვარ აბზინდებს, რომელთაც ენა მწიშნელოვნად დაგრძელებული აქვთ. ა. ამბროზი IV ს-ით განსაზღვრავს [159, გვ. 102, ტაბ. I₂₀]. როგორც ნ. აფხაზავა ფიქრობს, აღმოსავლეთ საქართველოში IV ს-ის შუა ხანებში ჯერ კიდევ ენამოკლე აბზინდებს ხმარობდნენ (15, გვ. 41). ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოშიც იგივე მდგომარეობაა — მოდინახეს № 36 სამარხი, სადაც წყვილი ძვირფასი აბზინდაა აღმოჩენილი, IV ს-ის შუა ხანებით თარიღდება [89, გვ. 56, 74—75, სურ. 15]. მურის ციხესთან აღმოჩენილი აბზინდის თარიღდაც IV ს-ის მეორე ნახევარია მისაღები.

ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ე ბ ი. შემორჩენილია მხოლოდ ღეროს ფრაგმენტები (კატ. № 140, სურ. 28).

მ ო ნ ე ტ ა. „მურის განძის“ კოლხური თეთრი (კატ. № 140, სურ. 28) ანეპიგრაფიკულობით და წერტილოვან ჩარჩოში ჩასმული გამოსახულებით ტრიობოლების ადრეულ ჯგუფს განეკუთვნება და თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ.: 198, გვ. 15—16; 40, გვ. 120—121; 75, გვ. 212).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ი ა რ ა ღ ი. მურის ციხის მიდამოებში აღმოჩენილია ბოლოსაკენ პირვიწრო მოხრილი დანა (კატ. № 142, სურ. 23). რომელსაც ფართო ნაწილზე შერჩენილი აქვს სამანჭველე ნახვრეტი (1 ცალი). ამ ტიპის დანის მსგავსი ცნობილია თრიალეთის ძვ. წ. V ს-ის სამაროვნიდან (ბეშთაშენი, მანგლისი, კიკეთი, კუმისი) [39, ტაბ. VII₁₅]. დასავლეთ საქართველოდან ჩვენი დანის ანალოგიად მიგვა-

ჩნია წითელი შუქურასა და დაფნარის სამაროვნის მოხრილი დანები [224, ტაბ. V₄; 297; გვ. 175, ტაბ. XX].

მურის ციხესთან აგრეთვე აღმოჩენილია ორი ცალი დანა — მთლიანადსხმული, გრძელტარიანი, ვიწრო და მოკლე მოხრილი პირით (კატ. № 143, 144, სურ. 28). ამ ტიპის მოხრილი დანები, თუმცა ანალოგია ვერ ვუპოვეთ, ვფიქრობთ, გვიანანტიკური ხანისა უნდა იყოს.

საბრძოლო იარაღი. შუბისპირები წარმოდგენილია ორი ეგზემპლარით: 1. მოკლე, შეკრული მასრით და არამკვეთი ქედით (კატ. № 145, სურ. 28); 2. მკვეთრი ქედითა და გამოყვანილი მხრებით (კატ. № 146, სურ. 28). ამგვარი შუბისპირები ცნობილია წებელდის სამარხებიდან, სადაც გამოყოფილია 5 ტიპი. მურის ციხესთან აღმოჩენილი შუბისპირები ანალოგიურია I (III, IV, V სს-ის კომპლექსები) და II ტიპისა (IV, V, VI სს-ის კომპლექსები) [182, გვ. 124, სურ. 2].

ისრისწვერი (კატ. № 147, სურ. 28) ყუნწიანი და სამფრთიანია. ამგვარი ისრისწვერები აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზე, მეოთხე სამარხში. რომელიც გამოირჩევა იარაღის სიმრავლით (რკინის შუბისპირები, ისრისწვერები, დანების ფრაგმენტები), ცხენის აღკაზმულობის ნაწილებით და მრავალრიცხოვანი აბზინდებით [67, გვ. 143, სურ. 30]. სამფრთიანი ისრისწვერები ცნობილია მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამარხებიდანაც (89, გვ. 59, ტაბ. XVII_{17, 18}).

სამფრთიანი ყუნწიანი ისრისწვერები არის აფხაზეთის მასალეშვიც. 17 ცალი აღმოჩენილია აბგიძრახუს სამაროვანზე (სამარხი № 77, 54). ხოლო სამი — აფაცარახუს სამაროვანზე (სამარხი № 6, 8). ეს ისრისწვერები თანმხლები ინვენტარის გათვალისწინებით (მინის ნახევარსფეროსებური ან კონუსური სასმისები, წელშეზნექილი ამფორები, ხის ფარის უმბონები და სხვა) IV საუკუნით თარიღდება [297, გვ. 151—153, ტაბ. XI₁₅]. სამფრთიანი ყუნწიანი ისრისწვერები ცნობილია წებელდიდანაც, სადაც ისინი IV ს-ის ბოლოთი და V ს-ით [182, გვ. 122, სურ. 17] და შემდგომი საუკუნეებით (VI—VII სს.) თარიღდება [181, გვ. 247, ტაბ. II_{13, 14}; 183, გვ. 65, ტაბ. X_{17, 19}; 182, გვ. 54, ტაბ. III₂].

აღმოსავლეთ საქართველოში სამფრთიანი ყუნწიანი ისრისწვერები ცნობილია ნასტაკისის ადრეფეოდალური ხანის ფენებიდან [176, გვ. 97, ტაბ. XXIV₄].

ფიქრობენ, რომ სამფრთიანი, ყუნწიანი ისრისწვერები გავრცელებულია სარმატების განსახლების ტერიტორიაზე: ზაპოროჟიეს ოლქ-

ში (სოფ. ნოვო-ფილიპოვკა, I—III სს-ის სამაროვანი), ქვემო ვოლგის-პირეთში, ჩრდ. კავკასიაში [297, გვ. 151—153]. ამგვარი ისრისწვერები არის მინგეჩაურის ქვევრსამარხებშიც [212, გვ. 61, სურ. 24₃, 4].

კ ე რ ა მ ი კ ა. მურის ციხის მიდამოებში აღმოჩენილი დოქის (კატ. № 148, სურ. 28) მსგავსი ცნობილია ცხეთიდანაც (იხ.: გვ. 57).

უ ს ა ხ ე ლ ო. სოფელი უსახელო მდინარე ლაჯანურის ხეობაში მდებარეობს, ცაგერიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელს სამხრეთი მხრიდან აკრავს გორა-ნაციხვარი, რომლის თავზე ეხლაც შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხის ნანგრევები. გორის ჩრდილო ფერდობის ძირზე ის სამაროვანია, საიდანაც მომდინარეობს ოქროსა და ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ნაწილი ს.-პეტერბურგში, ერმიტაჟის საცავში.

მასალის ძირითადი ნაწილი სამკაულითაა წარმოდგენილი და მცირედენი — ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით.

ბ ე ჭ ე დ ი. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (კატ. № 149, სურ. 29) მიეკუთვნება დას. საქართველოში ძვ. წ. VI ს-ის მიწურულიდან. ხოლო აღმ. საქართველოში ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისიდან გავრცელებულ ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტიპს. ამ ტიპის ბეჭდები საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილასაა ნაპოვნი სხვადასხვა ტიპის სამარხებში და კულტურულ ფენებში [71, გვ. 8—10]. უსახელოს ბეჭედი რკალნაკლულია, ამიტომ არ ვიცით იგი რკალგახსნილი იყო თუ რკალშეკრული. კოლხეთში მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდები ყველა რკალშეკრულია. ხოლო რკალგახსნილი ბეჭდები მხოლოდ ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. აღმოსავლეთ საქართველოში კი რკალგახსნილი ბეჭდები ოქროსი და ვერცხლისაც ყოფილა (ყანჩაეთი, საძეგური, წალკა-ალგეთი) [71, გვ. 10].

უსახელოს ფარაკიანი ბეჭდის ანალოგიურად მიგვაჩნია ბეჭედ-დაფნარის № 3 ქვევრსამარხიდან, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებშითაა დათარიღებული [224, გვ. 16]. ოღონდ ჩვენი ბეჭდისაგან განსხვავებით, დაფნარის ბეჭდის ფარაკი ამოღარული წერტილებითაა დაფარული. როგორც მკვლევარი მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ბეჭედს ტიპური ანტიკური ფორმა აქვს და ძვ. წ. IV საუკუნის ბეჭდებს შორის ერთ-ერთი გავრცელებული ტიპია. ინტალიოს ხასიათის მიხედვით იგი ბეჭედს საბეჭდავად ვერ მიიჩნევს [79, 71, გვ. 68]. უსახელოს ბეჭედიც არ უნდა იყოს საბეჭდავი.

სამაჯურები. 1. ბრინჯაოს სამაჯური, რომელსაც ბოლოები და ღერო ოვალური ბურცობებით აქვს შემკული (კატ. № 150, სურ. 23). ამგვარი სამაჯურები ცნობილია დაბლაგომის ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული ქვევრსამარხიდან [236, გვ. 42, 43, ტაბ. 12₅, 6: 51, გვ. 13, 16, ტაბ. III₅, IX]²¹, ზემოფარცხიდან [178, გვ. 19; 51, გვ. 25—26; 43, გვ. 88], დაფნარიდან [224, ტაბ. XXXIII₄], ფიქვნარიდან [45, ტაბ. XXIV₄], ნოქალაქევიდან [30, გვ. 42—43]. ასეთივე სამაჯური ცნობილია მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვნიდან ორწილად რკალისებურ ფიბულასთან და რკინის ბურცობებიან სამაჯურებთან ერთად [89, გვ. 37—38, ტაბ. XI₅], აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია ყანჩაეთში [26, გვ. 20, ტაბ. 1₆], უფლისციხეში [139, გვ. 75—76, ტაბ. XIV_{1,2}: XVI₁], სანთაში [233, გვ. 31, სურ. 33₃: 27, გვ. 20, 28]. ქვევრსამარხებში ოვალურბურცობებიან სამაჯურებთან ერთად თითქმის ყოველთვის არის ბოლოდაკეცილი ვერცხლის საყურე რგოლები, კოლხური თეთრი, მსხლფსებური ფორმის მინის მძივები, ზარაკები და სხვ²².

2. ბრინჯაოს სამაჯური, მრგვალღეროვანი, თავებგახსნილი, ცალი ბოლო თითქოს „პირგაღებული გველის თავს“ წარმოადგენს, რომელსაც გვერდებზე ოთხ-ოთხი ნაჭდევი აქვს (კატ. № 151, სურ. 29). ამ ტიპის სამაჯურები გავრცელებული ჩანს საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ სივრცეზე. ისინი ცნობილია ადრეელინისტური ხანის ძეგლებიდან გვიანანტიკური ხანის ძეგლების ჩათვლით. ზურგსწორი, ბრინჯაოს მავთულის სამაჯურები ცნობილია კამარახევის სამაროვნიდან, რკალშეზნეკილ სამაჯურებთან, თავგახვრეტილ ბრინჯაოს ქანძის-თავეებთან და ორწილად რკალისებურ ფიბულასთან ერთად ძვ. წ. V—III სს-ის სამარხებში [101, გვ. 32]. ამგვარი სამაჯურები ცნობილია ქვემო ქართლის ძვ. წ. V ს-ის სამაროვნიდანაც [39, გვ. 61, ტაბ. IX₇₋₁₆], გომარეთის ძვ. წ. IV—III სს-ის სამარხებიდან [39, გვ. 142—143], ურეკისა და ძევრის გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან [119, გვ. 85].

მძივსამკაული. ცმმ-ში უსახელოდან სულ 7 ცალი მძივია შესული.

ეგვიპტური ფაიანსის საკიდი (კატ. № 152, სურ. 29), რომელიც წარმოადგენს ცალ მხარეს ორ რიგად განლაგებული სამ-

21 ბ. კუფტინი ძვ. წ. IV ს-ით ათარიღებს.

22 ზემოთ აღწერილი ტიპის სამაჯურების თარიღის შესახებ იხ.: 27, გვ. 20, 28.

სამი ბურცობით შემკული მძივის ფრაგმენტს. ჩრდილო შავიზღვის-პირეთში ბურცობებით შემკული ქაკიდები ძვ. წ. III საუკუნიდან ჩნდება. განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვ. წ. II—I სს-თვის, არსებობს ახ. წ. I საუკუნემდე [154, გვ. 35, ტიპი 18, 19, ტაბ. 54¹, 45-52].

გიშრის მძივსაკიდი (კატ. № 152, სურ. 29) სფერულია, ოდნავ გამოხატული ყუნწითა და პორიზონტული ნახვრეტით. გიშრის მოპოვებასა და დამუშავებას საქართველოში (ქუთაისის მაზლობლად, ოკრიბის საბადო) უძველესი დროიდან ეწევიან. განსაკუთრებით ბევრია გიშრის სხვადასხვა ფორმის მძივები ძვ. წ. VIII—VI სს-ის კოლხურ სამაროვნებზე [13, გვ. 659; 281, გვ. 43, 49]. ელინისტური ხანის გიშრის ნაწარმი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გიშერი პოპულარულია რომაულ ხანაშიც. აღმოჩენილია არა მარტო ცალკე გიშრის ასხმები, არამედ სხვა სახის მძივებთან ერთადაც, განსაკუთრებით სარდიონის მძივებთან ერთად [155, გვ. 8]. უსახელოს მძივსაკიდის მსგავსი საკიდი აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთის II—III სს-ის კომპლექსებში [155, გვ. 18, ტიპი 81, ტაბ. 22₉].

სარდიონის სფერული მძივები (კატ. № 152, სურ. 29), როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, გავრცელებულია როგორც ადრეულ ხანაში, ასევე ახ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებშიც.

უბრალო ქვის მძივები — სფერული და კვირისტავისებური ფორმისა (კატ. № 152, სურ. 29).

მოშავო-იისფერი, გაუმჭვირვალე მინის, სფერული და დაბრტყელებული მძივი (კატ. № 152, სურ. 39).

საყურე რგოლები, ოქროსი და ვერცხლისა (კატ. № 153, 154, სურ. 29) შემსხვილებული სწორად ჩამოჭრილი ბოლოებით ანალოგიურია ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მტევნიანი საყურეების რგოლებისა. ასეთი „მტევნიანი“ საყურეები, როგორც ზემოთ ვნახეთ, ცხეთის № 2 სამარხშიც არის აღმოჩენილი და თანმსლები მასალის გათვალისწინებით IV ს-ით თარიღდება. ოქროს ამგვარი რგოლები ცნობილია კლდეეთიდან (№ 2 სამარხი), სადაც ერთმანეთზე ოთხი ასეთი რგოლია ასხმული. ორი რგოლი სადაა, ხოლო ორი რგოლი შემკულია მარცვლებისაგან შედგენილი კუნწულებით [67, გვ. 104—105, ტაბ. XIX_{1, 3}]. მსგავსი ოქროს საყურე რგოლები აღმოჩენილია კარსნისხევის სამაროვანზე [10, გვ. 51—52, სურ. 297], ყინვალის გვიან-ანტიკური ხანის სამაროვნის XXV უბანზე მტევნებით შემკულ ასე-

თივე რგოლებთან ერთად [281, ტაბ. XXXI₄]. მონასტერის სამაროვანზე. რომელიც I—III სს-ით თარიღდება. ამ ფორმის რგოლები ბრინჯაოსია აღმოჩენილი [188, გვ. 231, ტაბ. XIX_{6, 7}].

ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის საგანძურში დაცულია სამი ნივთი — ოქროს მედალიონი და ოქროს ორი ფირფიტა.

უსახელოს მედალიონი (კატ. № 163, სურ. 30), რომელიც 1911 წელს მოხვდა ერმიტაჟის საცავში, პირველად გამოაქვეყნა ე. პრიდიკმა [275, გვ. 18—19, ტაბ. I_{1, 2}]. მედალიონს იგი აკუთვნებს ახ. წ. I ს-ის შუა ხანებს, უფრო ზუსტად, იმპერატორ ნერონის ხანას. ქვა მან ოქროსფერ მთის ბროლად მიიჩნია, ხოლო თვით გამოსახულება — ჰელიოსად. თუმცა აღნიშნა, რომ ჰელიოსი ძალიან გავს ალექსანდრე დიდის გამოსახულებას. მხოლოდ ოდნავ იდეალიზებულს [275, გვ. 19].

ე. პრიდიკმა გამოაქვეყნა მხოლოდ მედალიონი, ხოლო დანარჩენი ნივთები უსახელოდან, როგორც თვითონ აღნიშნავს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოაქვეყნა [275, გვ. 18].

იმის შემდეგ, რაც ეს შესანიშნავი ნივთი სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა, იგი მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანი გახდა.

მ. მაქსიმოვა გემას რომაულ გლიპტიკას აკუთვნებს (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. IV ს.), ქვა ტოპაზად მიიჩნია, ხოლო გამოსახულება — ჰელიოსად [254, გვ. 85].

ა. ამირანაშვილი (ბოლტუნოვა) თავილონის განძის ოქროს ნივთების შესწავლასთან დაკავშირებით, ვრცლად ეხება უსახელოს ოქროს მედალიონს. აღწერს საკმაოდ დეტალურად: ქვა მიიჩნია ოქროსფერ ტოპაზად, ხოლო გამოსახულება — ჰელიოსად. მისი აზრით, ტექნიკური და სტილისტური მონაცემებით უსახელოს მედალიონი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს თავილონის განძის ოქროს ნივთებთან და საერთოდ ჩრდილო კავკასიისა და ყუბანისპირეთის სარმატულ სამყაროსთან. გემას რომაულ ნახელავად თვლის და ათარიღებს ახ. წ. I—II სს-ით [160, გვ. 63—71].

„მცხეთა I-ის“ ავტორებს ასპარუგ პიტიახშის სარტყელსა და დიადემასთან დაკავშირებით „თვალსაჩინო მსგავსების“ მაგალითად მოჰყავთ უსახელოს მედალიონი და იმეორებენ ე. პრიდიკის განსაზღვრას [8, გვ. 27].

რომაული ხელოვნების ნიმუშად მიიჩნია მედალიონი შ. ამირანაშვილმაც, რომელიც დაეთანხმა ე. პრიდიკის განსაზღვრას [6, გვ. 87].

ნ. ხოშტარია თავის ნაშრომში — „ციხისძირი“, ლუცი ვერის გამოსახულებიანი ინტალიოს განხილვისას პარალელს ავლებს უსახელოში აღმოჩენილ ინტალიოსთან, რომელიც ისეთივე ტექნიკითაა შესრულებული, როგორც ლუცი ვერი. უსახელოს მედალიონის ქვა იგი ოქროსფერ ტოპაზად განსაზღვრავს, ხოლო გამოსახულებას — პელიოსად. ნივთს ათარილებს ახ. წ. I ს-ით და მედალიონიც და ინტალიოც ადგილობრივ ნაწარმად მიაჩნია [141, გვ. 16—17]²³.

ყველაზე ვრცელი, ამომწურავი და საინტერესო გამოკვლევა უსახელოს მედალიონის შესახებ ეკუთვნის მ. ლორთქიფანიძეს [68, გვ. 22; 70, გვ. 121]. იგი უსახელოს მედალიონს განიხილავს იმ ჩგუფში, რომელშიც გაერთიანებულია ანტიკური ხანის ადგილობრივი ძეგლები, რომლებიც, ავტორის დაკვირვებით, შესრულებულია განსაკუთრებული ტექნიკით — ჭრილა ქვის მოპირკეთებით ოქროს ფურცლით (70, გვ. 53). ნივთი ზედმიწევნით არის შესწავლილი ტექნიკური და სტილისტური თვალსაზრისით. გამოსახულება პელიოსად არის მიჩნეული, ხოლო ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია იგი, ოქროსფერ ტოპაზად. მედალიონი დათარილებულია ახ. წ. I—II სს-ით [70, გვ. 122—123].

დიდი ყურადღება დაუთმო უსახელოს მედალიონის შესწავლასა და პუბლიკაციას ო. ნევეროვმა. მის სტატიებში და გზამკვლევებსა თუ კატალოგებში უსახელოს მედალიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი აღნიშნავს, რომ ინტალიო შესრულებულია საკმაოდ იშვიათი და ორიგინალური ტექნიკით [308, გვ. 60; 265, გვ. 105; 264, გვ. 85]; გამოსახულება მას ნერონად მიაჩნია, რომელიც წარმოდგენილია პელიოსის სახით [265, გვ. 105], ხოლო ქვა — ტოპაზად²⁴. გემა რომაულ ნაწარმად განსაზღვრა და დაათარილა ახ. წ. I—II სს-ით [263, გვ. 39].

უსახელოს მედალიონი უაღრესად საინტერესო ძეგლია გლიპტიკის თვალსაზრისით. ანალოგიური ტექნიკით (ე. ი. ჭრილა ქვის მოპირკეთება ოქროს ფურცლით) შესრულებული ჭრილა ქვები დღეისა-

²³ ნ. ხოშტარიამ უსახელოს მედალიონის ფოტოსთან ერთად გამოაქვეყნა ერთ-ერთი მისი მედალიონთან ერთად შექმნილი ოქროს ორი ფირფიტის ერთ-ერთის ფოტო (იხ.: 141, ტაბ. II₅), თუმცა ტექსტში ამ ნივთის შესახებ არაერთი ცნობას არ იძლევა.

²⁴ ო. ნევეროვის ცნობით, უახლესი განსაზღვრის მიხედვით ქვა ციტრინია. ციტრინის შესახებ იხ.: 302, გვ. 172—“ После обжига камень (дымчатый кварц — б. с.) называется золотистым топазом.” აგრ თვ., იხ.: 47, გვ. 19—20.

თვის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული [70, გვ. 53]²⁵. ესენია — ლუცი ვერის გამოახულებიანი ინტალიო ციხისძირიდან [325, გვ. 159—163], აქტეონისა — არმაზისხევიდან [8, გვ. 90—91], ჰელიოსისა — უსახელოდან [275, გვ. 18—19].

ა. ფურტვენგლერის ნაშრომში აღნიშნული ტექნიკით შესრულებული ინტალიოები არ არის წარმოდგენილი, თუმცა მთის ბროლისაგან დამზადებულ ინტალიოებზე ლაპარაკისას აღნიშნული აქვს, რომ ისინი ოქროს სარჩულზე მაგრდებოდა [318, გვ. 373—376]. მარგ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, „ოქროს სარჩულზე დამაგრებული ინტალიოებისაგან“ განსხვავებით, ოქროს ფირფიტით მოპირკეთების ტექნიკით შესრულებული ქვების პირს წარმოადგებს ქვის არანაკვეთი საგანგებოდ დამუშავებული ამობურცული მხარე, ხოლო ზურგს — ბრტყელი მხარე, რომელზედაც ამოჭრილ ინტალიოში ჩაწნეხილია ოქროს ფირფიტა [70, გვ. 54].

სამკაულის (მაგ., მძივების) და მინის ნივთების ოქროთი მოპირკეთება-მოოქვრა ფართოდ ვრცელდება ელინისტური ხანიდან [255, გვ. 242]. სამსრეთ რუსეთში — ბოლშაია ბლიზნიცას და კურჯიპსის ყორღანების [269, გვ. 63, სურ. 300] გათხრისას აღმოჩნდა მინის თვლიანი ბეჭდები (მინის თვალში ჩაყოლებული ოქროს ფირფიტისაგან გამოჭრილი მოცეკვავე ქალის გამოსახულებით), რომელიც შემდეგი ტექნიკით მზადდებოდა: ჯერ ასხამდნენ მინის ერთ ფენას, რომელზედაც დებდნენ ოქროს ფურცლისაგან გამოჭრილ გამოსახულებას, ხოლო შემოდან მინის კიდევ ერთ ფენას ასხამდნენ, ე. ი. ოქროს გამოსახულება მინიდან გამოსჭვივოდა. მოოქვრის სხვა ხერხიც არსებობდა, როცა ოქროს ფურცელს რაიმე შემაერთებელი, წებოვანი ნივთიერებით ამაგრებდნენ (მაგ., მოხატული და მოოქვრილი მინის ვაზა ოლბიიდან) [255, გვ. 242]. ბერძნულ-რომაულ ხანაში ოქროთი მოპირკეთების მოდა გლობტიკაზეც გავრცელდა (ქვის ოქროს სარჩულზე დამაგრება) [318, გვ. 392]. ოქროთია დაფერილი თეთრი მინას კამეა სოფ. სოხთადან (ცხინვალი) [70, გვ. 125]. საინტერესოა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში — ზოლოტოესა და ტირამბაში

²⁵ 1984 წელს გამოსულ სსრკ არქეოლოგიის ჩრდ. შავიზღვისპირეთისადმი მიძღვნილ ტომში მოცემულია ამ ნივთის ფერადი ფოტოსურათი სათაურით. სადაც აღნიშნულია, რომ ნივთი არის საქართველოდან, გათხრების შედეგად მოპოვებული; დაკონკრეტებულია მისი წარმოების ცენტრი — იტალია — და თარიღი — ახ. წ. I ს., ტექსტში კი არსად არ არის ნახსენები და გაუგებარია, რატომ მოხვდა იგი აღნიშნულ ტომში (164, გვ. 80-ის შემდეგ ფერადი ტაბულა).

აღმოჩენილი გემები. მათი ინტალიოები მოპირკეთებულია ოქროს ფურცლით (ზოლოტოეში — ოქტავიანეს გამოსახულება, ტირამბაში — Bonus Eventus); მაგრამ ყველა ესენი, ჩვენში აღმოჩენილი ზემოხსენებული ინტალიოებისაგან განსხვავებით, ბუდეებშია ჩვეულებრივად ჩასმული. ანუ ინტალიოს პირს ოქროს ფურცლით მოპირკეთებული მხარე წარმოადგენს. ორივე ნივთი თარიღდება ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს-ით [227, გვ. 101—102].

საქართველოში აღმოჩენილი გემები ლუცი ვერის, აქტეონის, ჰელიოსის გამოსახულებით, ძლიერ მხატვრულ შთაბეჭდილებას ტოვებენ სწორედ ბუდეში „არაჩვეულებრივად“ ჩასმის ხერხით, რაც თითქოს გამოსახულების სხვადასხვა მხრიდან დათვალიერების შესაძლებლობას იძლევა (შდრ. მოცულობით ფოტოგრაფიას ანუ პოლოგრაფიას). მაგალითად, ჰელიოსის გამოსახულების დათვალიერება სხვადასხვა რაკურსიდან იძლევა არაჩვეულებრივ ვიზუალურ ეფექტს — გამოსახულება სხვადასხვა გამომეტყველებას იღებს და სხვადასხვა პერსონაჟთან ამკლავნებს მსგავსებას: წინა ხედიდან გამოსახულება გორგონას გავს, ხოლო გამომეტყველება კი პათეტიკური აქვს: უკანა მხრიდან დათვალიერებისას ჰელიოსს გავს, რომლის თმებიდან სხივები გამოდის: პროფილში მომღიმარი სახეა, ხოლო სამ მეოთხედში წაღმა მხრიდან ქალის იერი აქვს. შეიძლება სწორედ სახეცვლის ეს თვისება ქმნის იმის საფუძველს, რომ მკვლევართა ნაწილმა გამოსახულება ჰელიოსად ან დიონისედ მიიჩნია [141, გვ. 16], ნაწილმა ალექსანდრე დიდს მიაგვს [275, გვ. 19], ზოგმა მასში ნერონი დაინახა [309, გვ. 60; 265, გვ. 105; 263, გვ. 85]. სახეცვლის თვისებასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო დაკვირვება აქვს მარგ. ლორთქიფანიძეს — ინტალიოსათვის მუქი ფონის დადების შემთხვევაში მზის სხივები გველის თავებს ემსგავსება და ღვთაებას მრისხანე გამომეტყველებას აძლევს. სხივების გველის თავებთან მსგავსების გამო პირველი შთაბეჭდილებით მარგ. ლორთქიფანიძეს გამოსახულება მედუზად მიუჩნევია [70, გვ. 122].

უსახელოს ჰელიოსი მაღალი დონის ოსტატის ნახელავია. რომელიც ალბათ შეძლებდა პიროვნების ინდივიდუალური ნიშნებისა და ხასიათის გადმოცემას, გამოსახულება რომ კონკრეტული პიროვნების პორტრეტი ყოფილიყო²⁶. ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებას, რომელთაც გამოსახულება ჰელიოსად მიაჩნიათ. გამოსახულებას თით-

²⁶ შეადარეთ: კარაკალას პორტრეტს — 144, გვ. 67.

ქოს თავისთავად განსაზღვრავს თმებიდან გამოსული სხივები, ხოლო ის, რომ გამოსახულება გამოსტვივის ოქროსფერი ტოპაზიდან. კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ ინტალიოზე მზის სხივების მფრქვეველი ჰელიოსია გამოსახული²⁷. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. V საუკუნიდან ხელოვნების ძეგლებზე ჰელიოსს გამოსახავდნენ ახალგაზრდა პირშიშველა ღვთაების სახით, ხვეული თმებითა და სხივთა გვირგვინით [328, გვ. 2001—2005; 320, გვ. 88—89; 327, გვ. 33]²⁸. ჩვენი აზრით, უსახელოს ჰელიოსის გამოსახულება ასეთ ხატებას (ჰელიოსი-აპოლონი) უნდა უახლოვდებოდეს. ცნობილია, რომ მზის კულტი უცხო არ არის კოლხეთისათვის [18, გვ. 58—59; 11, გვ. 676—678; 114, გვ. 76—79], რაშიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ვანში აღმოჩენილმა ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულმა ტაძრის საკანონმდებლო ტექსტის ფრაგმენტმა, რომელშიც მოხსენიებულია ღმერთების ძირითადი ტრიადა — დედამიწა, მზე, მთვარე [221, გვ. 252—253, 257—260].

როგორც მარგ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ჩვენში აღმოჩენილი ზემოთ ხსენებული ოქროს ფურცლით მოპირკეთებული ჭრილა ქვეები (და მათ შორის ჰელიოსი) ბერძენი ოსტატის მიერ შესრულებულ ტაპურ ნიმუშებს წარმოადგენს. უფრო სწორად, დასაშვებად მიაჩნია ბერძენი მკრელისა და ადგილობრივი ოქრომჭედლის თანამშრომლობა [70, გვ. 53—54]. ჩვენში მომუშავე ბერძენმა ოსტატმა კი. შესაძლოა, გააიგივა კოლხური მზის კულტი თავისი ქვეყნის მზის ღვთაებასთან — ჰელიოსთან²⁹ და გამოსახა ისეთი ღვთაება, რომელიც ახლო და ნაცნობი იყო მისთვისაც და იმ ხალხისთვისაც, ვისთვისაც მზადდებოდა ეს ნივთი. ყოველი შემთხვევისათვის მედალიონის მფლობელისათვის, რომელიც საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელი იყო. უცხო არ იქნებოდა მზე — ჰელიოსის არსი³⁰.

ეს რაც შეეხება ინტალიოს (თარიღდება ახ. წ. I—II სს.) [65, გვ. 123] და მასზე გამოსახულ ჰელიოსს. მაგრამ ყურადღების ღირსია მედალიონის ბუდეც.

²⁷ შეადარეთ 318, ტაბ. 33^ვ; 317, ტაბ. 35, 4851. 22, 2378.

²⁸ როგორც ცნობილია, ძვ. წ. V ს-დან ჰელიოსს აპოლონთან აიგივებენ (328, გვ. 33; 252, გვ. 299—300); შესაძლოა, ჰელიოსის გამოსახვა ახალგაზრდა ღვთაების სახით ამით აიხსნება.

²⁹ იხ. ბერძენების მიერ ადგილობრივი მზის კულტების გაიგივების შესახებ თავიანთ ჰელიოსთან: 329, გვ. 2024; 320, გვ. 70.

³⁰ ანტიკური მითოლოგიური რწმენების გავრცელების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ზედა ფენებში. იხ.: 72, გვ. 108—109.

ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით უსახელოს მედალიონი მიეკუთვნება სამკაულთა იმ რიგს (სახეობას), რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ახ. წ. პირველი საუკუნეების საქართველოში. მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა ფორმის (მრგვალი, ოთხკუთხა და სხვ.) და დანიშნულების (აგრაფი, მედალიონი, აბზინდა და სხვ.) მოთვალული ბალთები, მაგ., არმაზისხევის მოთვალული ბალთები და მედალიონები [8, სამარხი № 1, 6, 7], ახმეტის კულონი [69, გვ. 16], კლდეეთის მოთვალული აგრაფი პორტრეტული გემით და ოთხკუთხა ბალთები [67, გვ. 28, ტაბ. I, XV], გონიოს განძის პოლიქრომიული ბალთები [74, გვ. 13—16, ტაბ. XXI—XXVI] და სხვა.

უსახელოს მედალიონის ოქროს ბუდის აღწერისას ვნახეთ მხატვრული დამუშავების თუ რა ხერხებია გამოყენებული — გავარსი [ცვარა — იხ.: 131], ფერადი ინკრუსტაცია (პოლიქრომია), ორმაგი გრეხილი მავთული (აპლიკაციის სახით გამოყენებული) ანუ ფილიგრანი, ჰედვა, რჩილვა. ამგვარი ხერხებით შემკული ზუსტად ანალოგიური ნივთის ნახვა ვერ მოხერხდა. მაგრამ ზოგიერთი ნიშნით, კერძოდ, ფორმით და ცენტრალური ქვის ირგვლივ განლაგებული მცირე თვლებით, იგი მსგავსებას პოულობს არმაზისხევის მრგვალ პოლიქრომიულ ბალთებთან [8, გვ. 26, 65, 84], ხოლო შემკულობის ხასიათით (კიდებზე შემოვლებული წნული, წმინდა ცვარას მარცვლები თვლების ბუდეების ირგვლივ და მინდორზე) არმაზისხევის [8, გვ. 24, 26], კლდეეთისა [67, გვ. 28—30] და გონიოს [74, გვ. 13, 15] ოთხკუთხედ ბალთებთან.

მარგ. ლორთქიფანიძე ამსგავსებს რა უსახელოს მედალიონს არმაზისხევის № 1 აკლდამიდან არიადნას გამოსახულებიან მოთვალულ მრგვალ ბალთას, აქვე მოჰყავს მეტად საინტერესო პარალელი ფ. მარშალის კატალოგიდან ახ. წ. III ს-ით დათარიღებული სირიიდან მომდინარე მედალიონის სახით [68, გვ. 35; 323, ტაბ. XV_{2863, 2864}].

თაგილონის განძის ოქროს ნივთებისათვის პარალელების ძიებისას ა. ამირანაშვილი უსახელოს მედალიონის გარდა ასახელებს ერმიტაჟში დაცულ გაურკვეველი წარმოშობის არტემიდას გამოსახულებიანი სარდიონის ჭრილა ქვის ბუდეს. გემის ბუდე დარჩილულია მრგვალ ბალთაზე; ბუდეს გარს ერტყმის გავარსის მარცვლები და გრეხილი მავთულის პატარა ნაჭრები; მავთულს მსუბუქი ნაჭდევეები აქვს. ბალთის „მინდორზე“, ცენტრალური ქვის ირგვლივ დარჩილულ ბუდეებში მინის რვა თვალია, აქედან სამი ბუდე გარშემორტყმულია ცვარათი,

ხოლო ხუთი — ნაჰდევეებიანი მავთულით. მცირე თვლებს შორის მოთავსებულია ცვარას მარცვლების ჯგუფები. ავტორის დახასიათებით გემა კარგი ნახელავია და რომაულ ნაწარმს წარმოადგენს, ხოლო ბუდე საკმაოდ უხეშად არის შესრულებული [160, გვ. 61, 71]³¹. როგორც აღწერილობიდან ჩანს, ერმიტაჟის ეს ნივთიც უსახელოს მედალიონის მსგავსია. ა. ამირანაშვილის აზრით, საერთოდ ამ სტილითა და ტექნიკით — წმინდა ცვარა, მავთული, ამოჭრილ ან დარჩილულ ბუდეებში ფერადი ქვები და მინა — შესრულებული ნივთები, როგორც ჩანს, დამახასიათებელი იყო კულტურისათვის. რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიასა და დასავლეთ ამიერკავკასიაში (ნოსირი, ბორი, ლეჩხუმი) [160, გვ. 67].

უსახელოს მედალიონის მსგავსია პოლიქრომიული მედალიონი, რომელიც აღმოჩნდა 1964 წელს სოფ. მახოში (გონიოს მახლობლად) ნაპოვნ ოქროს ნივთების კოლექციაში [74, გვ. 10].

ტიპოლოგიური თვალსაზრისით უსახელოს მედალიონის ბუდე გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილების საგანგებო საცავში დაცული ქამრის აბზინდის შემადგენელ ოქროს მედალიონთან, რომელიც ირანული წარმოშობისაა. ნივთი შექმნილია თურქეთში ნელიდოვების კოლექციიდან. გემა ათარიღებს ნივთს ახ. წ. II—III საუკუნეებით. ავტორები აღნიშნავენ, რომ აზგვარი ბალთები, შესრულებული ამ დროისათვის გავრცელებული ე. წ. „პოლიქრომიული სტილისა“ და გავარსის გამოყენებით, საინვენსტურო ნიშანი იყო და ხშირად გამოისახებოდა ახლო აღმოსავლეთის ძეგლებზე, მაგალითად, სკულპტურულ გამოსახულებებზე ხატრიდან (მესოპოტამია, II ს.), ნიმრუდ-დაგიდან [205, გვ. 25, ტაბ. 39 (58)].

მოთვალული აგრაფები და მედალიონები გამოსახულია პალმირის სკულპტურებზეც [324, გვ. 58—62, ტაბ. XII; 329, ტაბ. LI, LII, LIII].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უსახელოს მედალიონი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს არმაზისხევის მოთვალულ ბალთებთან, რომელთაც ზედაპირის პოლიქრომიული მოპირკეთების თვალსაზრისით სხვადასხვა ადგილებში (ბორი, კლდეეთი, თავილონი, გონიო) აღმოჩენილ მსგავს ნივთებთან ერთად, უახლოებენ ჩრდ. შავიზღვისპირეთსა და

³¹ ნივთს ვიცნობთ ლიტერატურის მიხედვით.

ჩრდილო კავკასიაში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. „ბერძნულ-სარმატულ“ საიუველირო ნაწარმს [246, გვ. 131; 74, გვ. 22—23].

მოთვალული ბალთების დამზადების ცენტრის საკითხი, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს [74, გვ. 23]³². მაგრამ მათი სტილისტურ-მხატვრული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე სახელოსნოს არსებობა დავუშვათ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მათ მრავალფეროვნებასა და გავრცელების მეტად ფართო არეალს (კავკასია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და სხვ.).

უსახელოს მედალიონის უკანა ფირფიტა დაკარგულია. ამიტომ ძნელი დასადგენია აგრაფი [158, გვ. 30—31] იყო იგი, თუ ისეთივე ფუნქციის მქონე, როგორც ახმეტის მედალიონი, რომელსაც ქვედა პირზე ყუნწები აქვს დარჩილული ტანსაცმელზე დასაკერებლად (67, გვ. 16). ორივე შემთხვევაში უსახელოს მედალიონი შეესაბამება მოდას, რომელიც გარკვეული სახის ტანსაცმლის ხმარებასთან იყო დაკავშირებული. ამგვარი სამკაული, როგორც აღვნიშნეთ, არის პალმირას სკულპტურულ გამოსახულებებზე, ხოლო ჩვენში — ლუცი ვერას გამოსახულებაზე ციხისძირიდან. კარაკალას პორტრეტულ გემაზე ურბნისიდან [141, გვ. 16, ტაბ. II₅; 144, გვ. 67, ტაბ. VI₁₀₈]. აღსანიშნავია ის მოსაზრება, რომ უსახელოს მედალიონის მსგავსი ნივთები უფლების ნიშანს, ინსიგნიას წარმოადგენდა [141, გვ. 26]. საფიქრებელია, რომ უსახელოს მედალიონიც ამ რანგის ნივთი იყო (ამიტომაც გამოირიცხებოდა მისი ზუსტი ანალოგიის არსებობა). იგი დათარიღებულია ახ. წ. I—II სს-ით [70, გვ. 123].

ოქროს ორი ფირფიტა, რომელიც ერმიტაჟის კოლექციაში მედალიონთან ერთადაა, ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. პრიდიკს მედალიონთან ერთად შეიძენილი ფირფიტები არ გამოუქვეყნებია. ნ. ხოშტარას ნაშრომში „ციხისძირი“ მხოლოდ ერთი ფირფიტის — „წვეროსანი ნიღბის“ ფოტოა [141, გვ. 16, ტაბ. II₅].

ფირფიტა „წვეროსანი ნიღაბი“ (კატ. № 164, სურ. 30) ტანსაცმელზე დასაკერებელ სამკაულს (?) უნდა წარმოადგენდეს. ქსოვილის ოქროს ფირფიტებით შემკობის წესი აღმოსავლეთიდან მო-

³² ავტორებს მხედველობაში აქვთ ოთკუთხა მოთვალული ბალთები, მაგრამ ჩვენი აზრით, იგივე მოსაზრების გავრცელება შეიძლება სხვა პოლიქრომიულ ბალთებზეც.

დის [138, გვ. 57]. საქართველოში მრავლად არის აღმოჩენილი სხვადასხვა სახის დასაკერებელი სამკაული (ყაზბეგის განძი, ვანი, ახალგორის განძი, არმაზისხევი, კლდეეთი, ბორი და სხვ.).

უსახელოს ფირფიტა „სახის“ გამოსახულებას წარმოადგენს. ასეთი „სახიან“ გამოსახულებიანი ფირფიტები კი ჩვენთან ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა [271, გვ. 110] და ჩრდილოეთ კავკასიაში [266, გვ. 116; 299, გვ. 315; 268, გვ. 80, სურ. 116] კი აღმოჩენილია ადამიანის სახის გამოსახულებიანი დატვიფრული მცირე ზომის ფირფიტები, რომლებიც ერთგვარად სერიული წარმოების იერს ატარებს, რისი თქმაც არ შეიძლება „წვეროსანი ნიღბის“ შესახებ. დატვიფრული ფირფიტები დიდი რაოდენობით მზადდებოდა ძვ. წ. IV საუკუნიდან და მომდევნო პერიოდში ბოსფორის საოქრომჭედლო სახელოსნოებში. რომლებმაც ძვ. წ. II—I საუკუნეებში სარმატული ხელოვნების დიდი გავლენა განიცადეს [276, გვ. 344, 347; 171, გვ. 51; 191, გვ. 121]. შესაძლოა, ადამიანის სახის თუ ნიღბის გამოსახვა სამკაულზე ვარკვეულ რწმენასთან იყო დაკავშირებული (მაგ., ავი თვალისაგან დაცვა და სხვ.).

გამოსახულების სქემატური ხასიათით თითქოს უახლოვდება უსახელოს „წვეროსანი ნიღბს“ ჩრდილო კავკასიაში (სოფ. ბრატსკოე, ჩეჩენო-ინგუშეთის ასსრ) ახ. წ. II—III სს-ით დათარიღებულ ყორღანში აღმოჩენილი ორი ბალთა ადამიანის „სახის“ გამოსახულებით [261, გვ. 174—184; 179, გვ. 75—76]. მაგრამ თავისი ფუნქციით, შესრულების ტექნიკითა და სტილით ეს ბალთები (უფრო სწორად აბზინდები) ვარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ.

ვფიქრობთ, რომ მედალიონის ბუდე და „წვეროსანი ნიღბი“ შესრულების ტექნიკით და მხატვრული თვალსაზრისით თანადროული ნივთებია და ზოგადად თარიღდება ახ. წ. I—II სს-ით.

ფირფიტა ქალის გამოსახულებით ბალთას წარმოადგენს (კატ. № 165, სურ. 30).

საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მეტად მრავალფეროვანი დატვიფრული ფირფიტებია გავრცელებული: ქალღმერთების, გორგონას, პანის გამოსახულებით; ფირფიტები დეკორატიული გამოსახულებებით — ჯვარი, პალმეტი, ყვავილი და სხვ. [276, გვ. 344, სურ. 27, 28; გვ. 350, სურ. 37; 268, გვ.

80)³³. დატვიფრული ფირფიტების ნაწილი გამოიყენებოდა სამოსზე დასაკერებლად. ნაწილი — ბეჭდის ფარაკებად ან რაიმე საგნის გარსაკრავი და შემადგენელი ნაწილი იყო. ამდაგვარივე ფირფიტებისაგან აკეთებდნენ გულსაკიდებს [276, გვ. 348; 190, გვ. 300] და მედალიონებს მშვილდსაკინძებისათვის [313, გვ. 78].

უსახელოს „ქალის“ გამოსახულებას ემსგავსება ყუბანის ოლქში (სტანცია ვორონეჟსკაია) გათხრილ ყორდანში აღმოჩენილი ქალის გამოსახულება თიხის ფირფიტაზე [ა — 22 მმ), რომელიც დაფარული იყო ოქროს თხელი ფურცლით [270, გვ. 71, სურ. 128—130].

უსახელოს „ქალის“ ზუსტად ანალოგიური გამოსახულება ვერსად მოვიძიეთ. და რადგან ქალის გამოსახულებიანი დატვიფრული ფირფიტების დიდი რაოდენობა ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაშია აღმოჩენილი და ბერძნულ-სარმატულ სამყაროსთანაა დაკავშირებული, ამიტომ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა უსახელოს „ქალიც“ ამ წარმომავლობისაა და საქართველოში სარმატული კულტურის შემოღწევას უკავშირდება [82, გვ. 482].

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ერმიტაჟის კოლექციის სამივე ნივთი სხვადასხვა დანიშნულებისაა, მაგრამ სამივე სამკაულთა ჯგუფს განეკუთვნება; სამივე ოქრომჭედლობის მაღალი დონის ამსახველია. მათ შესაქმნელად გამოყენებული ლითონის დამუშავების ხერხები საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების მაჩვენებელია. ოქროს ტექნიკური და მხატვრულ-სტილისტური დამუშავების თვალსაზრისით უსახელოს მედალიონის ჩარჩო და ფირფიტა „წვეროსანი ნიღბის“ გამოსახულებით უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ხოლო ორივე ერთად, ჩვენი აზრით, გარკვეულ სიახლოვეს ამყლავნებენ დასავლეთ საქართველოს ისეთ ცნობილ ძეგლებთან, როგორიც არის გონიოს განძი [74], თავილონის განძი [160], ბორი [275], კლდეეთი [69.] ხაიშის განძი [142]. ყველა ამ განძის არსებობა ემთხვევა ე. წ. რომაულ ანუ გვიანანტიკურ ხანას — ახ. წ. პირველ საუკუნეებს. ამ პერიოდისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია ბერძნულ-რომაული წარმოშობის ჭრილა ქვების (ინტალიოები და კამეები) ფართოდ გავრცელება. უსახელოს მედალიონში ჩასმული ინტალიოც ამ მოდის გამოძახილია.

³³ ტირიტაჟის გათხრებისას ბრინჯაოს შტამპიც კი აღმოჩნდა აფროდიტეს ბიუსტის გამოსახულებით. [იხ.: 190, გვ. 298].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უსახელოს ინტალიო შესრულებულია განსაკუთრებული ტექნიკით — ქრილა ქვის მოპირკეთება ოქროს ფურცლით, და ამ ტექნიკით დამზადებული ინტალიოები მხოლოდ საქართველოშია დადასტურებული (სულ სამი ცალი). აღნიშნული ტექნიკა, როგორც მარგ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, უცხოა როგორც ანტიკური, ასევე აღმოსავლური სამყაროსათვის [70, გვ. 53—54]. ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ გამოსახულება ჰელიოსია (მზის კულტი), რომლის არსი უცხო არ არის კოლხური სამყაროსათვის, ქმნის ცდუნებას, ჩვენც დავუშვათ შესაძლებლობა, რომ უსახელოს მედალიონი დამზადებულია კოლხეთში მცხოვრები ბერძენი და კოლხი ხელოსნის თანამშრომლობით. საყურადღებოა მარგ. ლორთქიფანიძის კიდევ ერთი დაკვირვება, რომ ბუდე და ინტალიო ნაკეთობის თვალსაზრისით ერთმანეთს არ შეესაბამება — ბუდე დაუდევრად არის შესრულებული, ხოლო ინტალიო კარგი ნახელავია [70, გვ. 123]. რითი შეიძლება აიხსნას ეს? შეიძლება სხვადასხვა რანგის ხელოსნის გაკეთებულია, ან ქრონოლოგიური სხვაობაა ბუდესა და ინტალიოს შორის. მასალის უკმარისობის გამო ეს მხოლოდ ვარაუდია.

როგორც აღვნიშნეთ, მედალიონის ბუდე და ფირფიტა „წვეროსანი ნილაბი“ სტილისტურად ერთგვაროვანია. მათ ფონზე შედარებით უცხოდ გამოიყურება უსახელოს მესამე ნივთი, რომლის დასამზადებლად გამოყენებულია ოქრომჭედლობის მხოლოდ ერთი ტექნიკური ხერხი — ტვიფრვა. ანალოგიური ნივთი ანალოგიური გამოსახულებით ჩვენთვის უცნობია (ლიტერატურაში არ შეგვხვედრია) და სრულიად შესაძლებელია, უსახელოს „ქალი“ ჩრდილო შავიზღვისპირული წარმომავლობისაა ან იქაური გავლენით შექმნილი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ანტიკური ხანის საქართველოს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო შავიზღვისპირეთთან.

გვიანანტიკური ხანის კოლხეთი, როგორც იმ დროის ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, ეხმაურებოდა ეპოქალურ მოთხოვნებს და საერთო მოდას. მაგრამ ამავე დროს ხასიათდებოდა გარკვეული თავისებურებებით: მხედველობაში გვაქვს ის უჩვეულო ტექნიკური ხერხი ინტალიოს ჩასმისა და მოპირკეთებისა, რომლითაც დამზადებულია უსახელოს მედალიონი.

სამკაულის ნაწილი (ბალთის?), რომელიც წარმოადგენს ტიხრებში ჩასმულ წითელი თვლებით შემკულ ნივთს (კატ. № 155, სურ. 29).

ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთები საქართველოში მრავლად არის აღმოჩენილი. ამ მხრივ სიმდიდრით გამოირჩევა მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ნივთები. არმაზისხევის №2 სამარხში აღმოჩენილია მედალიონი (კამეა „ძალღი“), რომლის არშია შემკულია ტიხრებით გაყოფილი ალმანდინის თვლებით. ალმანდინებს ოქროს თხელი ფირფიტები აქვს ჩაფენილი. სამარხი ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [8, გვ. 42, ტაბ. II₂; გვ. 46]³⁴. ასევეა შემკული სატევრის ტარი III ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული №3 სამარხიდან. სატევრის ტარი შემკულია 77 ალმანდინისა და ფირუზის 5 სწორკუთხა ფირფიტით, რომლებიც ტიხრებითაა გამოყოფილი [8, გვ. 48, ტაბ. III; გვ. 59]. ალმანდინის ოთხკუთხოვანი ფირფიტები არმაზისხევის გვიანდელ სამარხებში ჩნდება (III ს.) [8, გვ. 191].

მცხეთაშივე აღმოჩენილ ახალგაზრდა წარჩინებული ქალის სამარხში (ორფერდასახურავიანი აკლდამა №25), სხვა მდიდრულ ნივთებთან ერთად, აღმოჩნდა გიშრის მასიური სახსრიანი სამაჯური, რომელსაც ამკობს ოქროს ფურცლისაგან დამზადებული დატიხრული ხუთი სარტყელი. სარტყელში ზის პიროპის 42 თვალი. სამარხი მასში აღმოჩენილ არდაშირ I-ის მონეტის საფუძველზე თარიღდება III ს-ის მეორე ნახევრით და III ს-ის ბოლოთი [95, გვ. 36—37].

მრგვალ ტიხრულ ბუდეებშია ჩასმული ალმანდინები ზღუდერის III ს-ით დათარიღებული სამარხის წყვილ დუგმაზე, რომლებთან ერთად აღმოჩნდა ოქროს თავგადახვეული სამაჯურები, წყვილპორტრეტიანი გემით შემკული მხრებაზიდული ბეჭედი, ვერცხლის პინაკის ფრაგმენტები საკურთხეველთან ტორაწეული ცხენის გამოსახულებით, კარაკალას, კომოდის, ალექსანდრე სევერისა და გოტარზუს მონეტები და სხვ. [92, გვ. 47, ტაბ. VII].

ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთების შესანიშნავი ნიმუშებია აღმოჩენილი არაგვისპირში. III ს-ის ბოლოთი და IV ს-ის დასაწყისით დათარიღებულ ორმოსამარხში (№13) აღმოჩნდა ალმანდინის თვლებით ინკრუსტირებული მედალიონი, რომლის ცენტრშიც გამოსახული ვარდულა ტიხრული მინანქრითაა შესრულებული, და ოქროს აბზინდა — ალმანდინებითა და მინით ინკრუსტირებული ფარაკით. არაგვისპირის სამაროვანზევეა (№9) აღმოჩენილი ალმანდინის ფირფიტებით მთლიანად ინკრუსტირებული (ლეროც და ფარაკიც)

³⁴ თარიღთან დაკავშირებით იხ.: 311, გვ. 213.

ოქროს ბეჭედი და ასევე შემკული ოქროს მრგვალი მედალიონი, რომელსაც უკანა მხარეს შესაბნევი ყუნწი აქვს [278, გვ. 72—73, ტაბ. III: 102, გვ. 12—14].

ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთები დასავლეთ საქართველოდანაცაა ცნობილი. ურეკში (ე. წ. „ურეკის განძი“) აღმოჩენილია სამკუთხა ტიხრებში ჩასმული ალმანდინებით შემკული ექვსკუთხა ბალთები (50 ცალი), რომლებსაც უკან მილაკები აქვს ძაფის გასაყრელად. ისინი, ასევე ექვსკუთხა, ოლონდ აყურული ტიხრებით შემკულ ბალთებთან ერთად ქმნიდნენ ერთ მთლიან გულსაკიდს. ურეკშივეა აღმოჩენილი აბზინდა, რომელიც მთლიანად დაფარულია სხვადასხვა ფორმის ტიხრულ ბუდეებში ჩასმული ალმანდინებით და ასევე შემკული (ნახევარსფერული) ორი ნივთი [7, გვ. 89—125: 308, გვ. 52, 55—56].

უსახელოს ტიხრული ბალთის ფრაგმენტი ზუსტი ანალოგია უნდა იყოს არაგვისპირისა და ურეკის ნივთებისა. ზემოთ აღწერილი ნივთები პოლიქრომიული სტილის ერთ-ერთი ტექნიკის — ტიხრული ინკრუსტაციის ტიპური ნიმუშებია. ამგვარი ტექნიკა უცხო იყო ანტიკური ხანის საბერძნეთისა და რომისათვის. ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთები, თუ მოდა მათზე, გავრცელდა გოთების, ვუნებისა და ალანების მიერ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც შეეხო ე. წ. „ხალხთა დიდი გადასახლება“. ტიხრული ინკრუსტაციით შემკული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნივთები ჩრდილო შავიზღვისპირეთში IV საუკუნიდან ჩნდება [290, გვ. 115—126]³⁵. ვ. ლექვიანაძის აზრით, ამიერკავკასიაში, რომელსაც „ხალხთა დიდი გადასახლება“ არ შეეხებია, ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთები ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი და ისინი IV ს-ის ბოლოთი და V ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს [240, გვ. 202—203]. ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ არაგვისპირის კომპლექსებსა და უსახე-

³⁵ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქერჩის კატაკომბებში (IV—V სს) აღმოჩენილი ოქროს ინკრუსტირებული ნივთები. ტიხრული ინკრუსტაციით შემკული ნივთებისაგან განსხვავებით რამდენიმე ნივთი ცრუგავარსითა და მრგვალი ან მოგრძო თვლებით არის შემკული. ა. სპიცინი აღნიშნავს კიდევაც აღნიშნული სახის ნივთებს განსხვავებული ტექნიკით შესრულებას (290, გვ. 123, სურ. 31). ამ ორი ტექნიკის ერთად არსებობა ყურადღებას იქცევს არმაზისხევის მდიდრულ ნივთებშიც. სადაც ტიხრული ინკრუსტაციით შემკულ ნივთებთან ერთად გვხვდება განსხვავებული მანერით — გავარსით ან ცრუგავარსით, მრგვალი, ოვალური ან მოგრძო-წაწვეტილებული ქვებით შემკული ნივთები [8, ტაბ. I bis, IV, X₁].

ლოში ამგვარი ნივთების აღმოჩენა გულისხმობს მათ გავრცელებას კავკასიონის გადასასვლელით.

ბ ა ლ თ ა - ფ ი ბ უ ლ ა (კატ. № 156, სურ. 29). იგი წაჩოქილი ცხოველის გამოსახულებას წარმოადგენს და ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ცენტრალურ ფიგურას გვაგონებს. ბრინჯაოს ჭვირული ბალთების გავრცელების ძირითად რაიონად კავკასიონის სამხრეთი კალთები (მთიანი რაჭა, ისტორიული არგვეთი, ისტორიული შიდა ქართლი) და თრიალეთი ითვლება [140, გვ. 39]. მცირე რაოდენობით ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც [300, სურ. 276, 277, ტაბ. XX XIV₁₋₄]. მათი წარმომავლობისა და დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამგვარი ბალთები ამიერკავკასიური წარმოშობისაა [140, გვ. 51]. ხოლო რაც შეეხება დათარიღებას, ამჟამად ბალთები ძირითადად გვიანელინისტური ხანითა და გვიანრომაული ხანით თარიღდება [140, გვ. 15—16]. დათარიღების თვალსაზრისით საინტერესოა ქარელის რ-ნის სოფ. სუქანაანთუბანში შესწავლილი ორმოსამარხი, რომელიც ახ. წ. II—III ს-ით თარიღდება. სამარხეული მასალა. გარდა ჭვირული ბალთისა, წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაოს მტევნისებური საკიდები. ორწილადი რკალისებური ფიბულა წიწვოვანი ორნამენტით. „ყურძნის მტევნით“ შემკული საყურე რგოლები, მძივები [93, გვ. 30, ტაბ. I]. ქ. ჯავახიშვილის აზრით, ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ძვ. წ. I საუკუნის ბოლო ხანაზე ადრეული არ უნდა იყოს და ძირითადად გავრცელებული ჩანს ახ. წ. პირველ საუკუნეებში. მის მიერ შესწავლილი ზახორის (ლენინგორის რ-ნი) კომპლექსი, რომელშიც ჭვირული ბალთაც არის, ახ. წ. III ს-ით თარიღდება [145, გვ. 75]. ამ კომპლექსებშიც, სუქანაანთუბნის მსგავსად, ერთად არის ორწილადი რკალისებური ფიბულა და ჭვირული ბალთა (საერთოდ, ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხებისათვის დამახასიათებელია ჭვირული ბალთებისა და რკალისებური ფიბულების ერთად აღმოჩენა: ზემოთ დასახელებულის გარდა — სოხთა მონასტერი [287, ტაბ. XCVI, XCIX]).

ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სტილიზებული ფიგურისაგან ჩვენი ფიბულის ფიგურა განსხვავდება უფრო რეალისტური გამოსახვით.

უსახელოს ფიბულის ანალოგიად მიგვაჩნია სოფ. წიფრანისძირში (არაგვის ხეობა) გათხრილი სამარხებიდან (სამარხი № 20) მოპოვებული ფიბულა, რომელიც წარმოადგენს ჯიხვის გამოსახულებას. ფეხებზე და დრუენჩზე შებმული ჯაჭვებით. სამარხეული ინვენტარის მიხედვით,

რომელიც წარმოდგენილი იყო კერამიკით, ბრინჯაოს ორწილადი ფიბულებით, ბრინჯაოს მრგვალი აბზინდებითა და მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მძივებით, სამარხი თარიღდება III—IV სს-ით [280, გვ. 51. ტაბ. XCV₆], ვფიქრობთ, უსახელოს ფიბულა-ბალთაც ასევე უნდა დათარიღდეს.

ბუდეაბშული ჩახრილი მშვილდსაკინძის მშვილდის ფრაგმენტი (კატ. № 157, სურ. 29), ა. ამბროზი ამგვარ ფიბულებს IV ს-ით და ნაწილობრივ VI ს-ით ათარიღებს, ხოლო აფხაზეთის ფიბულებს V ს-ის პირველი ნახევრით [158, გვ. 57]. აბგიძრახეს ნეკროპოლზე ამგვარი ფიბულები ცნობილია III ს-ის ბოლოთი და IV ს-ის I ნახევრით დათარიღებული სამარხებიდან [198, გვ. 182—183, ტაბ. XXI₈, XXIII₁₂, XXVII₃, XXX_{8, 9}, LII₃]. დასავლეთ საქართველოში მუხლჩახრილი ფიბულები აღმოჩენილია წებელდის ტიპის სამაროვნებზეც [180, გვ. 42], ცნობილია მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე, № 5 ორმოსამარხში ქვებითა და მძივებით თავშემკულ რვა ქინძისთავთან ერთად. ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე, სამაროვანი IV საუკუნითაა დათარიღებული [89, გვ. 46—47, გვ. 67, ტაბ. XVII₇]. აღმოსავლეთ საქართველოში მუხლჩახრილი ფიბულები ცნობილია სამთავროს ქვევრსამარხებიდან, მატარზისხევიდან, სტარ-ფაზიდან [15, გვ. 12—13], ურბნისიდან [137, გვ. 84, სურ. 36₆].

ამგვარი ფიბულები აღმოჩენილია ჩრდილო კავკასიასა და მინგეჩაურში [300, ტაბ. IV_{4, 5}, XXXI₉; 145, ტაბ. 20₉; 177, გვ. 130, სურ. 59₄].

აბზინდები (კატ. № 158, სურ. 29). უსახელოს ერთ მრგვალ და ორ ოვალურჩარჩოიან აბზინდას ენა დაგრძელებული აქვს, დანაოჩენი აბზინდები კი მხოლოდ სათასმე ჩარჩოებითაა წარმოდგენილი. უსახელოს აბზინდებს დამათარიღებელი ერთი თავისებურებაც აქვს — ჩარჩოს წინა ნაწილი მნიშვნელოვნად შემსხვილებულია. ა. ამბროზის მიხედვით, ეს თავისებურება IV ს-ში იჩენს თავს (ყირიმი, აფხაზეთი და სხვ). [159, გვ. 102, ტაბ. I₂₀].

სათასმე ნაწილები (კატ. № 159, სურ. 29). ამგვარი სათასმე ნაწილები თუ ცხენის მოსართავეები ცნობილია არმაზისხევის „პიტიახშთა“ სამაროვნის № 1 სამარხიდან, რომელიც ახ. წ. II ს-ის შუა ხანებით ან პირველი ნახევრით თარიღდება [8, გვ. 29—30, 40, სურ. 1—5]. ანალოგიური, ოღონდ ვერცხლისა ცნობილია არმაზისხევის XXV უბნის № 13 და № 62 სამარხებიდან, დიღმიდან („წარჩინებული მეომრის სამარხი“) [10, გვ. 38, ტაბ. XXV_{26, 7, 21, 22}].

დასავლეთ საქართველოში ასეთი ნივთები აღმოჩენილია ურეკში [308, გვ. 66, ტაბ. XVII].

ჩრდილო კავკასიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში სათასმე ნაწილები ცნობილია ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხებიდან [151, სურ. 8—14; 237, გვ. 16, სურ. 4; 164, გვ. 99, ტაბ. 10₁₀].

საკიდი (კატ. № 160, სურ. 29). რომელიც ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს, ერთია. ამგვარი საკიდები აღმოჩენილია ცხეთაში [იხ.: ცხეთა, გვ. 56]. ზოგიშში. ცაგერში, ნაკურალეშში — სულ 5 ცალი.

ზარაკები (კატ. № 161, 162, სურ. 29). უსახელოდან 6 ცალი გვერდებზე ჩაჭრილი და სამკუთხა ფანჯრიანი ზარაკია ცნობილი. ანალოგიური ზარაკები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხეთაშიც არის ნაპოვნი [იხ.: ცხეთა, გვ. 54].

ნახევარსფეროსებური ბრინჯაოს ზარაკი (ენა აკლია). რომლის მსგავსი აღმოჩენილია სუქანანთუბნის II—III სს-ით დათარიღებულ სამარხში (93, ტაბ. I₁₁) (კატ. № 161; სურ. 29).

როგორც ვხედავთ, უსახელოს მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის მომცველია (ძვ. წ. IV — ახ. წ. IV სს.). მაგრამ მისი მოპოვების შემთხვევითი ხასიათის გამო არ ვიცით დამარხვის რა წესია გამოყენებული უსახელოს სამაროვანზე. საფიქრებელია, რომ მიცვალებულებს ორმოსამარხებში კრძალავდნენ, მსგავსად ცხეთის სამაროვნისა, რომელიც იმავე ხეობაშია, და რომლის ინვენტარი იდენტურია და ე. ი. თანადროულია უსახელოს მასალის გარკვეული ნაწილისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უსახელოს სამაროვანი მთლიანად არ უნდა იყოს „ნაწვალები“ და, ამდენად, მისი შესწავლა საშურს საქმედ მიგვაჩნია.

ტვიში.

სოფელი მდინარე რიონის ხეობაშია. ნივთები, რომლებიც ტვიშიდან არის შესული ცმმ-ში, თავისი ხასიათით სამარხეული ჩანს. ესენია: მძივსამკაული, ბეჭედი, ზარაკი ბალთები, საკიდი — „ირემი“, დოქი.

ცმმ-ში 12 ცალი მძივია სოფელ ტვიშიდან შემოსული (კატ. № 166, სურ. 31).

სარდიონის სფერული მძივები, როგორც ზემოთაც გვქონდა აღვნიშნული, ადრეული ხანიდანვე გავრცელებული სამკაულია.

პარალელებიპედის ფორმის ქალცედონის მძივები ახ. წ. პირველი

საუკუშეებისათვის არის დამახასიათებელი [156, გვ. 11, 12—13, ტიპი 7, 21, ტაბ. 37₁₉, 20].

გაუმკვირვალე ერთფერი მინის მძივები წარმოდგენილია: მსხლისებური ფორმის მძივებით, რომელთა მსგავსიც გავრცელებულია როგორც ელინისტურ, ასევე რომაულ ხანაში: მომწვანო, სფერული, დაბალი და წვრილი მძივებით [ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ახ. წ. I—IV სს-ის კომპლექსებიდანაა ცნობილი — იხ.: 155, გვ. 64, ტიპი 9, ტაბ. 33_ა]; შავი, ერთი სფერული და ორი წაგრძელებული მძივით; თითისტარის ფორმის ცისფერი მძივით, რომლის მსგავსიც ჩრდილო შავიზღვისპირეთში ცნობილია ელინისტური ხანის კომპლექსებიდან და ახ. წ. I—III სს-ში [155, გვ. 66, ტიპი 50, ტაბ. 33_ა].

გულისებური ფორმის, ბრტყელი, გამკვირვალე თაფლისფერი მძივსაკიდის მსგავსი საკიდი ცნობილია ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებიდან [207, გვ. 327, სურ. 10]. ფიჭვნარის ელინისტური ხანის ორმოსამარხებიდან [58, გვ. 46, ტაბ. XXII_ა, 45, გვ. 79, ტაბ. XXV, XXVI], ზენობანის ქვევრსამარხიდან [41, გვ. 80, ტაბ. X₁], ზემოფარცხიდან [178, გვ. 21].

ერთფერი მინის გამკვირვალე მძივებთან უნდა განვიხილოთ ბეჭდის მინის თვალი (კატ. № 166, სურ. 31), რომელიც ლურჯია, ოვალური და ოდნავ ამობურცული, ფორმის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოვალურფარაკიანი ბეჭდისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ამ ფორმის თვალბუდიანი ბეჭდები გვიანანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი [8, სურ. 125, 126].

ოქროფენილი მძივები მხოლოდ ერთი სახეობით — ერთმანეთზე გადაბმული სამი სფერული მძივით არის წარმოდგენილი. მსგავსი მძივები რომაული ხანისათვის ყოფილა დამახასიათებელი [155, გვ. 29—30, ტიპი 1_ბ, ტაბ. 26₁₋₂].

პოლიქრომიული, პარალელებიპედის ფორმის, მომწვანო, ყვითელი განივი ზოლებით მძივი, რომელსაც გვერდებზე ჩასმული აქვს რიზეტი (კატ. № 166, სურ. 31). ამ ტიპის მძივები (პლაკეტები) შესრულებულია მოზაიკური ტექნიკით, რომელიც ძველი ეგვიპტიდან (I ათასწლეულის დასაწყისი) მომდინარეობს. მინის წარმოებაში ამ საიუველირო ტექნიკის აყვავება ახ. წ. I ს-ზე მოდის და ალექსანდრიის საბელოსნოებს მიეწერება. ახ. წ. II ს-ის ბოლოდან პოპულარული ხდება ორნამენტი. სადაც ყვითელი ხაზები გარს ეხვევა რთულ ღერძას. რომლის კრილიც ქმნის ორ თვალას (როზეტს) [156, გვ. 35—37]. ტვიშის მძივსაკიდი სწორედ ამ ტიპს (ხაზოვან-როზეტული ორნამენტი)

განეკუთვნება. მისი ზუსტი ანალოგია პანტიკაპეონის ძვ. წ. I — ახ. წ. III ს-ით დათარიღებული თალოვანი აკლდამის მძივსაკიდები [156, გვ. 44, ტიპი 505, ტაბ. 49₃₁].

ბეჭედი (კატ. № 167, სურ. 31), რომელიც აღმოჩენილია სოფ. ტვიშში, რომაულ სამყაროში გავრცელებულ ე. წ. პორიზონტულმხრე-ბიანი ბეჭდების სახეობას განეკუთვნება. ამგვარი ბეჭდები კარგად დათარიღდება ახ. წ. III საუკუნით [53, გვ. 133—134, ტაბ. 5: 319, № 219, 431, 433, 1254—1277]. ჩვენში ამგვარი ბეჭდები, რომელთაც თვალბუდე დარჩილული აქვთ რკალის ბოლოებზე ან სათანადო სიბრტყეზე, III ს-ის მეორე ნახევრიდან ვრცელდება [8, გვ. 48—49, 191, ტაბ. II, I]. ასეთი ფორმის, ოლონდ ოქროს ბეჭედი, აღმოჩენილია არმაზისხევის № 3 სამარხში (ბერსუმა პიტიახშის სამარხი), რომელიც ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [8, გვ. 48—49, ტაბ. II:].

ტვიშის ბეჭდის ზუსტ ანალოგიად მიგვაჩნია სამთავროს I—III სს-ით დათარიღებულ № 164 თიხის ფილასამარხში აღმოჩენილი ბეჭედი დრაკონის რელიეფურგამოსახულებიან მინის სანელსაცხებლესთან, ოთხკუთხატიანი მინის ბოთლთან, ავგუსტუსის დენარებთან და არტაბან II-ის დრაქმებთან ერთად [10, გვ. 128—129, სურ. 551, 552, 553]. ამგვარი ბეჭდები ცნობილია ზღუდერიდანაც [70, გვ. 129: 145, გვ. 143].

ზარაკი. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სოფ. ტვიშიდან შესულია ერთი მოზრდილი ზარაკი (კატ. № 168, სურ. 31), რომელიც საკმაოდ ნაკლები და დეფორმირებულია, როგორც აღნიშნული გვექონდა [იხ. ცხეთა, გვ. 54] დიდი ზომის ზარები ამიერკავკასიაში ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან ვრცელდება (კარმირ-ბლური). დიდი ზომის ზარები ქვემო ქართლში ძვ. წ. V საუკუნეშიც არსებობს [39, გვ. 109]. ამგვარი ზარები აღმოჩენილია გუადიხუსა [273, გვ. 74, ტაბ. IV₆] და წითელი შუქურას სამაროვნებზე [297, გვ. 205, ტაბ. XXII].

ბრინჯაოს საკიდი, რომელიც ირმის გამოსახულებას წარმოადგენს (კატ. № 169, სურ. 31), ირმის მცირე სკულპტურული გამოსახულებები ცენტრალური კავკასიის სამარხეული კომპლექსებისათვის ადრიდანვე არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით დამახასიათებელი ყოფილა ქალთა სამარხებისათვის თლიდან. ირმის გამოსახულებებს ან მაღალი განტოტებული რქები აქვს, ან დაბალი, ზურგზე კი ყუნწი. თლის ანალოგიური ირმის ფიგურები არის ყობანის მასალებში და ცენტრალური კავკასიის სხვა სინქრონულ ძეგლებში [294, გვ. 171—

172; 300, გვ. 66—67. ტაბ. IX_{4, 5}, XXXV_{10, 11}, XXXVIII_{2, 3}]. ირმის ფიგურები არის ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის მასალებშიც, კერძოდ, სამთავროში [57, გვ. 91, სურ. 305, 306; 12, გვ. 206, სურ. 1580, 1581; I, ტაბ. 111]. ირმის ქანდაკებები ცნობილია დას. საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდანაც (ბრილი, აფხაზეთი) [32, გვ. 138]. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ირმის ქანდაკებები თითქმის მთელ ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ვრცელდება [238, გვ. 165—166; 199, გვ. 167]. ირმის ქანდაკებები ცნობილია შემდგომი პერიოდის ძეგლებიდანაც — ვანთიადის ძვ. წ. VIII—VII სს-ის სამაროვანზე, № 61 სამარხში აღმოჩნდა კონუსურთავიან ქინძისთავებთან და სუბმიკენური ტიპის ფიბულებთან ერთად და სხვ. [222, გვ. 29—30, ტაბ. XXX]. ტვიშის ირმის გამოსახულებიანი საკიდი მსგავსია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და ახ. წ. პირველ საუკუნეებში გავრცელებული ირმის ქანდაკებებისა.

კარსნისხევის I—II სს-ით დათარიღებულ სამაროვანზე ორი ამგვარი ირმის ქანდაკება აღმოჩნდა. ქანდაკებები აღმოჩნდა № 27 კრამიტყუთში ქილისებური ფორმის მოცისფრო მინის სანელსაცხებლებთან, მხრებგანიერ რკინის ბეჭდებთან, ყურძნის მტევნით შემკულ ოქროს რგოლებთან და ავეუსტუსისა და გოტარზეს მონეტებთან ერთად [10, გვ. 48—51, სურ. 263]. მოგვთაკარს I—III სს-ით დათარიღებულ სამაროვანზე, № 6 კრამიტსამარხში აღმოჩენილი ირმის გამოსახულებიანი საკიდი ტვიშის საკიდის ზუსტი ანალოგია უნდა იყოს. სამარხში აგრეთვე აღმოჩნდა მინის სანელსაცხებლე, ოქროს სამწილადი საყურეები ძოწის თვალით, რკინისა და ქალცედონის ბეჭდები. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მძივსამკაული და სხვ. [110, გვ. 121—124, სურ. 672, 681]. სოფ. მონასტერის სამაროვანზე (სამხ. ოსეთი), რომელიც I—III სს-ით თარიღდება, აღმოჩენილ ირმის გამოსახულებიან საკიდს რქები უფრო დატოტვილი აქვს [188, ტაბ. C9].

ირმის გამოსახულებიანი საკიდი ცნობილია სოფ. საირხედან (საჩხერის რ-ნი), სადაც მეწყერის მიერ ჩამოტანილ მიწაში შემთხვევით აღმოჩნდა ორი ქანდაკება [126, გვ. 119]. მსგავსი ირმის ქანდაკება, ასევე შემთხვევით, ნაპოვნია საირხის ნაქალაქარზეც, ვეშაპის გორაზე [89, გვ. 112, ტაბ. XXXI₃]. საირხის ირმის ქანდაკების ანალოგიად მიჩნეულია მანგლისის კომპლექსში აღმოჩენილი ირმის ქანდაკება, რომელსაც ბ. კუფტინი ძვ. წ. I ს-ით ათარიღებს [228, გვ.

26, სურ. 30₃). ამ ქანდაკებების ანალოგიური უნდა იყოს 1936 წელს შოშეთში გათხრილი ქვაყუთის ტიპის №1 სამარხის ირმის ქანდაკება, რომელიც ჭვირულ ბალთასთან ერთად არის აღმოჩენილი [34]. მანგლისის კომპლექსზე საუბრისას ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ასეთივე ფიგურები არის სოფ. ყონეთის განძში (ოსეთი), რომელსაც თან ახლავს იმპერატორ ადრიანეს მონეტა. ასეთივე ფიგურები არის ბორში და რუტხაში [228, გვ. 26, სურ. 30₃, 4].

ბ ა ლ თ ე ბ ი (?). არასწორი ნახევარწრისებური ბალთის (კატ. № 170, სურ. 31) მსგავსი აღმოჩენილია სოფ. ლიაში, № 3 სამარხში. სამაროვანი ახ. წ. პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული [135, გვ. 69].

ლ უ ზ ი ს ე ბ უ რ ი შ ვ ე რ ი ლ ე ბ ი ა ნ ი ო რ წ ი ლ ა დ ი ბ ა ლ თ ის (კატ. № 171, სურ. 31) ანალოგია ვერ მოვიძიეთ. მაგრამ იგი ფორმით ძალიან გავს (ლუზისებური ფარაკით) კლდეეთის მინანქრიანი ბალთის ლუზისებურ შვერილებს [67, ტაბ. III].

დ ო ქ ი (კატ. № 172, სურ. 31) შეწყვილებულყურებიანია. შეწყვილებულყურებიანი დოქები კოლხეთში ადრეელინისტური ხანიდან ჩნდება და ძვ. წ. I ს-შიც არსებობს [78, გვ. 58]. ასეთი ყურები ბერძნული ფორმის მინაბაძებად ითვლება. მსგავსი ყურების მქონე დოქები ცნობილია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან [58, გვ. 34, ტაბ. XIV₃, XVII₄; 45, ტაბ. XXII₁, XXV₁], ზენობანიდან (4 i, გვ. 79), ვანიდან [78, გვ. 57], დაფნარიდან [224, გვ. 48, ტაბ. XXXII₁], დაბლაგომიდან [236, გვ. 64]. მაგრამ ზემოთ დასახელებული ნიმუშები, რომლებსაც ბერძნულ სამყაროს უკავშირებენ, ფორმის დახვეწილობით გამოირჩევიან, რასაც ვერ ვიტყვიტ ჩვენ დოქზე.

ც ა გ ე რ ი. ცაგერი რაიონული ცენტრია. მდებარეობს მდ. ცხენისწყლის ხეობაში.

მ ო ნ ე ტ ე ბ ი. 1. ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბაძი, რომელიც ცაგერშია აღმოჩენილი, ჯერჯერობით ერთადერთია ლეჩხუმიდან (იხ.: კატ. № 173, სურ. 32).

ლისიმაქეს სტატერის მინაბაძები უფრო მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოში, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები. არსებული სტატისტიკის მიხედვით, დასავლეთ საქართველოდან ცნობილია 19 ერთეული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოდან — 8 ერთეული [198, გვ. 87—91]. ფიქრობენ, რომ საქართველოში აღმოჩენილი ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი მოჭრილია ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს. ამ ტიპის მონეტების ბოლო პროდუქციას ძვ. წ. I საუკუნის ბოლო მეოთხედს აკუთვნებენ [198, გვ. 73—75].

სიმცირის მიუხედავად. ლისიმაქეს სტატერის მინაბადები დამღებისა და იკონოგრაფიის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ლისიმაქეს სტატერის მინაბადი იკონოგრაფიული სქემით უახლოვდება გ. დუნდუას ნაშრომის პონეტების კატალოგის № 59 (უბასპორტო) და № 62 (თბილისი) მონეტებს. იდენტურია წონითაც და ზომითაც. ეს მონეტები დათარიღებულია ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებით. ვსარგებლობთ აღნიშნულით და ლეჩხუმის მონეტასაც ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებს ვაკუთვნებთ.

2. ცაგერში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბადი (კატ. № 174, სურ. 32) ისეთივეა. როგორც ცხეთის მონეტები და თარიღდება ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრით [იხ.: გვ. 57].

ბრინჯაოს ფრინველის გამოსახულებიანი საკრდი (კატ. № 175, სურ. 32) ანალოგიურია ცხეთაში აღმოჩენილისა [იხ.: გვ. 56].

ზარაგულა. სოფ. ზარაგულა მდებარეობს მდ. ნამკაშურის (მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ცაგერიდან 5 კმ.

„ზარაგულას განძში“ სამი კოლხური თეთრია (კატ. № 176—178, სურ. 32). ერთი მათგანი კარგად არის შენახული: ავერსზე იკითხება წერტილოვან ჩარჩოში ჩასმული ადამიანის გამოსახულება; რევერსზე კი — ხაზოვან ჩარჩოში ჩასმული ხარის გამოსახულება. მეორე მონეტა შედარებით ცუდად არის დაცული, მაგრამ ავერსზე გამოსახულება წრიული ხაზოვანი ჩარჩოშია. მესამე მონეტა იმდენად გაცვეთილია, რომ მასზე არაფერი იკითხება. ე. ი. აქ გვაქვს შედარებით ადრეული და შედარებით გვიანი (ჩარჩოს მიხედვით) მონეტების თანხვედრა და „განძი“ შეიძლება დავათარიღოთ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი.

ზუბი. სოფ. ზუბი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის ხეობაში (იხ.: 48, გვ. 63), ცაგერიდან 14 კმ.

ბრინჯაოს სამაჯური, რომელსაც თავები და შუაწელი შემკული აქვს ღარებიანი პრიზმული წანაზარდებით (კატ. № 179, სურ. 33).

ამგვარ სამაჯურებს ბ. კუფტინი დრაკონებიანი სამაჯურების სტილიზაციად მიიჩნევდა [236, გვ. 43]. ამ ტიპის სამაჯურები ფართოდ იყო გავრცელებული როგორც შიდა კოლხეთში, ასევე ზღვისპირა ზოლში და სხვა სახის სამაჯურებთან ერთად საკმაო ხანს იყო ხმარებაში [51, გვ. 12—13]. დაბლაგომის ქვევრსამარხებში პრიზმულწანაზარდებიანი სამაჯურები აღმოჩენილია კოლხურ თეთრთან ერთად. ეს კომპლექსები (დგ I, № 25; დგ I, № 27) ძვ. წ. IV—III სს-ით არის დათარიღებული [236, გვ. 32, ტაბ. 10₂, 14; 51, გვ. 15, ტაბ. III]. ამ

ტიპის სამაჯურები აღმოჩენილია დაფნარის ძვ. წ. IV—III სს-ით დათარიღებულ ქვევრსამარხებშიც კოლხურ თეთრთან ერთად [224, გვ. 52—53]³⁶. პრიზმულწანაზარდებიანი სამაჯურები ცნობილია ვანიდან [307, ტაბ. XIII₂]. სოხუმიდან ამგვარი სამაჯურები ცნობილია გუადიხუს უმცროსი ჯგუფის ორი სამარხიდან, რომლებსაც მ. ტრაპში ძვ. წ. V ს-ის ბოლოთი — IV ს-ის დასაწყისით და ძვ. წ. IV ს-ით ათარიღებდა [297, გვ. 247—251, ტაბ. XXXIV_გ, გვ. 259—262, ტაბ. XXXIV_დ]³⁷. აღნიშნული ტიპის სამაჯურები ცნობილია ზემოფარცხმის ადრეული ქვევრსამარხებიდან (43, გვ. 89, ტაბ. XIX_{გ,დ}, XXI_{4,5,6}), ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან [45, გვ. 79, ტაბ. V₂ VI₅, VII₆].

აღვი. სოფ. აღვი მდებარეობს ცაგერის სამხრეთით, შუა ლეჩხუმში (იხ.: 48, გვ. 81).

პოლიქრომიული მინის მძივი (კატ. № 180, სურ. 33). სოფელ აღვში აღმოჩენილია ბუმბულისებური ანუ ფესტონური ორნამენტით შემკული რუხი ფერის მძივი. „ბუმბულები“ ყვითელი ფერისაა. ამგვარი მძივი აღმოჩენილია ცხეთის სამაროვნის № 4 სამარხში [იხ.: გვ. 23].

ლაჯანა. სოფ. ლაჯანა მდებარეობს მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირზე.

სარდიონის სფერული მძივები (კატ. № 181, სურ. 33). როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული [იხ.: გვ. 18]. ამგვარი მძივები დამახასიათებელია როგორც ადრეული ხანისათვის, ასევე მთელი ანტიკური ეპოქისათვისაც.

ზოგიში. სოფ. ზოგიში მდებარეობს მდ. რიონის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირზე.

ფრინველის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდი (კატ. № 182, სურ. 33) ანალოგიურია ცაგერში აღმოჩენილი საკიდისა [იხ.: გვ. 88].

ნაკურალეში. სოფ. ნაკურალეში მდებარეობს მდ. რიონის ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს [იხ.: 48, გვ. 72].

საკიდი — ბრინჯაოს ფრინველი (კატ. № 183, სურ. 33) ანალოგიურია ცაგერსა და ზოგიში აღმოჩენილი საკიდებისა.

დღნორისა. სოფ. დღნორისა მდებარეობს მდ. რიონის ხეობაში, მის მარცხენა მხარეს.

³⁶ დათარიღების გამო შეადარეთ: 51, გვ. 21—22.

³⁷ აგრეთვე იხ. 224, გვ. 53 და 60, გვ. 70.

„დღნორისას განძი“ (კატ. № 184 [136, გვ. 140, 142]³⁸ 80 ერთეულ კოლხურ თეთრს შეიცავს. აქედან მხოლოდ ორი მონეტაა ხაზოვან ჩარჩოში ჩასმული. ე. ი. ეს განძი შეიძლება დაეთარილოთ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი.

შასალა, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია

მონეტები: 1. სსმ-ში დაცულია კოლხური თეთრს კოლექცია (310 ცალი კოლხური თეთრი) ლეჩხუმიდან, ე. წ. ლეჩხუმის განძი (კატ. № 185). რადგან ამ განძში ლეჩხუმში აღმოჩენილი კოლხურა თეთრის ყველაზე დიდი რაოდენობაა დაცული, ამიტომ რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე.

ე. წ. „კოლხური თეთრის“ გავრცელებას ძვ. წ. VI საუკუნიდან ვარაუდობენ და სადღეისოდ ცნობილ მონეტებში რვა სამონეტო ტიპს გამოყოფენ [დაწვრ. იხ.: 198].

კოლხური თეთრის ტოპოგრაფია გვიჩვენებს, რომ მისი გავრცელება ემთხვევა კოლხური ბრინჯაოსა და ე. წ. „წინარეანტიკური ხანის“ კულტურის ძეგლების გავრცელებას, რასაც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა აქვს ნუმისმატიკური კვლევისათვის. ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს კოლხური თეთრის აღმოჩენასა კონცენტრაციას მდ. რიონის (ფაზისის) აუზში. ამ ფაქტზე და აგრეთვე სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მდ. ფაზისი უნდა ყოფილიყო ქვეყნის მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალი და რომ კოლხური თეთრი იჭრებოდა ქვეყნის შიდა ბაზრის სასაქონლო წარმოებისათვის, შიდა კოლხური ვაჭრობისათვის [248, გვ. 178].

მიუხედავად მრავალი საინტერესო მოსაზრებისა, საკითხი თუ ვის მიერ იჭრებოდა კოლხური თეთრი — სამეფო ხელისუფლებისა თუ ბერძნული ქალაქის მიერ—ჯერჯერობით გადაჭრილი არ არის. მაკრამ არსებითი მაინც ალბათ ის არის, რომ იგი იჭრებოდა შიდაკოლხური აუცილებლობით და, მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიკური დონე კოლხეთისა ამისათვის მზად იყო. მხედველობაში გვაქვს წინარეანტიკური ხანის მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა,

³⁸ აღნიშნული სტატიის მიხედვით, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში სოფ. დღნორისაიდან 180 ცალი კოლხური თეთრი შესულა. ამჟამად „დღნორისას განძი“ მხოლოდ 80 ერთეულითაა წარმოდგენილი.

რომლისთვისაც საცვლელი ღირებულების ეკვივალენტად ლითონის ნივთების მიჩნევა ექვს არ უნდა იწვევდეს.

უდავოა, რომ კოლხური თეთრი იყო ერთ-ერთი რგოლი ბერძნულ-კოლხური საერთაშორისო ვაჭრობისა.

ლექსუმში დადასტურებული კოლხური თეთრი ნახევარდრაქმების ანუ ტრიობოლების II ტიპს განეკუთვნება, რომლის ავერსისათვის დამახასიათებელია ადამიანის თავის პროფილის გამოსახულება, ჩასმული წერტილოვან ან ხაზოვან ჩარჩოში, ხოლო რევერსისათვის — ხაზოვან ჩარჩოში ჩასმული ხარის თავის გამოსახულება პროფილში.

II ტიპის კოლხური ტრიობოლები ყველაზე გავრცელებული ტიპია დასავლეთ საქართველოში. იგი აღმოჩენილია ათასობით (5000 ცალი) [198. გვ. 15—16: 218, გვ. 30]. მიღებულია კოლხური ტრიობოლების II ტიპის დათარიღება ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებით და შემდგომი პერიოდით. ფიქრობენ, რომ წერტილოვან ჩარჩოში ჩასმულ გამოსახულებიანი ტრიობოლები უფრო ადრეულია, ვიდრე ხაზოვან ჩარჩოიანი [198. გვ. 16].

ტრიობოლების უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია. მხოლოდ უმცირესობაზეა დადასტურებული შვიდი სხვადასხვა ბერძნული ასო-ნიშანი, რომლებიც კოლხური ტრიობოლების გენეტიკური კვლევის ერთ-ერთი საფუძველია. ფიქრობენ, რომ ასოებით აღინიშნებოდა ზარაფხანების ან მაგისტრატების [198. გვ. 26: 175. გვ. 99] სახელები. ნუმისმატიკური კვლევისა და არქეოლოგიურ კომპლექსთა თარიღის შეჯერების საფუძველზე დადგინდა, რომ ასო-ნიშნებიანი ტრიობოლები უფრო გვიანდელია და თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი და ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით [198. გვ. 22].

„ლექსუმის განძში“ ქრონოლოგიურად განსხვავებული (ჩარჩოს მიხედვით) მონეტების თანხვედრა გვაქვს. განძი 310 ერთეულს შეიცავს. 242 შემთხვევაში გამოსახულება ავერსზე წერტილოვან ჩარჩოშია ჩასმული, 53 შემთხვევაში — ხაზოვან ჩარჩოში, 15 შემთხვევაში ამ ნიშნის დადგენა არ მოხერხდა მონეტების ცუდი დაცულობის გამო. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება—განძში არის მონეტა (№ 6355. კატ. № 183. სურ. 34), რომლის ავერსზე ადამიანის თავის უკან გამოსახულია O-ს მსგავსი ნიშანი. თუ ეს ასო-ნიშანია, მაშინ „ლექსუმის განძი“ უნდა დათარიღდეს ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი და შესაძლებელია ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით [198. გვ. 16, 22].

„ლექსუმის განძში“ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი — მონეტებზე გამოსახულებების დატანის განსხვავებული პატარა დეტა-

ლებს მიხედვით. მაგალითად, მონეტების ნაწილზე ადამიანის თავის გამოსახულება კისერთან გადაკვეთილია ჰორიზონტული ხაზით, ზოგ მონეტაზე თმები მეტად აქვს დაგრძელებული, ან გამოსახულება მეტნაკლები სიდიდისაა და სხვა. მაგრამ ეს განსხვავებული დეტალები ჯერჯერობით არ იძლევა რაიმე დასკვნის საფუძველს ტიპოლოგიური თვალსაზრისით (შეიძლება ეს მცირე განსხვავებები მრავალი შტამპის არსებობაზე მიუთითებდეს?).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეჩუმში დადასტურებული არცთუ ისე ცოტა კოლხური თეთრი ნახევარდრაქმების II ტიპს განეკუთვნება. მსგავსი მონეტები დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია ფოთის მიდამოებიდან, ქობულეთ-ფიჭვნარში, ერგეტაში, დაფნარში, ვანში, დაბლაგომში, კოლხეთის გარდა ისინი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ნიმფეა), შუა აზიაში [198, გვ. 167, შენ. 9: 284, გვ. 238].

ისევე როგორც გენეზისი კოლხური თეთრისა, ასევე სემანტიკაც მასზე დატანილი გამოსახულებებისა ჯერჯერობით კვლავ სადისკუსიოა. არ შეიძლება არ აღინიშნოს საინტერესო ცდა, რომ იკონოგრაფიულ ცვლაში დაინახონ სტადიალურობა რწმენა-წარმოდგენებისა, რომელიც ერთიდაიგივე ღვთაებას გამოხატავს. ფიქრობენ, რომ რწმენა-წარმოდგენათა სტადიალურობამ ერთგვარი იკონოგრაფიული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა წარმოქმნა I ტიპის დიდრაქმიდან ნახევარდრაქმებამდე [198, გვ. 31]. ეს გარემოება ექვს არ უნდა იწვევდეს. ექვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოებაც, რომ კოლხური თეთრის იკონოგრაფია სრულიად მიზანდასახულად ერთი შინაარსის მატარებელია და ერთიდაიგივე რელიგიური შემეცნების გამომხატველი. როგორც ჩანს, საკამათო არ არის ის, რომ კოლხური თეთრი ბერძნული ნიმუშით იჭრებოდა და ბერძნული რწმენა-წარმოდგენების გარკვეული გავლენით [231, გვ. 58—60; 248, გვ. 175]. შეიძლება ეს გარემოება მართლაც ადრეულ ნიმუშებზე აისახა [248, გვ. 175]. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ადრეული დრაქმები უფრო „ბერძნული“ იყოს, ხოლო ნახევარდრაქმების II ტიპი უფრო „კოლხური“. შეიძლება სწორედ ამ დაკვირვებას ეხმაურება ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებიდან კოლხური თეთრისა და მასზე გამოსახულების (შუბლი — ადამიანის თავი, ზურგი — ხარის თავი) სტაბილურობაც და საოცარი სიმრავლე.

თუ ვის უნდა გამოსახავდეს იკონოგრაფია კოლხური ნახევარდრაქმების II ტიპისა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს [198, გვ. 30 და

შემდგ]. ყველაზე მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომელიც ტრიობოლების იკონოგრაფიას განიხილავს როგორც კოლხი მიწათმო-მკმედის რელიგიურ შემეცნებას [235, გვ. 253—255; 85, გვ. 60—69]. ამ შემთხვევაში ამოსავალი არის რვეერსზე გამოსახული ხარის თავი. ხარის, როგორც განნაყოფიერებლის, მწარმოებლის და გამწევი ძალის კულტის ფართოდ გავრცელება კი საქართველოში უძველესი პერი-ოდიდან კარგად დასტურდება როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნო-გრაფიული და ფოლკლორული მასალებით [235, გვ. 253—255; 85, გვ. 60—69]. ხარის გამოსახულებით ცდილობენ ავერსის იკონოგრა-ფიის ამოცნობას. ფიქრობენ, რომ ავერსზე გამოსახულია ნაყოფიერე-ბის უზენაესი მბრძანებელი — დედაღვთაება (?).

2. ცმმ-ში დაცული კოლხური თეთრი (კატ. № 186, სურ. 36). რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია, ძვ. წ. IV ს-ის I ნახევრით თა-რიღდება.

3. ალექსანდრე მაკედონელის სტატეროს მინაბაძი (კატ. № 187, სურ. 36) ანალოგიურია ცხეთაში აღმოჩენილისა [იხ.: გვ. 57].

ს ა ყ უ რ ე -ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე ე ბ ი. 1. ბოლოებდაბრტყელებული და ვახვრეტილი ოქროს რგოლი (კატ. № 188, სურ. 37) მურის ციხის ქვევრსამარხის რგოლისაგან განსხვავდება მრგვალგანივკვეთიანი ღე-როთი (იხ. მურის ციხის ქვევრსამარხი, გვ. 59—60).

2. ოქროს საყურე რგოლი (კატ. № 189, სურ. 37), რომელსაც შერჩენილი აქვს მირჩილული საკიდის მცირე ფრაგმენტი. უნდა განეკუთვნებოდეს არმაზისხევის გვიანდელ სამარხებში გავრცე-ლებულ ე. წ. რგოლოვან-ღეროვანი საყურეების სახეობას, რომელთა-თვისაც ყურსაკიდი რგოლი და ზედ მირჩილულ ყუნწში გაყრილი შვეული ღერაკი აქვთ, რომელზედაც ასხმულია მძივები. საყურეების ეს ტიპი კავკასიაში ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან უნდა იყოს გავრ-ცელებული (ი. ტოლსტოის და ნ. კონდაკოვის აზრით). არმაზისხევის მასალის მიხედვით ქართლში ამ ტიპის საყურეები III ს-ის ბოლოდან ჩანს [8, გვ. 201—202]. ამგვარი საყურეები დიდი რაოდენობითაა აღ-მოჩენილი არმაზისხევის სამარხებში [8, სურ. 138], ურბნისში [137, სურ. 34_ა], ვაშლისჯვარის ახ. წ. IV—V საუკუნეების ბანერსახურავიან ქვაყუთებში [96, გვ. 72, ტაბ. XV₁₇], კარსნისხევის სამაროვანზე [99, გვ. 27, ტაბ. II], თელოვანის VI—VII სს-ის ქვაყუთებში [97, გვ. 97—98, ტაბ. XVI₄, XVII]. მსგავსი საყურეები ცნობილია მოდინახეს IV ს-ის სამარხებიდან [89, გვ. 54, სურ. 14; გვ. 61], ნოქალაქევიდან [46, გვ. 109, ტაბ. XXIII], წებელდიდან [180, გვ. 121; 175, გვ. 55, ტაბ.

III₁₆]. ანალოგიური საყურეები ცნობილია სირიიდან [15, გვ. 71; 322, ტაბ. V—№ 2685; 326, ტაბ. XII, გვ. 278—279].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ცრემლისებური ფორმის ოქროს ორი ღრუ მძივი (კატ. № 190, სურ. 37), რადგან ვფიქრობთ, რომ ისინი რგოლოვან-ლეროვანი საყურეების შემადგენელი ნაწილებია მინის მძივებთან ერთად, როგორც არის მოდინახეს გვიან-ანტიკური ხანის სამარხებში (სამარხი № 9, 10). მოდინახეს ღრუ მძივები შემკულია სხვადასხვა სახის სუსტად გამოხატული რელიეფური ორნამენტით [89, გვ. 50—52, 60, სურ. 12, 18].

სამაჯური. თავითავზე გადადებული და გადახვეული, ვერცხლისაა, მასიური და კარგად შენახული (კატ. № 191, სურ. 37). როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამგვარი სამაჯურები არის ცხეთის სამარხებში (№ 1, № 2) და შემთხვევით მონაპოვარში ამავე სოფლიდან. ამ სამაჯურის ზუსტი ანალოგია უნდა იყოს არმაზისხევისა და ბაგინეთის ოქროს მასიური სამაჯურები [8, გვ. 98—99, ტაბ. XXXVII].

კერამიკა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილია ერთი ქოთანით (კატ. № 192, სურ. 37). რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ქოთანი დაბალია, მუცელგამობერილი და პირგადაშლილი. ამგვარი ქოთანი აღმოჩენილია ცხეთის სამაროვნის № 15 სამარხში, რომელიც მინანქრიანი ფიბულის მიხედვით ა. ხ. II—III საუკუნეებით თარიღდება.

ლენხუმში შემთხვევით აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა თავისი ხასიათით სამარხეული ჩანს. მოხმარება-დანისწულეების მიხედვით, მასში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები: სამკაული. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, მონეტები, სამკურნეო და საბრძოლო იარაღი. კერამიკა.

სამკაული წარმოდგენილია როგორც ადრეული, ასევე გვიან-ანტიკური ნივთებით. ადრეულია: საყურე თუ სასაფეთქლე ოქროს რგოლები, რომელთაც ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვთ; ბრინჯაოს ოვალურფარაკიანი ბეჭედი; სამაჯურები — რკინის ბურცობებიანი, ბრინჯაოს პრიზმულწანაზარდებიანი და ოვალურბურცობებიანი, გრავირებულთავეებიანი და ზურგშედრეკილი; მძივების ერთი ნაწილი. გვიანანტიკური ხანისაა შემდეგი ნივთები: ოქროსა და ვერცხლის თავებშემსხვილებული და სწორად ჩამოჭრილი საყურე რგოლები; მტევნისებურსაკიდიანი ვერცხლის საყურე; ოქროს მხრებაზიდული და ვერცხლის ჰორიზონტულმხრებიანი ბეჭდები, აღმანდინებით შემკული ოქროს ტიხრული ბალთის ფრაგმენტი; ოქროს ღრუ

მძივები: ვერცხლისა და ბრინჯაოს თავგადახვეული სამაჯურები: მრავალფეროვანი მძივები.

ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებში ადრეული ნივთები წარმოდგენილია რკალისებურმშვილდიანი ფიბულით, ხოლო გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნება ბრინჯაოს ცხოველსახიანი მასიური ფიბულა, ბუდეაბმული მუხლჩახრილი ფიბულა და აბზინდები.

საკიდები წარმოდგენილია ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი გვერდებშეკრილი და დაფანჯრული მინიატურული ზარაკებით და გვიანანტიკური ხანით დათარიღებული „ფრინველისა“ და „ორმის“ გამოსახულებიანი ფიგურული საკიდებით.

მონეტები რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი: 395 ერთეული კოლხური თეთრი, 5 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი და ერთი ცალი ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი.

ლექსუმში აღმოჩენილი კოლხური თეთრი, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ადრეული მონეტების ჯგუფს განეკუთვნება და ზოგადად ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდა. ხოლო ლისიმაქეს სტატერის მინაბაძები — ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებით.

იარაღი წარმოდგენილია შუბისპირებით, რომლებიც ზოგადად გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას ეკუთვნის; ასევე გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნება სამფრთიანი ისრისწვერები; მოხრილი დანები წარმოდგენილია როგორც ადრეელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი, ასევე გვიანანტიკური ხანის ნიმუშებია.

კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილი (მსხლისებურტანიანი დოქები მურიდან და ცხეთიდან) ტიპოლოგიურად აღმ. საქართველოში ადრეელინისტური ხანიდან გავრცელებული მოხატულ და წითლად შეღებილ დოქებს უნდა უკავშირდებოდეს. ამ ფორმის გავრცელებას დას. საქართველოში კი ძვ. წ. III ს-დან ვარაუდობენ. ამავე ხანისაა შეწყვილებულყურიანი დოქი, ხოლო მომცრო ზომის ქოთანა ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება.

შემთხვევით აღმოჩენილი მასალა გარკვეულწილად ავსებს და აფართოებს ცხეთის სამაროვნის მასალას და საშუალებას იძლევა ანტიკური ხანის ლექსუმის მატერიალური კულტურის უკეთ წარმოჩენისათვის.

დასკვნები

1. როგორც კვლევამ გვიჩვენა, შესწავლილი მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია. იგი მოიცავს დროს ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა კონკრეტული ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა და სამარხების მეტ-ნაკლებად ზუსტი დათარიღება. ცხეთის სამაროვნის სამარხებში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო — ძვ. წ. II—I სს-ის (სამარხები № 6, 12, 13) და ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხები (№ 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, 15).

მურის ციხესთან აღმოჩენილი ქვევრსამარხი დათარიღდა ძვ. წ. IV ს-ის ბოლოთი და III ს-ით. მეტ-ნაკლებად კონკრეტული თარიღები გვაქვს მოცემული შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებისთვისაც. ე. ი. აღნიშნული მასალა ზოგადად ანტიკური ხანის მატერიალურ კულტურას განეკუთვნება.

2. კოლხეთის ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი (ძვ. წ. IV — ახ. წ. IV სს.) დიდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრებითაა დატვირთული. რაც მეტ-ნაკლებად ასახულია კოლხეთის ანტიკური ხანის მატერიალურ კულტურაში, რომლის შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია ჩვენ ამ ხანის ლეჩხუმის არქეოლოგიური მასალები. ქვემოთ ვებუბით იმ საკითხებს, რომელთა წამოწევის საშუალებასაც გვაძლევს მასალა.

უახლეს არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან კოლხეთის მატერიალურ და სულიერ კულტურაში მკვეთრი გარდატეხა ხდება, რომლის საფუძველზეც ორი კულტურული არეალი ისახება—ზღვისპირა ზოლისა და კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილისა [75. გვ. 40—41; 251. გვ. 466]. ინოვაციებს კოლხეთის შიდა რაიონების დაკრძალვის წესში, კერაში, სამშენებლო ხელოვნებაში, ოქრომჭედლობაში, გლიპტიკაში, ონომასტიკონში და სხვა, უკავშირებენ როგორც ელინიზებულ მცირე აზიას, აგრეთვე იბერიის სამეფოს „დიდ ექსპანსიას“ და „ქართიზაციის“ პროცესს [251. გვ. 469].

ინოვაციათა იდენტურობა აღმოსავლეთ საქართველოს და კოლხეთის შიდა რაიონების მატერიალურ კულტურაში, მისი დამთხვევა იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესზე და კომპაქტურობა მაინცდამაინც შემდგომ ქართიზაციაქმნელ ზონაში. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და ერთ ეთნოკულტურულ წყაროზე უნდა მიგვანიშ-

ნებდეს. თუ ეს წყარო მცირე აზიას და ზემოთ აღნიშნულ ინოვაციათა მომტანი აქედან მოსული ერთ-ერთი ქართველური ტომია, მაშინ ალბათ დასადგენი იქნება ეს მაინცდამაინც მესხური ტომებია, თუ სასპერ-სპერ-ჰბერ-იბერები, ან გარკვეული სტადიალურობით ორივე.

მიუხედავად მასალის სიმცირისა (რაც მხოლოდ ამ მხარის არქეოლოგიური შეუსწავლევლობით აიხსნება), ჩანს, რომ ლეჩხუმიც (მასთან რაჭაც) მონაწილეა ზემოთ აღნიშნული ეთნოკულტურული პროცესებისა, რასაც გარკვეულად აპირობებდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ლეჩხუმის მატერიალურ კულტურაში მცირეაზიურ-იბერიული ინოვაციების გამოხატულებაა აქ აღმოჩენილი ქვევრსამარხები და მისი თანაარსებობა ორმოსამარხებთან. იბერიის მსგავსად: კერამიკა — მსხლისებურტანიანი დოქები და ერთი წითლად გამომწვარი სამტუჩა დოქი: ნიშანდობლივია აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბადების აღმოჩენაც, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, იჭრებოდა იბერიაში [251, გვ. 461, შენ. 229]. მცირეაზიურ-ქართველურ ტომებთან კავშირში საინტერესოა ტოპონიმებს — ცხეთა, ნასპერი — არსებობაც ლეჩხუმში.

3. ცნობილია, რომ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან დიდად განაპირობა „დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ“. ამ პროცესს სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა და, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, მას „დამხვედურთა“ სოციალურ-ეკონომიკური დონე განსაზღვრავდა [73, გვ. 44: 250, გვ. 8: 65, გვ. 53—83]. კოლხეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალი დონის გამო ბერძნული კოლონიზაცია აქ კლასიკური გზით ვერ წარიმართა. კოლხეთის ზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული სამოსახლოები საქალაქო ცენტრებთან არსებულ სავაჭრო ფაქტორიების (ემპორიონების) დონეზე დარჩნენ [81, გვ. 400—407: 65, გვ. 41—52: 83, გვ. 181]. სავაჭრო ფაქტორიები იყო ერთ-ერთი გზა კოლხეთის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობისა გარე სამყაროსთან. ამ ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე მეწინაეობა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისა (იონიური, ატიკური) სხვადასხვა იყო. ფიქრობენ, რომ კოლხური თეთრის გავრცელებამ ერთგვარად მოაწესრიგა ადგილობრივი სასაქონლო წარმოება, ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას და ალბათ ადგილობრივ ვაჭართა ფენის გამოყოფასაც³⁹. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ანტიკური ცივილი-

³⁹ 108, გვ. 41.

ზაციის იმპულსაცია ხდებოდა მცირე აზია-იბერიის გზითაც [72. გვ. 55]. უკვე ელინისტური ხანის (ძვ. წ. III—I სს.) კოლხეთი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტიური მონაწილეა. ამ დროს კოლხეთზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის ინდოეთთან დამაკავშირებელი სატრანზიტო-სავაჭრო გზაც [72. გვ. 14, შენ. 173].

როგორც ბერძნულ-რომაული წყაროები, ასევე არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებენ, რომ ანტიკური ხანის სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში კოლხეთის ბართან ერთად მთისა და მთისწინა ზოლის მოსახლეობაც მონაწილეობდა. ამ გარემოებაზე უნდა მიგვანიშნებდეს კოლხური თეთრის დიდი რაოდენობით აღმოჩენა ლეჩხუმში (რაქაშიც) და ასევე ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერების და ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბადების აღმოჩენაც [248, გვ. 195; 217, გვ. 89; 83, გვ. 174; 198, გვ. 85].

გარე სამყაროსაკენ მიმავალი სავაჭრო გზები, როგორც ჩანს, გადიოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაზეც. ეს გზები რომ გაკვალული იყო და უკავშირდებოდა იმ დროის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს კარგად ჩანს იმ ჩრდილოური იმპულსებიდან, რომლებიც განსაკუთრებით იჩენენ თავს კოლხეთის გვიანანტიკური ხანის მატერიალურ ძეგლებში. ლეჩხუმში ამ იმპულსების მაჩვენებელია აქ აღმოჩენილი ფიბულები (ბუდეაბმული, მკვეთრად პროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის, „ავციასა“ მსგავსი პროვინციული და მინანქრიანი ფიბულა), მძივები (ეგვიპტური ფაიანსის ნაწარმი, პოლიქრომიული და ოქროფენილი მინის მძივები, ერთფერი მინის ფიგურული საკიდები და მძივები).

4. ფიქრობენ, რომ ძვ. წ. VI—IV საუკუნეების მთიანი კოლხეთის მოსახლეობა გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდა. იგივე სიტუაციას ადასტურებს სტრაბონი ძვ. წ. I საუკუნეშიც [259, გვ. 281—284; 147, გვ. 136]. რამდენადაც ლეჩხუმში მთისწინა ზოლია და გეოგრაფიულად ახლოს იყო ცივილიზებულ ბართან, სავარაუდოა, რომ აღნიშნული პერიოდისათვის იგი სოციალურ-ეკონომიკურად რამდენადმე უფრო დაწინაურებული იყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები ლეჩხუმს წარმოგვიდგენს როგორც მძლავრ მეტალურგიულ კერას განვითარებული მწარმოებლებით და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებით (ლითონდამუ-

შავება, მეთუნეობა, ხითხურობა და სხვა). ბრინჯაოს განძების, როგორც სოციალური მოვლენის, შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მთისწინა ზოლში აღნიშნულ პერიოდში გვარის რღვევა უკვე დაწყებულია. შესაბამისად დაწყებულია ტომის განმტკიცება და ტომის ბელადის ძალაუფლების ზრდა [108, გვ. 39—41]. ლოგიკურად ეს პროცესი უნდა გაღრმავებულიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მასალები არ იძლევა მყარ საფუძველს მათი სოციალური ატრიბუციისათვის. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი გარემოება: 1. ლეჩხუმშიც, ცხეთისა და უსახელოს სამაროვნებზე დასტურდება ელინისტური ხანის ზოგიერთი სამარხისათვის დამახასიათებელი სიღარიბე და ერთფეროვნება სამარხეული ინვენტარისა. ასეთ სამარხებს კი სრულიად მართებულად უკავშირებენ ერთ სოციალურ კატეგორიას — რიგით. მწარმოებელ მოსახლეობას [51, გვ. 58]. 2. ლეჩხუმში დასტურდება აგრეთვე ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი ტენდენცია იარაღ-საჭურველის, სამეურნეო დანიშნულების ნივთებისა და დიდი ზომის თიხის ჭურჭლის შემცირება-გაქრობისა. მართებულად მიგვაჩნია ამ ტენდენციის ახსნაც იმ დროის სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით. კერძოდ, საკუთრებისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტის შემდგომი განმტკიცებით [51, გვ. 59—60].

წყაროთა ანალიზის საფუძველზე თვლიან, რომ კავკასიის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ტომები IV—V სს. ლაზთა სამეფოს ემორჩილებოდნენ [258, გვ. 339—342]. VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები მენანდრე და პროკოპი კესარიელი ლაზთა მეფის ქვეშევრდომებად სახავენ სვანიას და სკვიმნიასაც [258, გვ. 342]. პროვინცია სკვიმნიას კი. ს. ყაუხჩიშვილისა და სხვათა აზრითაც, ლეჩხუმს უნდა უდრიდეს [127, გვ. 126]. მაგრამ ქართულ წყაროებში, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის მიერ (XI ს.) V საუკუნის ამბების აღწერისას ლეჩხუმი (თაკვერის სახელით) იხსენიება როგორც ვახტანგ გორგასლის საერისთავო [121, გვ. 349]; ე. ი. ლეჩხუმს (თაკვერს) უკვე გარკვეული სოციალური და პოლიტიკური სტატუსი აქვს. მოყვანილ ცნობებში გარკვეული ქრონოლოგიური შეუსაბამობაა. ფიჭრობენ, რომ ბიზანტიელ ავტორთა დუმილი კოლხეთის გარკვეული პროვინციების იბერიის სამეფოს მფლობელობაში ყოფნის შესახებ აიხსნება მათი პოლიტიკური ორიენტაციით [258, გვ. 344—345]. აღნიშნულის კვლევა ჩვენს მიზანს სცილდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩნდება ერთი შესაძლებლობა — თუ ლეჩხუმში დადასტურებულ გვიანანტიკური ხანის ნივთებს (ოქროს მედალიონი, მოთვალული ბალთა, მინანქრიანი ბალთა), რომლებიც ბორი-კლდეეთის რიგის ძეგლების არეალში ექცევიან, ხელისუფლების ინსიგნიებად მივიჩნევთ, მაშინ გვიანანტიკური ხანის ლეჩხუმში შეიქმლება დავინახოთ ის მცირე პოლიტიკური ერთეული, რომელიც გახდა საფუძველი ლეჩხუმ-თაკვერის საერისთაოს ჩამოყალიბებისა. „ქართლის ცხოვრების“ დაყინებული, გაბმული ტრადიცია ლეჩხუმ-თაკვერის საერისთაოდ მოხსენიებისა თითქოს უნდა ამაგრებდეს ამ შესაძლებლობას.

ეს მცირედი დასკვნები საინტერესო პერსპექტივებს ულის ანტიკური ხანის ლეჩხუმის შემდგომი კვლევისათვის და თუნდაც ამიტომ ჩვენი მცირე წვლილი ამ საქმეში გამართლებულად მიგვაჩნია.

კ ა ტ ა ლ ო გ ი

კატალოგი მოიცავს ცხეთის სამაროვანზე 1962 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებულ და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ მასალას. კატალოგში აგრეთვე შესულია ის ნივთები, რომლებიც შემთხვევით არის აღმოჩენილი ლეჩხუმის სხვადასხვა სოფლებში და დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში.

მასალა დაჯგუფებულია ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური პრინციპით.

კატალოგში გაერთიანებულია 192 ნივთი. მოცემულია თითოეულის აღწერა, რაოდენობა, ზომები, სამარხისა და ინვენტარის ნომერი, დათარიღება.

1. ცხეთის სამაროვანი

ს ა მ კ ა უ ლ ი

1. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავ შემსხვილებულ მრგვალგანივკვეთიან ბოლოებზე ირგვლივი ნაჭდევებით. ერთი ბოლო აკლია. უდ. დმ — 60 მმ; სამარხი № 6 — ძვ. წ. III—II სს.; ინვ. № 39; სურ. 13; გვ. 10.
2. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავშემსხვილებულ მრგვალგანივკვეთიან ბოლოებზე ირგვლივი და ჯვარედინი ნაჭდევებით (გველის თავის სტილიზებული გადმოცემა?). უდ. დმ — 60 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. № 69; სურ. 13; გვ. 11.
3. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავშემსხვილებულ დაბრტყელებულ ბოლოებზე შორიშორს განლაგებული ირგვლივი ღარებით, რომელთა შორის სივრცე დაფა-

- რულია ირიბი ხაზებით (გველის თავის სტილიზებული გადმოცემა?). სამაჯ გატეხილი. უდ. დმ — 66 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 88; სურ. 13; გვ. 11.
4. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავშემსხვილებულ დაბრტყელებულ ბოლოებზე შორიშორს განლაგებული ირგვლივი ღარებით. რომელთა შორის სივრცე დაფარულია ირიბი ხაზებით (გველის თავის სტილიზებული გადმოცემა?). უდ. დმ — 64 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 85; სურ. 13; გვ. 11.
5. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავ შემსხვილებულ დაბრტყელებულ ბოლოებზე ირგვლივი ჰაერებით და ამ ჰაერებს შორის მოქცეული წრეხაზებით (გველის თავის სტილიზებული გადმოცემა?). უდ. დმ — 65 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 86; სურ. 13; გვ. 11.
6. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ოდნავ შემსხვილებულ დაბრტყელებულ ბოლოებზე ირგვლივი ჰაერებით და ამ ჰაერებს შორის მოქცეულ წრეხაზებით. ნივთი დაფარულია პატინით, ორნამენტი ცუდად იკითხება. უდ. დმ — 67 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 87; სურ. 13; გვ. 11.
7. სამაჯური — რკინის, ზურგშედრეკილი, რკალგახსნილი; ძლიერ დაუანგული; შემკულობის კვალი არ ეტყობა. ნაკლებია — ერთი ბოლო მოტეხელი აქვს. სამარხი № 6 — ძვ. წ. III—II სს.; ინვ. № 40; სურ. 13; გვ. 12.
8. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, რკალგახსნილი, სადა. აკლია ნახევარი. II თხრილი; ინვ. № 42; ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნა (?); სურ. 14; გვ. 13.
9. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, გრეხილი რკალი ბოლოგდება სადა დაწახნაგებული ღეროთი. თავები ერთმანეთზე გადადის. უდ. დმ — 46 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. № 73; სურ. 14; გვ. 13.
10. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, სადა წვრილი ღეროს თავები ოდნავ ერთმანეთზე გადადის. უდ. დმ — 55 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. 73₂; სურ. 14; გვ. 13.
11. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, მრგვალღეროგანივკვეთიანი; პირიპირზე მიტანილი თავები ოდნავ შემსხვილებული და

- სადაა. უდ. დმ — 60 მმ; თხრილი XV — ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნა; ინვ. № 93₁; სურ. 14; გვ. 13.
12. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, მრგვალღეროგანივკვეთიანი; თავები ერთმანეთზე გადადებული. უდ. დმ — 50 მმ; თხრილი XV. ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნა; ინვ. № 93₂; სურ. 14; გვ. 13.
13. სამაჯური — ბრინჯაოსი, ზურგსწორი, მრგვალღეროგანივკვეთიანი; თავები ოდნავ ერთმანეთზე გადადებული. უდ. დმ — 55 მმ; თხრილი XV — ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნა; ინვ. № 93₃; სურ. 14; გვ. 13.
14. სამაჯური — ვერცხლისა, თავბოლოგადადებული და გადახვეული. ზურგი უფრო მსხვილია, ხოლო ბოლოები წვრილდება. ნახვევი ორივე მხარეს შვიდ-შვიდია. უდ. დმ — 65 მმ; სამარხი № 1 (სამაჯური მიცვალებულს მარჯვენა მკლავზე ჰქონდა) — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი; ინვ. № 9; სურ. 15; გვ. 13.
15. სამაჯური — ბრინჯაოსი, თავბოლოგადადებული და გადახვეული. ზურგი უფრო მსხვილია, ბოლოები წვრილია, ხეიბები ერთ მხარეს ხუთია, მეორე მხარეს — სამი. სამაჯური დაფარულია მწვანე პატინით, ოდნავ დეფორმირებულია. უდ. დმ — 70 მმ; სამარხი № 1 (სამაჯური მიცვალებულს მარცხენა მკლავზე ჰქონდა) — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი; ინვ. № 10; სურ. 15; გვ. 14.
16. სამაჯური — ბრინჯაოსი, თავბოლოგადადებული და გადახვეული. ხეიბები შერჩენილი აქვს მხოლოდ ცალ მხარეს. უდ. დმ — 42 მმ; სამარხი № 2 (ბავშვის) — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 19; სურ. 15; გვ. 13.
17. სამაჯური — ბრინჯაოსი, თავბოლოგადადებული და გადახვეული. დეფორმირებულია. უდ. დმ — 48 მმ; სამარხი № 2 (ბავშვის) — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 28; სურ. 15; გვ. 13.
18. საყურეები — ოქროსი, წყვილი. ოდნავ თავებზემსხვილებულ სწორად ჩამოჭრილ მრგვალღანივკვეთიანი მავთულის რგოლზე შირჩილულია ყურძნის მტევნის გამოსახულება, რომელიც შედგენილია შემდეგნაირად: სამ ერთმანეთზე შირჩილულ დიდ ბურთულას თავზე აზის მესამე დიდი ბურთულა, თითოეულ დიდ ბურთულას ასეთივე რიგით დალაგებული ოთხი პატარა ბურთულა. რგოლზე შირჩილვის ადგილას დამატებით კიდევ შირჩილულია პატარა ბურთულები. წონა — 5,96 გრ; რგოლის დმ —

15 მმ, მავთულის დმ — 2 მმ. საყურის მთლიანი სიმაღლე — 22 მმ. სამარხი № 2 (ბავშვის) — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 27. ინახება სსმ-ში: B — 888, № 129—975: 1. სურ. 16; გვ. 15.

19. საყურე რგოლი — ბრინჯაოსი; მთლიანადსხმული, თავგახსნილი. რგოლს ცალი ბოლო შემკული აქვს დაწახნაგებული პატარა მძივით. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით; გატეხილია ორად. რგოლის დმ — 15 მმ; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 25; სურ. 16; გვ. 17.

20. ბეჭედი — რკინისა, ოვალურფარაკიანი. ძლიერ დეფორმირებული და ნაკლული. ფარაკის სიგრძე — 20 მმ, ფარაკის სიგანე — 12 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. № 71; სურ. 16; გვ. 17.

21. ფირფიტა — ოქროსი, დეფორმირებული, გოფირებული. ფირფიტა თხელია. წონა — 0,12 გრ; სიგრძე — 10 მმ, სიგანე — 8 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. 72 (ცმმ-ის ახალი № 3380—3769/1109—1448); სურ. 16; გვ. 17.

ქარვის მძივები:

22. ქარვის მძივები — 2 ცალი; ბრტყელი. წაგრძელებული, მომრგვალებული კუთხეებით. ცილინდრულარხიანი. ზედაპირი დაფარულია ოქროსფერი ნადებით. გადანატეხში მძივი მოყავისფრო-მოწითალოა. ერთი უფრო დიდია — 16X13 მმ, მეორე პატარა — 14X11 მმ; სამარხი № 1 (ალმოჩნდა თავის ქალასთან) — ახ. წ. III ს. — VI ს-ის დასაწყისი; ინვ. № 5; სურ. 17; გვ. 17.

23. ქარვის მძივები — 4 ფრ., დაფარულია ოქროსფერი ნადებით. გადანატეხში მოყავისფრო-მოწითალო ფერისაა. სამარხი № 2 (ბავშვის) — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 29; სურ. 17; გვ. 17.

24. ქარვის მძივები — 2 ცალი, ბრტყელი ცილინდრული ფორმისა. ცილინდრული არხის სიგრძე — 4—5 მმ; უდ. დმ — 13 მმ; სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს.; ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 17.

ქვის მძივები:

25. სარდიონის მძივები — 4 ცალი. ბიკონუსური ფორმის, დაბრტყელებული. ვარდისფერი. ბიკონუსური არხის სიგრძე — 4—6 მმ; უდ. დმ — 10 მმ; სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს.; ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 18.

26. სარდიონის მძივი — 1 ცალი, დაწახნაგებული წაგრძელებული ფორმისა. მოწითალო-ყავისფერი. ცილინდრული არხის სიგრძე — 11 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს (მძივი სამარხში)

- შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი); ინვ. № 89; სურ. 17; გვ. 19.
27. სარდიონის მძივი — 1 ცალი, დაწახნაგებული წაგრძელებული ფორმის. მოწითალო-ყავისფერი. ცილინდრული არხის სიგრძე — 9 მმ; სამარხი № 15 — ახ. წ. II—III სს.; ინვ. № 104; სურ. 17; გვ. 19.
28. სარდიონის მძივი — 1 ცალი, ოდნავ დაბრტყელებული სფერული ფორმის მოყავისფრო ფერისა. ცილინდრული არხის სიგრძე — 5 მმ; უდ. დმ — 8 მმ; სამარხი № 2 (ბავშვის) — ახ. წ. IV ს. I ნახ.; ინვ. № 31; სურ. 17; გვ. 19.
29. სარდიონის მძივები — 3 ცალი; სფერული ფორმის. ერთი — მოყავისფრო, მეორე — მოყვითალო-თეთრი ტალღებით, მესამე — ჩალისფერი თეთრი ტალღებით. სამივე ოდნავ დაბრტყელებული სფერული ფორმის. ცილინდრული (?) არხის სიგრძე — 6—7 მმ. დმ — 10—12 მმ; სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 4; სურ. 17; გვ. 19.
30. ქალცედონის (?) მძივი — 1 ცალი; დაბრტყელებულ-სფერული ფორმისა. თეთრ-ნაცრისფერი. ნახევრადგამჭვირვალე. დმ — 20 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სურ. 17; გვ. 19.
31. ცარცის (?) მძივები — ორი ცალი, ცილინდრული ფორმისა. თეთრი ფერის. ზედაპირი თითქმის შეკმულია, ჩალრმავებული ადგილები დაფარულია ოქროსფერი მასით. ცილინდრული არხის სიგრძე: 1. 16 მმ; 2. 7 მმ; დმ.: 1. 15 მმ; 2. 5 მმ; სამარხი № 1 — ახ. წ. III—IV სს-ის I ნახ.; ინვ. № 7; სურ. 17; გვ. 19.
32. უბრალო ქვის (?) მძივები — 2 ცალი, სფერული: ერთი — თეთრი და ნაცრისფერლაქებიანი, მეორე — მოთეთრო-ყანგისფერი; სიმაღლე: 1. 16 მმ; 2. 16 მმ; დმ.: 1. 15 მმ; 2. 13 მმ; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სურ. 17; გვ. 19
- ეგვიპტური ფაიანსის მძივები:
33. ეგვიპტური ფაიანსის საკიდი⁴⁰ — 1 ცალი, მწოლიარე ლომის გამოსახულება. ლომი „წევს“ ოთხკუთხა სადგამზე (პლაკეტზე). უკანა ფეხები შეკეცილი აქვს, წინა თათები თავის გასწვრივ უწყვია. ფაფრის ბლუჯები შესრულებულია ოთხრიგად გაყოფილი ირიბი ღარების რიგით. კუდი შემოკეცილი აქვს თეძოზე. ცისფერი, გაუმჭვირვალე. არხის დმ — 2 მმ, სიგრძე — 22 მმ,

⁴⁰ ამგვარი საკიდი, რომელსაც დაკარგული ყოფილა № 15 სამარხში (ინვ. № 104).

საკიდის სიმაღლე — 12 მმ, სადგამის სიმაღლე — 5 მმ; სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს. დასაწყისი. ინვ. № 3 (ცმმ-ის ახალი № 3388/1117); სურ. 17; გვ. 19.

34. ეგვიპტური ფაიანსის მძივი — 1 ცალი, სფერული, სიგრძივლარე-ბიანი. ცისფერი, გაუმჟვირვალე. არხის სიგრძე — 4 მმ, უდ. დმ — 10 მმ; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სურ. 17; გვ. 20.

35. ეგვიპტური ფაიანსის მძივი — 2 ცალი, სფერული, მომწვანო ფერის. გაუმჟვირვალე. არხის სიგრძე — 4—5 მმ, უდ. დმ — 13—15 მმ; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სურ. 17; გვ. 20.

ერთფერი მინის მძივები:

36. მინის საკიდი — 1 ცალი; ფრინველის გამოსახულება. მონაცრისფრო. გამჟვირვალე. ზოგან რაღაც ბრჭყვიალა ნადები გადაჰკრავს. ზურგზე ყუნწი აქვს. საკიდის სიგრძე — 20 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სურ. 18; გვ. 21.

37. მინის მძივები — 15 ცალი, ბიკონუსური, გამჟვირვალე; ლურჯი, თაფლისფერი და სალათისფერი. დმ — 5—7 მმ; არხის სიმაღლე — 5—6 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3390/1119); სურ. 18; გვ. 21.

38. მინის მძივები — 15 ცალი. ცრემლისებური ფორმის. ყუნწიანი, გამჟვირვალე; მონაცრისფრო და სალათისფერი. არხის სიმაღლე — 8—10 მმ, დმ — 8 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სურ. 18; გვ. 24.

39. მინის მძივები — 10 ცალი. სიგრძივლარე-ბიანი, გამჟვირვალე, სალათისფერი. არხის სიგრძე — 10—12 მმ, დმ — 10 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სურ. 18; გვ. 21.

40. მინის მძივები — 4 ცალი. ერთმანეთზე გადაბმული. გამჟვირვალე. უფერო ბურთულები. ბურთულების დმ — 4—6 მმ; არხის სიგრძე — 10 მმ; სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს.; ინვ. № 36; სურ. 18; გვ. 22.

41. მინის მძივები — 276 ცალი. მომრგვალო ფორმის, მცირე ზომის, ფირფიტისფერი, გაუმჟვირვალე. უდ. დმ — 5 მმ, არხის სიმაღლე — 2—3 მმ; სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი; ინვ. № 8; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ ახალი №№ 3390/1119, 3386/1115); სურ. 18; გვ. 22.

42. მინის მძივები — 12 ცალი. ყვითელი, მსხლის ფორმის, გაუმკვირვალე. უდ. ღმ — 5 მმ, არხის სიმაღლე — 2—3 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სურ. 18; გვ. 22.
43. მინის მძივები — 65 ცალი. შავი, სფეროსებური, გაუმკვირვალე. უდ. ღმ — 7 მმ, არხის სიმაღლე — 5 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3384/1113); სურ. 13; გვ. 22.
44. მინის მძივები — 15 ცალი. ლურჯი, შინდისფერი, მარჯნისფერი, გაუმკვირვალე; მრავალწახნაგა, ბრტყელი და წაგრძელებული ფორმის, სიგანე — 8 მმ, არხის სიგრძე — 10—13 მმ; სამარხი № 2 ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს.; ინვ. № 36; სურ. 18; გვ. 22.
45. მინის მძივები — 14 ცალი. გლობოიდალური ფორმის, გაუმკვირვალე ყვითელი, ცისფერი და თეთრი. არხის სიმაღლე — 3—4 მმ, ღმ — 4 მმ; სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3381/1110); სურ. 18; გვ. 22.
46. მინის მძივები — 16 ცალი. წაგრძელებული, ცილინდრული ფორმის, ტანზე კოპებიანი, გაუმკვირვალე თეთრი, მწვანე, მოშავო, ყვითელი, ცისფერი, არხის სიმაღლე — 6 მმ, ღმ — 5 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3380/1109). სურ. 18; გვ. 22.
47. მინის მძივები — 5 ცალი. ხორბლისებური ფორმის, მოყვითალო, გაუმკვირვალე. არხის სიგრძე — 7 მმ, ღმ — 4 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3386/1115); სურ. 18; გვ. 23.
48. მინის მძივები — 4 ცალი. ორმხრივჩაქყლეტილი (ორლებნიანი), ორი მოწითალო და ორი მწვანე; გაუმკვირვალე. არხის სიგრძე — 9 მმ, ღმ — 12 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3390/1119); სურ. 18; გვ. 23.
49. მინის მძივები — 11 ცალი; მილაკის ფორმის, გაუმკვირვალე; ცისფერი. არხის სიგრძე — 8—20 მმ; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს.; ინვ. № 36; სურ. 18; გვ. 23.
50. მინის მძივები — 62 ცალი, ე. წ. ბისერი; გაუმკვირვალე, ლურჯი, ღმ — 5 მმ, სიმაღლე — 2 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3386/1115); სურ. 18; გვ. 23.

51. მინის მძივები — 16 ცალი. სფეროსებური; გაუმჟვირვალე, მარჯნისფერი, ლურჯი და თეთრი. დმ — 8—9 მმ, სიმაღლე — 3—4 მმ, სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს.; ინვ. № 89; სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31; № 4 სამარხი — ახ. წ. I—I:1 სს., ინვ. № 36; სურ. 18; გვ. 23.
52. მინის მძივი — 1 ცალი. თითისტარის ფორმის, გაუმჟვირვალე; ლურჯი. სიგრძე — 11 მმ; სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს.; ინვ. № 79; სურ. 18; გვ. 23.
- პოლიქრომიული მინის მძივები:
53. მინის მძივი — 1 ცალი, „ბუმბულისებური“ ანუ ფესტონური ორნამენტით შემკული, კასრისებური ფორმის: „ბუმბულები“ ყვითელი ფერისაა, თვითონ მძივი — რუხი ფერის. არხის სიგრძე — 43 მმ, არხის დმ — 5 მმ, მძივის დმ — 10 მმ, სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს. ინვ. № 35 (ცმმ-ის ახალი № 3389/1118); სურ. 17; გვ. 23.
54. მინის მძივები — 4 ცალი. „წამწამისებური“ ორნამენტით შემკული, მარჯნისფერი, სფერული. „წამწამები“ გადმოცემულია შავი და ყვითელი ფერებით. უდ. დმ — 8 მმ, არხის სიგრძე — 5—6 მმ, სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ.; ინვ. № 31. სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს., ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 24.
55. მინის მძივები — 9 ცალი. კასრისებური ფორმის, შავი; მუცელზე თეთრი ზოლით. არხის სიგრძე — 4—8 მმ, დმ — 6—10 მმ, სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89. სურ. 17; გვ. 24.
56. მინის მძივები — 4 ცალი. ცილინდრისებური. შავი, ვერტიკალური თეთრი ზოლებით. არხის სიგრძე — 5—6 მმ, დმ — 4—5 მმ, სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89; სურ. 17; გვ. 24.
57. მინის მძივები — 2 ცალი. სფერული ფორმისაა, შავი. თეთრ ფონზე შავი თვალით. დმ — 7 მმ, არხის სიმაღლე — 5 მმ, სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს. ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 25.
58. მინის მძივები — 2 ცალი. სფერული ფორმისა, შავი. თეთრ ფონზე წითელი თვალით. დმ — 7 მმ, არხის სიმაღლე — 5 მმ, სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89; სურ. 17; გვ. 25.
59. მინის მძივი — 1 ცალი. შავი, სფერული. სხვადასხვანაირი თვალეები აქვს: ორი — თეთრ ფონზე ცისფერი, ორი — ყვითელ ფონზე ცისფერი, არხის სიმაღლე — 10 მმ, არხის დმ — 5 მმ, დმ — 15 მმ, სამარხი № 14 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 102 (ცმმ-ის ახალი № 3383/1112); სურ. 17; გვ. 25.

60. მინის მძივი — 1 ცალი. ცისფერი, სფერული, თვალი — თეთრ ფოხზე ლურჯ კონტურშემოვლებული ცისფერი თვალი. არხის სიმაღლე — 6 მმ, დმ — 8 მმ. სამარხი № 15 — ახ. წ. II—III სს. ინვ. № 104; სურ. 17; გვ. 25.
- ოქროფენილი მძივები:
61. მინის მძივები — 2 ცალი. სფერული ფორმისა, ოქროფენილი. არხის ბოლოებზე შვერილების გარეშე. არხის სიგრძე — 6 მმ, დმ — 10 მმ. სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 31, სურ. 17; გვ. 26.
62. მინის მძივები — 3 ცალი. სფერული, ოქროფენილი. არხის ბოლოებზე ჩაწიბურებით. არხის სიგრძე — 5 მმ, დმ — 6 მმ. სამარხი № 4 — ახ. წ. I—III სს. ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 26.
63. მინის მძივები — 2 ცალი. ცილინდრული ფორმის, ტანზე სამრიგად განლაგებული ბურცობებით. ოქროფენილი. არხის სიგრძე — 10 მმ, დმ — 8 მმ. სამარხი № 4 — ახ. წ. III—II სს. ინვ. № 36; სურ. 17; გვ. 26.
64. მინის მძივები — 29 ცალი. სფერული. დაბრტყელებული. ოქროფენილი. არხის სიგრძე — 3 მმ, არხის დმ — 2 მმ. დმ — 6 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89; სურ. 17; გვ. 26.
65. მინის მძივები — 2 ცალი. მოკლე, ცილინდრული ფორმის, ტანზე ორ რიგად განლაგებული კოპებით. ოქროფენილი. არხის სიგრძე — 5 მმ, დმ — 5 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3380/1109); სურ. 17; გვ. 26.
66. მინის მძივები — 3 ცალი. მილაკისებური ფორმის. ერთ მძივს თითქოს უფრო დიდი დიამეტრის მილაკი აქვს ჩამოცმული ოქროფენილი. არხის სიგრძე — 7 მმ, დმ — 2 მმ. სამარხი № 13 — ძვ. წ. II—I სს. ინვ. № 89 (ცმმ-ის ახალი № 3386/1115); სურ. 17; გვ. 26.
67. მინის მძივები — 2 ცალი. სფეროსებური ოქროფენილი. დმ — 2—3 მმ. არის სხვადასხვა ასხმებში. სურ. 17; გვ. 26.
68. ბრინჯაოს მძივი — 1 ცალი. ცილინდრული ფორმის — 3 მმ-ის სისქის ბრინჯაოს ფურცელი დახვეულია მილაკისებურად. მძივს ფურცლის შეერთების კვალი ეტყობა. არხის სიმაღლე — 10 მმ, არხის დმ — 6 მმ, მძივის დმ — 12 მმ. სამარხი № 14 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 102 (ცმმ-ის ახალი № 3385/1114); სურ. 17; გვ. 26.

69. მძივსაკრები ძვლის — 1 ცალი. სწორკუთხა პარალელებიძედის ფორმის. სამი გამჭოლი ძაბრისებური არხით. სიგრძე — 27 მმ, სიგანე — 5 მმ, სიმაღლე — 5 მმ. სამარხი №2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 30; სურ. 17; გვ. 27.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები:

70. ფიბულა — ბრინჯაოსი, ბუდეაბმული, ქვედასაყრდენიანი ზამბარით, ორწილადი; თანაბრადმორკალული მშვილდი ოთხკუთხავანიკვეთიანი და ბრტყელია. მშვილდს ზემოდან (ზამბარიდან ცხვირამდე) გადაფარებული აქვს ბრინჯაოს თხელი ლენტი. ფიბულის სიგრძე — 65 მმ, რკალის უდ. შემალლება — 14 მმ, სამარხი №2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 20; სურ. 19; გვ. 27.
71. ფიბულა — ვერცხლის (?), ბუდეაბმული, ქვედასაყრდენიანი ზამბარით, მშვილდი მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაა და წვერისაკენ ბრტყელდება. ენა აკლია. ფიბულის ფრ-ის სიგრძე — 45 მმ, სამარხი №2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 24; სურ. 19; გვ. 28
72. ფიბულა — რკინის, ბუდეაბმული, მუხლზამბარიანი, აკლია აბაბმელი. ყანგისაგან ძლიერ დეფორმირებული. ფიბულის სიგრძე — 82 მმ, რკალის უდ. შემალლება — 33 მმ, სამარხი №10 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 61; სურ. 19; გვ. 28.
73. ფიბულა — რკინის, ყანგისაგან ძლიერ შექმული. ფიბულის სიგრძე — 62 მმ, რკალის უდ. შემალლება — 27 მმ, სამარხი №14 ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 97; სურ. 19; გვ. 28.
74. ფიბულა — ბრინჯაოსი, ერთწილადი, მკვეთრადპროფილირებული. მშვილდი ბოლოვდება რელიეფური ირგვლივი სარტყლით, რომელიც გადადის მძივისებური შვერილით თავშემკვეთ ბრტყელ, ძალალ და ვიწრო შესაკრავში. მუხლის ზამბარა შედგება რამდენიმე ხვიისაგან და შიდა უღლისაგან. ფიბულის სიგრძე — 35 მმ, სიმაღლე — 20 მმ, ზამბარის სიგრძე — 20 მმ. სამარხი №1 — ახ. წ. III ს.—IV ს-ის დასაწყისი, ინვ. № 12; სურ. 19; გვ. 27.
75. ფიბულა — ვერცხლის (?), ნაკლული, მკვეთრადპროფილირებული მშვილდი ბოლოვდება მძივისებური შვერილით და ბრტყელი შესაკრავით. ენა ზამბარის ნაწილით მოტეხილია და ცალკეა. ფიბულის სიგრძე — 25 მმ, სიმაღლე — 13 მმ, სამარხი №1 — ახ. წ. II ს. — IV ს-ის დასაწყისი, ინვ. № 14; სურ. 19; გვ. 29.
76. ფიბულა — ბრინჯაოსი, მკვეთრადპროფილირებული ფირფიტისებური (ბრტყელი და განიერი) მშვილდით, რომელიც მძივისე-

- ბური შვერილით და ბრტყელი შესაკრავით ბოლოვდება. ფიბულის სიგრძე — 20 მმ, სიმაღლე — 10 მმ, ზამბარის სიგრძე — 20 მმ. სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 22; სურ. 19; გვ. 29.
77. ფიბულა ბრინჯაოსი, მკვეთრადპროფილირებული მშვილდით, მძივისებური შვერილით და ბრტყელი შესაკრავით. ენა აკლია. მშვილდის სიგრძე — 24 მმ. სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 23; სურ. 19; გვ. 29.
78. ფიბულა — რკინის. ბრტყელი და განიერი მშვილდი ბოლოვდება ქიკარტისებური შვერილით. რომლის ქვემოთაც ჩამოშვებულა მილაკისებურად თავშეხვეული ბრტყელი ბუდე ნემსისათვის. ე. წ. „ავციასა“ ტიპის პროვინციული ფიბულა. ფიბულის სიგრძე — 50 მმ, მშვილდის სიგანე — 14 მმ, რკალის უდ. სიმაღლე — 20 მმ. სამარხი № 5 — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 37; სურ. 19; გვ. 30.
79. ფიბულა — ბრინჯაოსი; მრგვალი მედალიონი შესაბნევი მოწყობილობით — ორსაყრდენიანი სახსრიანი შესაკრავით. რომელიც მედალიონს უკანა მხარეს აქვს მირჩილული, ხოლო კიდეზე აქვს მრგვალი საკიდი (ე. ი. გულსაკიდადაც გამოიყენებოდა). საკიდის ფორმის, ოღონდ უნახვრეტო, მრგვალი შვერილი მირჩილულია საკიდის სიმეტრიულად მედალიონის მოპირდაპირე კიდეზე. ფიბულის ფარაკზე, ცენტრში, ლურსმნისთავის მსგავსი შვერილია, რომლის თავი შემკულია ინკრუსტაციით: თეთრი პასტით შევსებული პატარა წრის ირგვლივ ოთხი წრეა. ასევე თეთრი მასით შევსებული. წრეებს შორის სივრცე კი შევსებულია მწვანე მასით. ფიბულის ფარაკი შემკულია ფერადი (ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი) მინანქრის ნაკრებით შედგენილი სარტყლებით. ფიბულის ფარაკის დმ — 45 მმ. „ლურსმნის“ სიმაღლე — 9 მმ და დმ — 11 მმ, საკიდის დმ — 5 მმ. სამარხი № 15 — ახ. წ. II—III სს. ინვ. № 103; სურ. 19; გვ. 30.
80. ფიბულის ფარაკი (?) — ბრინჯაოსი; თხელი, კიდეებშემოჭრილი ფირფიტა, რომელსაც ცალ მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ორი მარყუეი აქვს (სახსრიანი შესაკრავის ნაშთი?). უდ. სიგრძე — 38 მმ, უდ. სიგანე — 25 მმ. სამარხი № 2 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 21; სურ. 19; გვ. 31.
81. აბზინდა — ბრინჯაოსი, მრგვალი, ენაგამობმული (ენის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი). რგოლის წინა ნაწილი შემსხვილ-

- ბულია. უდ. დმ — 28 მმ. სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. 11; სურ. 20; გვ. 31.
82. აბზინდა — ბრინჯაოსი, მრგვალი, ენაგამობმული; რგოლის წინა ნაწილი შემსხვილებულია. დაფარულია მწვანე პატინით. უდ. დმ — 22 მმ, ენის სიგრძე — 25 მმ. სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 16; სურ. 20; გვ. 31.
83. აბზინდა — რკინის, მრგვალი, ენაგამობმული (ენის ნაწილი აკლია), უდ. დმ — 42 მმ. სამარხი № 9 — ახ. წ. I—III სს. ინვ. № 56; სურ. 20; გვ. 31.
84. აბზინდა — ბრინჯაოსი, მრგვალი. რგოლი ოდნავ წახნაგოვანი და წინა ნაწილში შემსხვილებულია. ენა დაკარგულია. უდ. დმ — 28 მმ. სამარხი № 10 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 63ა; სურ. 20; გვ. 31.
85. აბზინდა — რკინის, მრგვალი, ენაგამობმული; რგოლის წინა ნაწილი ოდნავ შემსხვილებულია (რგოლი ნაკლულია); ენა რგოლზე გადადის. უდ. დმ — 42 მმ, ენის სიგრძე — 45 მმ. სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს. (სამარხში შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი). ინვ. № 68. სურ. 20; გვ. 31.
86. აბზინდა — რკინის, პარალელებიპედის ფორმის, ენაგამობმული. სიგრძე — 74 მმ. სიგანე — 25 მმ. ენის ფრ-ის სიგრძე — 66 მმ. სამარხი № 5 — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 38; სურ. 20; გვ. 32.
87. აბზინდა — რკინის, პარალელებიპედის ფორმის, ენაგამობმული. სამარხი № 7⁴¹ — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 54. სურ. 20; გვ. 32.
88. ბალთა (1) — რკინის, ოთხკუთხა, შუაში მრგვალად ამობურცული. ზედაპირი ინკრუსტირებულია ოქროთი. ბალთა ნაკლულია. სამარხი № 7⁴² — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 52; სურ. 7; გვ. 32.
89. ქინძისთავი — ვერცხლის, მთლიანადსხმული, დაწახნაგებული თავი ღეროსაგან გამოყოფილია ბურთულით. 3 ნატეხი. წვერი აკლია. სიგრძე — 38 მმ. თავის სიმაღლე — 4 მმ. სამარხი № 1 ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 15; სურ. 20; გვ. 32.
90. ქინძისთავი — ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული. ძლიერ დეფორმირებული და პატინით დაფარული. თავდაწახნაგებული. სიგრძე — 48 მმ. სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 17; სურ. 20; გვ. 32.

41—42 № 7 სამარხის მასალა დაკარგულია. არსებობს მხოლოდ ფოტო. აღწერილობას ვაკეთებთ სხვლე დავთარის მონაცემებისა და ფოტოს მიხედვით.

სამეურნეო და საბრძოლო იარაღი:

91. დანა — რკინის, პირმოხრილი, სატარე მხარე პირთან შედარებით ფართოა და ზედ შერჩენილი აქვს გამჭოლი პატარა ლურსმანი. წვერი მოტეხილი აქვს. ფრ-ის სიგრძე — 110 მმ, პირის სიგანე — 15 მმ, გაფართოებული ნაწილის სიგანე — 20 მმ, ლურსმნის სიმაღლე — 2 მმ. სამარხი № 5 — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 38ა; სურ. 21; გვ. 33.
92. დანა — რკინის, პირმოხრილი, ორი გამჭოლი მანქვლით. სამარხი № 7⁴³ — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 50; სურ. 21; გვ. 39.
93. დანა — რკინის, მთლიანადსხმული, ოდნავ მოხრილი. წვერი აკლია. სიგრძე — 104 მმ, ტარის სიგრძე — 40 მმ, პირის სიგანე — 20 მმ. სამარხი № 10 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 62; სურ 21; გვ. 33.
94. დანა — რკინის, მთლიანადსხმული, ოდნავ მოხრილი. აკლია წვერი. სიგრძე — 197 მმ. პირის სიგრძე — 127 მმ, პირის სიგანე — 38 მმ. სამარხი № 14 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 96; სურ. 21; გვ. 33.
95. დანა — რკინის, მთლიანადსხმული, ოდნავ მოხრილი. ნაკლოვანი. სიგრძე — 84 მმ. თხრილი XV — ახ. წ. პირველი საუკუნეები. ინვ. № 106; სურ. 21; გვ. 33.
96. დანა — რკინის, მთლიანდასხმული. აკლია წვერი და ტარი. სიგრძე — 118 მმ. სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 13; სურ. 21; გვ. 34.
97. დანის წვერის ფრაგმენტი — რკინის, სწორპირიანი. ფრაგმენტის სიგრძე — 75 მმ. სამარხი № 1 — ახ. წ. III ს. — IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 17; სურ. 21; გვ. 34.
98. დანა — რკინის, მთლიანადსხმული. სწორპირიანი. აკლია წვერი. სიგრძე — 101 მმ, პირის სიგრძე — 60 მმ, პირის სიგანე — 14 მმ. თხრილი II — ახ. წ. პირველი საუკუნეები. ინვ. № 46; სურ. 21; გვ. 34.
99. დანის წვერის ფრაგმენტი — რკინის, სწორპირიანი. ფრაგმენტის სიგრძე — 42 მმ. თხრილი II — ახ. წ. პირველი საუკუნეები ინვ. № 46; სურ. 21; გვ. 34.
100. შუბისპირი — რკინის, წაგრძელებული ფოთლის ფორმის, ქედი არ არის გამოყოფილი. მასრა შეკრულია. სიგრძე — 285 მმ. ტა-

43 იხ. შენ. 41.

- რის სიგრძე — 125 მმ, პირის უდ. სიგანე — 40 მმ. სამარხი № 10 — ახ. წ. IV ს-ის დასაწყისი. ინვ. № 63; სურ. 22; გვ. 34.
101. შუბისპირი — რკინის, დეფორმირებული. წაგრძელებული ფოთლის ფორმის, ქედი გამოყოფილია. სიგრძე — 243 მმ, პირის სიგრძე — 173 მმ, პირის უდ. სიგანე — 34 მმ. თხრილი XV — ახ. წ. პირველი საუკუნეები. ინვ. № 94; სურ. 22; გვ. 34.
102. შუბისპირი — რკინის, წაგრძელებული ფოთლისებური პირით. პირის ვაგანიერების ადგილას ქედი განსაკუთრებით მკვეთრად გამოყოფილი. მასრა შეკრული. ყანგისაგან ძლიერ შექმული და დეფორმირებული. სიგრძე — 332 მმ, პირის სიგრძე — 213 მმ, პირის სიგანე — 53 მმ. სამარხი № 14 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 95; სურ. 22; გვ. 34.
103. მუჯირი — რკინის წვეტიანი, გვერდნაპრილი; კვეთაში მრგვალი. მასრაგახსნილი. სიგრძე — 80 მმ, უდ. დმ — 15 მმ. სამარხი № 10 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 60; სურ. 22; გვ. 34.
104. მუჯირი — რკინის, ფრაგმენტის სიგრძე — 30 მმ. სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს. ინვ. № 75; სურ. 22; გვ. 34.
105. მუჯირი — რკინის, 2 ფრაგმენტი; ერთი ფრაგმენტი წვეტიანია, ოდნავ წელში გამოყვანილი წვერით. მასრა გახსნილი. სიგრძე — 85 მმ, მასრის დმ — 15 მმ. მეორე ფრაგმენტი წვერმოტეხილია. სიგრძე — 75 მმ. სამარხი № 12 — ძვ. წ. III—I სს. ინვ. № 70; სურ. 22; გვ. 34.
106. ისრისწვერები — რკინისა, 3 ცალი. ერთი — მთლიანადსხმული, ძლიერ დეფორმირებული; სიგრძე — 43 მმ. № 12 სამარხი — ძვ. წ. III—I სს. ინვ. № 74, ორი — წვერის ფრაგმენტები. № 2 (ინვ. № 26), № 14 (ინვ. № 99) სამარხები — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. სურ. 22; გვ. 35.
107. სალესი — ქვის. წაგრძელებული. ცალი ბოლო შემსხვილებული, მომრგვალებული და გახვრეტილი აქვს. სიგრძე — 62 მმ, სიგანე — 10 მმ. სამარხი № 9 — ახ. წ. I—III სს. ინვ. № 55; სურ. 21; გვ. 35.
108. სალესი — ქვის. წაგრძელებული პარალელებიპედის ფორმის. ერთი ბოლო უფრო ვანიერი და გახვრეტილი აქვს. სიგრძე — 67 მმ, სისქე — 8 მმ, უდ. სიგანე — 17 მმ, უმც. სიგანე — 10 მმ. სამარხი № 10 — ახ. წ. IV ს-ის I ნახ. ინვ. № 59; სურ. 21; გვ. 35.

109. საღესი — ქვის, წაგრძელებული პარალელეპიპედის ფორმის, ერთი ბოლო განიერი და გახვრეტილი აქვს. სამარხი № 744 — ახ. წ. I—II სს. ინვ. № 51; სურ. 21; გვ. 35.

კერამიკა:

